პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა


# ლელო

გამოცემის 75-ე წელიწადი

№015(12694) 21 იანვარი ოთხშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი


## 2 მილიონი ლარი? სახელმწიფო პროგრამა? არ იქნება



## კვარცხლბეკზეა 17 წლის ფალავანი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

>> 12

## დღეს კურტანიძესაც ვნახავთ

თავისუფალი ჭიდაობა. საქართველოს ჩემპიონატი



>> 2

## ეს არის რეალობა, რომელსაც ვერსად გავექცევით

ინტერვიუ ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ გოგი ქავთარაძესთან



>> 3

## კალაძე გადარჩა



## ჩაალაგეთ ჩემოდნები!

შეგრტის ტექნიკურ დირექტორობასაც წყალი შეუდგა

>> 2



## კუპერი მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელებს შორის დაასახელეს

>> 3



## პატარა ვირტუოზის აღიარება

ჟენია და მსოფლიოს 24 გამორჩეული ახალგაზრდა

>> 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

გოგი ქავთარაძე

# 2 მილიონი ლარი? არ იქნება სახელმწიფო პროგრამა? არ იქნება

## ნაომარ ქვეყანაში ბიუჯეტი მცირდება

**გასული** წლის ბოლოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა - გენერალურ მდივნად რევაზ არველაძე დაინიშნა, ხოლო ყოფილმა გენმდივანმა უჩა უგულავამ არველაძის უწინდელ პოსტზე, ფედერაციის ერთ-ერთ ვიცე-პრეზიდენტად გადაინაცვლა. რას მოუტანს ყოველივე ეს ჩვენს ფეხბურთს? ცხადია, მხოლოდ თანამდებობების ცვლა ვერ განაპირობებს ამ ორგანიზაციის ეფექტურ საქმიანობას, არის კიდევ ერთი, ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი - ფინანსები.

ფედერაციის აქეთურ-იქეთურზე „ლელოს“ ფეხბურთის ფედერაციის ერთ-ერთი ვიცე-პრეზიდენტი გოგი ქავთარაძე ესაუბრა. მისგან რამდენიმე მეტად საყურადღებო ინფორმაციაც შევიტყვეთ...

**- არის რამდენიმე ვერსია, კულუარული და ლოგიკური, ახლა კი თქვენგან ველით პასუხს - რა იყო არველაძე-უგულავას როქის მთავარი მიზანი? ბუნებრივია, ეს არ იყო მხოლოდ თანამდებობების გაცვლა...**

- მართალი ხართ, ეს ნამდვილად არ ყოფილა მხოლოდ კადრების ცვლა, ეს იყო სრულიად გამიზნული გადაადგილება. ამით, ფედერაციის მუშაობის მიმართულება არ შეიცვლება, ჩვენ ერთ გუნდად ვრჩებით, უბრალოდ, ფუნქციები შეიცვალა. საწყის სტადიაზე რევაზ არველაძის საქმიანობას დადებითად ვაფასებ. ფედერაციაში მიდის რესტრუქტურიზაცია, რომელიც თვის ბოლომდე დასრულდება - კომიტეტებში ფუნქციები გადანაწილდება. არ მგონია, ამაზე დაწვრილებით საუბარი დიდად მნიშვნელოვანი იყოს ფართო საზოგადოებისთვის. ახალი გენმდივანი დღეს ამ საკითხებს აგვარებს და ამავდროულად, რა თქმა უნდა, ძალიან მნიშვნელოვან საკითხზეც მუშაობს - ეს არის 2009 წლის ბიუჯეტი. ამ ყველაფერს დრო სჭირდება.



**- ფედერაციის ყველაზე დიდი ფინანსური დონორი სახელმწიფო დახმარება იყო და, ალბათ, 2009 წელსაც ასე იქნება. სახელმწიფო ბიუჯეტიდან თანხები დროულად მისდის ფედერაციას?**

- ყველაფერი დაგეგმილი გრაფიკით კეთდება. სპორტის დეპარტამენტთან ყოველდღიური კონტაქტი გვაქვს. ფედერაციის ხელმძღვანელებს შეხვედრაც გვქონდა ახალ მინისტრ ნიკა რურუასთან. დეპარტამენტს წინასწარ ვაწვდით კონკრეტულ გეგმას, თუ რისთვის გვჭირდება თანხები და ამის მიხედვით ვიღებთ დაფინანსებას. რომ არა ასეთი დახმარება, ფედერაცია თავის ფუნქციებს ვერ შეასრულებდა.

**- წინა ორ წელიწადს ფედერაციის წლიური ბიუჯეტი დაახლოებით 9 მილიონი ლარი იყო. შენარჩუნდება ასეთი ბიუჯეტი თუ სხვა მიმართულებას აირჩევთ?**

- ჩვენი მიმართულება წავა ბიუჯეტის შემცირებისკენ. ახალი გენმდივანი ამ საკითხზე ფინანსისტებთან ერთად მუშაობს. 2009 წელს ხარჯების ეკონომია გვმართებს - მსოფლიოსა და ჩვენს ქვეყანაშიც საბანკო-ფინანსური კრიზისია. ამ ეტაპზე, ფედერაციაში შემოსავლების ზრდისთვის რეალური საფუძველი არ არსებობს.

**- კულუარებში არის ლაპარაკი საკადრო ცვლილებებზე 19 და 17- წლამდელთა ნაკრებებში...**

- ამაზე ჯერ არანაირი გადაწყვეტილება არ მიგვიღია, თუმცა ცვლილებები ყოველთვისაა მოსალოდნელი. განახლება მუდმივი პროცესია. ცვლილებები კი დამოკიდებული იქნება შედეგებზეც. მითქმა-მოთქმა ერთია, რეალური სურათი კი ასეთი გახლავთ - ამ დროისთვის 19 და 17-წლამდელთა ნაკრებებს მწვრთნელები ჰყავთ.

**- ვინ იქნება ასაკობრივ ნაკრებთა საერთო ხელმძღვანელი? როგორც ჩვენთვის ცნობილია, ეს არ შედის ექტორ კუპერის ფუნქციებში...**

- თავიდანვე ითქვა, რომ კუპერს ექნებოდა ერთადერთი ფუნქცია - ეროვნული ნაკრების მწვრთნელობა. თუმცა თავად თქვა, რომ უნდა კურირებდეს ახალგაზრდულ ნაკრებებსაც, უნდა ჰქონდეს ურთიერთობა მათ მწვრთნელებსა და ფეხბურთელებთან, ყოველივე ამას თანამშრომლობის გარკვეული ფორმა ექნება. ასაკობრივი ნაკრებების ხელმძღვანელობისთვის ახალი კადრების მოძიება დაგეგმილი არ გვაქვს.

**- მაშ, რა ფუნქცია აკისრია ფედერაციის ტექნიკურ დირექტორ პეტარ შეგრტს?**

- ის შეკრებებითა და სხვა საკითხებითაა დაკავებული.

**- ფედერაცია გამოვიდა ინიციატივით, რომ საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის საპრიზო ფონდს 200 000 ლარით შეეწევა. მანამდე, სახელმწიფო 2 000 000 ლარით აპირებდა ეროვნული ჩემპიონატისთვის საპრიზო ფონდის დაწესებას. საბოლოოდ რა გამოდის? რამდენი იქნება ჩემპიონატის საპრიზო ფონდი?**

- 2 000 000 ლარი ძველი პროექტით იყო გათვალისწინებული. ამ ეტაპზე კი ჩემპიონატის საპრიზო ფონდი ფედერაციის მიერ გამოყოფილი 200 000 ლარი და პროფლიგის კომპანიონებისგან ბოძებული თანხის ჯამი იქნება - დაახლოებით, ნახევარ მილიონ ლარამდე. ომგადატანილ ქვეყანაში ძალიან ძნელია დიდი თანხების მოძიება...

**- უკვე ორი წელია, მთელი ქართული საფეხბურთო სამყარო ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებას ელის. ეს არც 2009 წელს მოხდება?**

- ამ პროექტის განხორციელება 2010 წლამდე გადაიდო, ომმა ძალიან დააზარალა ჩვენი ქვეყანა, რომლის ნაწილები ოკუპირებულია. ეს არის რეალობა, რომელსაც ვერსად გავექცევით.

**- ერთ საკითხსაც შევეხოთ. ამ შესარჩევში ეროვნულ ნაკრებს არ დაუწესდა საპრემიო სისტემა. ეს საკამათო გადაწყვეტილებაა...**

- მიმაჩნია, რომ პრემია მაშინ უნდა დაწესდეს, თუ საბოლოო წარმატება იქნება. ეროვნულ გუნდში ფეხბურთელების მთავარი სტიმულატორი პატრიოტიზმი უნდა იყოს. ძალიან ბევრ ნაკრებს არ აქვს პრემია შესარჩევ ციკლში, მაგრამ თუ წარმატებას მიაღწევს, ჩნდება ფული და შესაბამისად, პრემიაც.

**- გამოდის, კლაუს ტოპმიოლერის დროს რომ იყო პრემიალური სისტემა, ვერ გაამართლა...**

- ასეა. მაგალითად, ლიტვასთან გასვლითი მატჩის მოგებაზე პრემია არც თუ ბევრი, თითოეულ ფეხბურთელზე 3 000 დოლარი დავაწესეთ, მაგრამ... წავაგეთ...

მოსალოდნელი განთავისუფლება

# შეგრტი უნდა დამთავრდეს

**კლაუს ტოპმიოლერის** დროების ერთადერთი კადრი დარჩა ფეხბურთის ფედერაციაში და მალე ისიც დატოვებს საქართველოს - ეს არ არის მხოლოდ კულუარული ამბავი, შეიძლება ითქვას, ეს უკვე ნახევრად ოფიციალური ინფორმაციაა.

„დარტანიანი“, „ჯიგარო“, ოპონენტებისთვის კი „თალლითი“ და „კლოუნი“ - ხორვატ **პეტარ შეგრტს** რა აღარ შეარქვეს საქართველოში. მას აქვს დარტანიანივით ულვაშები და კუშტი მზერა, იცის „ჯიგარივით“ მოქცევა, იცის ბრძოლა და არის მიზანდასახული, მაგრამ შეგრტს ფედერაციაში აღარ ჰყავს მფარველი, ხავსიც კი აღარ შერჩა ჩასაჭიდებლად. პეტარი მარტო დარჩა...

შეგრტზე ბევრი დაიწერა და ითქვა და ამასაც შეძლება უნდა. მწვრთნელ შეგრტს არ აქვს მდიდარი ბიოგრაფია და საქართველოში უნდოდა დიდი ნახტომის გაკეთება - ეროვნული ნაკრების მწვრთნელობასაც კი დაუმიზნა. როცა შეგრტი ტოპმიოლერის რეკომენდაციით ინიშნებოდა ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების დამრიგებლად, ფედერაციის პრეზიდენტ **ნოდარ ახალკაცის** თანაგუნდელებს დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, განხეთქილება მერელა მოხდა, როცა თითქმის ყველა მიხვდა, რომ ახალგაზრდულის თავკაცად შეგრტს ქართველი სჯობდა...

ხორვატი სულ იმას ცდილობდა, რამე არ შემლოდა ურთიერთობებში, არ იყო „ჩამშვები“, ძალიან ბევრი რამ არ გამოუტანია შიდა სამზარეულოდან... მაგალითად, ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთ შეკრებაზე, ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ „ბასაში“ გუნდის ერთი ფეხბურთელი მთვრალი მივიდა, მაგრამ შეგრტმა ის ისე ჩამოაცილა ნაკრებს, ჟურნალისტებისთვის ეს ამბავი არ უთქვამს. მაგრამ მას მაინც მოუვიდა შეცდომები და ალბათ იმიტომ, რომ ყოველთვის არ იყო გულწრფელი...




აგვისტოს მოვლენების დროს მან საქართველო არ დატოვა. შეიძლება, ვინმემ თქვას, რომ მან ეს ლიქნით გააკეთა, მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდი იქნება და არა - ფაქტი. თბილისი და მისი შემოგარენი იბომბებოდა, რუსის ჯარი იგოეთამდე მოვიდა, შეგრტი კი არ გაქცეულა.

ის ისეთია, არ დაიკარგება, ოღონდაც, სანამ ის წავა, ტექნიკური საკითხებია მოსაგვარებელი. შეგრტს, როგორც ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების მწვრთნელს, კონტრაქტი არ გაუგრძელეს, მაგრამ მას მეორე კონტრაქტიც ჰქონდა ფედერაციასთან - როგორც ტექნიკურ დირექტორს, ხორვატს კიდევ ერთი წელი დარჩა სამუშაოდ, მაგრამ...

ფედერაცია ყველანაირად ეცდება, შეგრტს ეს კონტრაქტი შეუჩეროს - ეს არის ჯერ მხოლოდ პროგნოზი, რომელიც უნდა გამართლდეს, ყოველ შემთხვევაში, საქმეს ასეთი პირი უჩანს. შეგრტი არ არის სულელი და ყველაფერს კარგად ხვდება, ალბათ, კარგადაც არის მომზადებული, რომ ამ საკითხზე ესაუბროს ფედერაციის მაღალჩინოსნებს. არის კონტრაქტი და შესაბამისად, არის ვალდებულებაც და როცა ხელშეკრულება ერთი მხარის ინიციატივით წყდება, მან ეს ფულით უნდა გამოისყიდოს. როგორ მორიგდებიან ამ საკითხზე ფედერაცია და შეგრტი, ვინძლო კონფიდენციალური დარჩეს, მაგრამ ეს არ არის მთავარი. ფედერაცია პრინციპული გადაწყვეტილებისთვის ემზადება - შეგრტი უნდა დამთავრდეს, ასეთია თითქმის ოფიციალური ინფორმაცია...

არადა, იყო დრო, ეროვნული ნაკრების ფეხბურთელები შეგრტზე ამბობდნენ, ცოდნითა და მონდომებით გაგვაკვირვაო. ფეხბურთია და უნდა ვიკამათოთ, ოღონდაც, ახალგაზრდულ ნაკრებში შეგრტი ქართველი მწვრთნელის ადგილს რომ იკავებდა, ამაზე ადრეც შეიძლებოდა დაფიქრება და ცოტათი წინ გახედვა...

გვერდი მოამზადა
დავით თავართქილაძემ

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე პაატა გელაშვილი; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი მიხეილ ჯაში; ფოტო: ალექსანდრე კოტორაშვილი.
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).
თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge
მისამართი: იოსებიძის, 49. ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995 32 38 08 63, ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი


კახა კალაძე

## კალაძე ოპერაციას გადაურჩა

ორშაბათს საქართველოს ნაკრების კაპიტანი **კახა კალაძე** ბელგიაში, ცნობილ ქირურგ **მარკ მარტენსთან** გაემგზავრა მუხლის შესამოწმებლად. ქირურგს უნდა დაედგინა, სჭირდება თუ არა ქართველ მცველს ოპერაცია. კალაძეს რამდენიმე თვეა, აწუხებს ტკივილი მუხლის არეში და ამიტომაც გადაწყვიტა, მარტენსისთვის მიემართა. საბედნიეროდ, შემოწმებამ საოპერაციო ვერაფერი დაადგინა. ჩვენებურმა ეს „ტელე ლომბარდიის" ეთერშიც დაადასტურა, როცა განაცხადა, რომ მისი მუხლი ოპერაციას არ საჭიროებს. სანაცვლოდ, კალაძე ორი თვის განმავლობაში თერაპიის კურსს გაივლის, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არ ითამაშებს.

*„ოთხშაბათს ვარჯიშს განვაახლებ და იმედია, იტალიის ჩემპიონატში „ბოლონიასთან" ვითამაშებ კიდეც," -* უთხრა კალაძემ „ტელე ლომბარდიას".

რეიტინგი

## კუპერი მსოფლიოში მეთექვსმეტეა

საქართველოს ნაკრების დამრიგებელი **ექტორ კუპერი** მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელთა ჩამონათვალში მე-16 ადგილზეა - ასეთი შედეგი მოგვცა ფეხბურთის სტატისტიკისა და ისტორიის საერთაშორისო ფედერაციის (IFFHS) მორიგმა გამოკითხვამ. ჩვენი ეროვნული გუნდის მთავარმა მწვრთნელმა 23 ქულა დააგროვა. ასზე მეტი მწვრთნელის ჩამონათვალში ერთი ქართველიც არ არის.

მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მწვრთნელად ლეგენდარული შოტლანდიელი სერ **ალექს ფერგიუსონი** (78 ქულა) დაასახელეს, მეორე ადგილზე იტალიელი **მარჩელო ლიპია** (58), მესამეზე კი ფრანგი **არსენ ვენგერი** (53). სიაში სულ 14 არგენტინელია. კუპერი მხოლოდ ორ თანამემამულეს - **მარსელო ბიელსასა** (34) და **კარლოს ბიანკის** (33) ჩამორჩება.

მოგეხსენებათ, ნებისმიერი გამოკითხვა მაინც სუბიექტურია, თუნდაც საქმეს IFFHS-ის მსგავსად უდგებოდნენ - გამოკითხვა ყოველწლიურად ეწყობა და შემდეგ ჯამდება. სიაშიც ბევრ საკამათოს აღმოაჩენთ. ერთია მთავარი - ამ გამოკითხვამ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ნაკრების მწვრთნელად უმაღლესი დონის სპეციალისტი გვყავს. აი, გუნდისა კი რა მოგახსენოთ...

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძემ**

მესხეთი

# მესხელი გადადგა

## ახალციხელები ჩემპიონატში მაინც ითამაშებენ


გია მესხელი

უმაღლესი ლიგის გუნდების დიდი უმრავლესობა სეზონის მეორე ეტაპისთვის მზადებას უკვე შეუდგა. ახალციხის „მესხეთის" ფეხბურთელები კი ჯერაც არ შეკრებილან. მიზეზი ძველი და ბანალურია - უსახსრობა. ფინანსური კრიზისის გამო, ჯერ კიდევ ნოემბერში იყო საფრთხე, რომ „მესხეთს" ჩემპიონატში მონაწილეობა ველარ გაეგრძელებინა. თუმცა კლუბის პრეზიდენტ **გია მესხელის**, ახალციხის გამგეობისა და ცალკეული ადგილობრივი ბიზნესმენების ერთობლივი ძალისხმევით გუნდმა ზამთრის პაუზამდე მიაღწია.

სატრანსფერო პერიოდი დაიწყო და გუნდი წამყვანმა ფეხბურთელებმა დატოვეს. მეკარემ და გუნდის კაპიტანმა **გიორგი სომხიშვილმა** ზუგდიდის „მგლებს" მიაშურა, მცველი **დიმიტრი ლეკიშვილი** ბოლნისის „სიონშია", ნახევარმცველი **ლევან თედიაშვილი** რუსთავის „ოლიმპში", მცველი **გიორგი კვახაძე** კი ცხინვალის „სპარტაკში". ამ ფეხბურთელების სხვა კლუბებში გადაბარგებას კი უმალ მოჰყვა მითქმა-მოთქმა - „მესხეთი" დაიშალა და ჩემპიონატში ველარ ითამაშებსო... მართალია, საქმე ჯერ აქამდე არ მისულა, თუმცა გუშინ მნიშვნელოვანი ამბავი გავიგეთ - პრეზიდენტი მესხელი თანამდებობიდან გადადგაო. ეს თავად მესხელთან გადავამოწმეთ. მან გადადგომის ამბავი დაადასტურა:

*„დიახ, ასეა, კლუბის პრეზიდენტის პოსტი დავტოვე. ამ ხნის განმავლობაში ახალციხელ ბიზნესმენებსა და გამგეობასთან ერთად შევძელით ის, რაც შევძელით - პირველად, არსებობის ისტორიაში გუნდი უმაღლეს ლიგაში გადავიყვანეთ. თუმცა ფინანსური პრობლემების გამო კლუბის არსებობა ეჭვქვეშ დადგა. მე გადავდექი, კლუბის ახალი პრეზიდენტის ვინაობა კი ერთ კვირაში გახდება ცნობილი. „მესხეთი" ჩემი ცხოვრების ნაწილია და ამიერიდან, ამ გუნდის ერთი რიგითი გულშემატკივარი ვიქნები. რამდენადაც ვიცი, კლუბს კარგი პატრონი ეყოლება და ეროვნულ ჩემპიონატშიც ღირსეულად იასპარეზებს," -* უთხრა „ლელოს" მესხელმა.

ჩვენი ინფორმაციით, მესხელის მემკვიდრე ბიზნესის სფეროს რომელიმე ქართველი წარმომადგენელი იქნება. „მესხეთი" კვირის ბოლოს შეუდგება მზადებას და ახალ ფეხბურთელებსაც დაიმატებს. მეტიც - გაზაფხულზე ახალციხის ცენტრალურ სტადიონზე მაღალი ხარისხის ხელოვნური საფრის დაგება დაიწყება. გეგმის მიხედვით, მომდევნო ეროვნულ ჩემპიონატში „მესხეთი" საშინაო მატჩებს მშობლიურ ქალაქში ჩაატარებს...

ვნახოთ, რას იზამს კლუბის ახალი ხელმძღვანელობა. ჯერჯერობით მათი უმთავრესი ამოცანა გუნდის დაკომპლექტება და უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება იქნება.

**ნიკა გვათუა**

სიონი

# მიქუჩაძე გამოირიცხა

## კორღალიძემ ქობულეთში 23 ფეხბურთელი წაიყვანა


ოთარ კორლალიძე

დღეს დილით ბოლნისის „სიონი" ქობულეთს გაემგზავრა. **ოთარ კორლალიძის** გუნდი 1-ელ თებერვლამდე ზღვისპირა ქალაქში ივარჯიშებს. „სიონის" თავკაცმა აჭარაში 23 ფეხბურთელი წაიყვანა. ქვემოქართლელთა შემადგენლობა ასე გამოიყურება:

მეკარეები - **მინდია ბობლიაშვილი, ნიკა გურგენიძე;**

მცველები - **რევაზ ქემოკლიძე, ლადო კაკაშვილი, დავით სვანიძე, ირაკლი ვაშაკიძე, ჯაბა მუჯირი, სერგი ორბელაძე, დიმიტრი ლეკიშვილი, კახა ალადაშვილი, ოთარ ნაყოფია;**

ნახევარმცველები - **ზაზა ჭელიძე, ლევან სანიკიძე, კობა შალამბერიძე, ლევან ბაჯელიძე, გიორგი ხიდეშელი, გივი დიდავა, არჩილ ალავიძე;**

თავდამსხმელები - **სულიკო დავითაშვილი, ირაკლი შენგელია, რევაზ გოცირიძე, ლაშა რუსიეშვილი, ლევან უგულავა.**

როგორც ხედავთ, ჩამონათვალში რამდენიმე ახალი ფეხბურთელია. მათი ტრანსფერების შესახებ უკვე გაცნობეთ. სიაში რამდენიმე უცნობი მოთამაშეცაა და მათზეც გეტყვით. მეკარე **ნიკა გურგენიძე** და თავდამსხმელი **ლევან უგულავა** კორლალიძემ „სიონის" დუბლებიდან აიყვანა. ფორვარდი **ლაშა რუსიეშვილი** ადრე ლანჩხუთის „გურიაში" თამაშობდა, ბოლოს კი - „ზოოვეტში". ბოლნისელებს რუსთავის „ოლიმპიდან" ფორვარდ **აკაკი მიკუჩაძის** იჯარით დამატებაც უნდოდათ. ამ თავდამსხმელზე წინა კვირაში კლუბებს შორის მოლაპარაკება ჩიხში შევიდა, გუშინწინ ისევ განახლდა, მაგრამ ეს ტრანსფერი მაინც არ გამოვა. მიკუჩაძე არა, მაგრამ ბოლნისელებს, როგორც ვწერდით, შესაძლოა, ერთი ფეხბურთელი კიდევ დაემატოთ. ლაპარაკია „ზესტაფონიდან" წამოსულ მეკარე **გრიგოლ ჭანტურიაზე**, რომელმაც კლუბს ფეხბურთის ფედერაციაში უჩივლა. ჭანტურიას საკითხი 22 იანვარს განიხილება. თუ საქართველოს ნაკრების ყოფილმა კიპერმა თავისუფალი აგენტის სტატუსი მოიპოვა, მაშინ ის ბოლნისელებს ქობულეთში შეუერთდება.

„სიონი" ქობულეთში რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას გამართავს. კორლალიძის გუნდი პირველ სპარინგს 23 იანვარს, ზუგდიდის „მგლებთან" ჩაატარებს.

**დავით ცაბაძე**

ვიტ ჯორჯია

არშემდგარი ტრანსფერი

# ლომაია შენარჩუნებულია



თბილისის „ვიტ ჯორჯიამ" ახალი კონტრაქტი გაუფორმა 23 წლის ცენტრალურ მცველ **დავით ლომაიას**, რომელსაც უცხოეთში სურდა კარიერის გაგრძელება, მაგრამ ამ ეტაპზე ეს არ გამოვიდა. ვიტელებთან უწინდელი ხელშეკრულება ლომაიას მიმდინარე სეზონის პირველი ეტაპის ბოლოს დასრულდა. დათომ უკრაინაში სცადა მოწყობა, თუმცა აქედან ხეირი ვერ ნახა და სამშობლოში დაბრუნდა. ჰოდა, აქტუალური გახდა „ვიტ ჯორჯიაში" მისი დაბრუნებაც. ვეტერინარებმა კი თადარიგი ჯერ კიდევ მაშინ დაიჭირეს, როცა ლომაიასთან ხელშეკრულების ვადა ამოიწურა - „გაგრიდან" ცენტრალური მცველი **ნიკა მგელაძე** გადაიბირეს.

**ალექსანდრე კვახაძისა** და ლომაიას დუეტი სეზონის პირველ ეტაპზე ვინძლო საუკეთესო იყო საქართველოში. „ვიტ ჯორჯიიდან" წასვლა კვახაძესაც სურდა, მაგრამ კლუბმა ის დარჩენაზე დაიყოლია. როგორც ხედავთ, ჩემპიონატის ლიდერმა ლომაიას შენარჩუნებაც მოახერხა. ასე რომ, გუნდის თავკაც **რამაზ მუმლაძეს** ოქროსთვის ბრძოლაში, წესით, პრობლემა არ უნდა ჰქონდეს. ერთი წამყვანი ფეხბურთელის გამოკლებაც კი საათივით აწყობილი მექანიზმის მოშლას გამოიწვევდა.

რაც შეეხება ლომაიასთან ახალი კონტრაქტის ხანგრძლივობას, ეს კონფიდენციალურია. მას ეროვნულ ნაკრებში ერთი მატჩი აქვს ჩატარებული **კლაუს ტოპმიოლერის** მწვრთნელობისას - აზერბაიჯანთან ამხანაგურ შეხვედრაში (1:1) შეცვლაზე ითამაშა. კვახაძე, ლომაია და მგელაძე - სამი კარგი ცენტრალური მცველი და მხოლოდ ორი ადგილი ძირითადში, იმას ნიშნავს, რომ „ვიტ ჯორჯიის" დაცვაში მძაფრი კონკურენცია იქნება.

**დავით თავართქილაძე**


რამაზ მუმლაძე

## ოთხი სპარინგი ანთალიაში

„ვიტ ჯორჯია" ანთალიაში მზადებას განაგრძობს. ვეტერინართა გუნდის განკარგულებაში სამი სათამაშო მოედანია. **რამაზ მუმლაძე** გუნდს დღეში ორჯერ ავარჯიშებს. ყველა ფეხბურთელი მწყობრშია და სრული დატვირთვით გადის საწვრთნელ პროცესს. როგორც შევიტყვეთ, ვიტელები თურქული შეკრების დროს ოთხ ამხანაგურ მატჩს გამართავენ. 23 იანვარს საქართველოს ჩემპიონატის ლიდერი რუმინეთის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე „პანდურს" ეთამაშება, 25-ში ყაზახეთის „ვოსტოკს", 28-ში ისევ რუმინულ „სპორტულს", 31 იანვარს კი დასკვნით საკონტროლო შეხვედრას ჩაატარებს რუსული პრემიერლიგის ბინადარ „ტომთან".

**დავით ცაბაძე**

თანამეგობრობის თასი

# მენთეშაშვილი თარხნიშვილის წინააღმდეგ

გუშინ დსთ-სა და ბალტიის ქვეყნების თასის ჯგუფური ეტაპი დასრულდა. ამ ტურნირში პირველად არ თამაშობს საქართველოს ჩემპიონი, თუმცა სხვადასხვა გუნდში ოთხი ქართველი ლეგიონერი ირიცხება. რუსეთის ჩემპიონი ყაზანის „რუბინი" შესუსტებული შემადგენლობით თამაშობს და შედეგიც შესაბამისი აქვს - ჯგუფიდან ვერ გავიდა. ბოლო ტურში ყაზანელებმა, 0:2-ის შემდეგ, „არარატის" დამარცხება (3:2) შეძლეს, მაგრამ მეოთხედფინალში გასასვლელად ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. A ჯგუფში რუსეთის ჩემპიონმა 4 ქულა დააგროვა და მესამე ადგილით დაკმაყოფილდა. დსთ-ს თასზე „რუბინის" რიგებში მეკარე **ნუკრი რევიშვილმა** და საქართველოს ნაკრების მცველმა **ლაშა სალუქვაძემ** ითამაშეს. გუნდის არ იყოს, თავი ვერც მათ გამოიჩინეს. „არარატთან" ჩვენებურებს არ უთამაშიათ.

მეოთხედფინალში ორი ქართველის გუნდი შეხვდება ერთმანეთს - **ვაჟა თარხნიშვილის** „შერიფი" და **ზურაბ მენთეშაშვილის** „ვენტსპილსი". ამ უკანასკნელმა ახალგაზრდული შემადგენლობით 0:2 წააგო ბაქოს „ინტერთან", ხოლო „შერიფი" ესტონურ „ლევადიას" დაუზავდა (0:0). ვაჟას და ზურას არ უთამაშიათ, რადგან ეს შეხვედრები მათი გუნდებისთვის არაფრისმომტანი იყო და მწვრთნელებმა პლეიოფისთვის დაასვენეს. ლატვიურ-მოლდოვური დაპირისპირება დღეს გაიმართება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლეგიონერი

## გეფერიძე კვლავ ლიდერია

ღაზას სექტორში ომის გამო ისრაელის ქალაქები პერიოდულად იბომბებოდა, მიუხედავად ამისა, ებრაულმა ფეხბურთის ასოციაციამ მხოლოდ ერთი ტური „ჩააგდო". საფეხბურთო სეზონი განახლდა რანგით მეორე ლეუმითლიგაშიც, სადაც ერთპიროვნულმა ლიდერმა ჰაიფას „ჰაპოელმა" შინ კფარ-სავას „ჰაპოელთან" 0:0 ითამაშა. მასპინძლებია ფორვარდმა **ირაკლი გეფერიძემ** 90 წუთი დაჰყო მოედანზე. დაკარგული ქულების მიუხედავად, „ჰაპოელის" მდგომარეობა მყარია. ეს გუნდი 16 თამაშიდან 35 ქულით ლიდერობს, უახლოეს მეტოქეს კი 7 ქულით უსწრებს, თანაც, უმაღლეს ლიგაში წლეულს 5 გუნდი გადადის. 21 წლის ქართველმა 16 მატჩში 5 გოლი გაიტანა.

## გოგობერიშვილი ოლიმპიკში და ახალკაცის ბენეფისი

ანთალიაში შეკრებაზე მყოფმა აზერბაიჯანის ვიცე-ჩემპიონმა „ოლიმპიკმა" რუსულ პრემიერლიგაში მე-6 ადგილზე გასულ „კრილია სოვეტოვს" 4:2 მოუგო. გულშემატკივარი **რომან ახალკაცის** ბენეფისის მომსწრე გახდა, თუმცა, ვიდრე მატჩის გმირზე ვიტყოდეთ, უფრო მნიშვნელოვან ამბავს გამცნობთ - „ოლიმპიკის" მაისურით ითამაშა **ალექსანდრე გოგობერიშვილმა**, რომელმაც ახლახან „ყარაბახთან" კონტრაქტი გაწყვიტა. „აზერიფუტბოლის" მტკიცებით, გამოცდილმა ნახევარმცველმა უკვე გააფორმა კონტრაქტი „ოლიმპიკთან". ხელშეკრულება სეზონის ბოლომდეა ძალაში.

რაც შეეხება ახალკაცს, „კრილიასთან" მატჩში მის ანგარიშზე დუბლი და საგოლე პასია. რომანმა პირველი გოლი 37-ე წუთზე გაიტანა, „ოლიმპიკმა" კი ტაიმი 1:2 წააგო. მეორე ნახევარში ბაქოური კლუბის უპირატესობა აშკარა იყო. ახალკაცმა თავი 70-ე წუთზეც გამოიჩინა.

## ინწკირველი ქარვანს დაუბრუნდა

ქართველი ფეხბურთელები აზერბაიჯანიდან მოდიან, კლუბებს იცვლიან, ან ისევ აზერბაიჯანში მიდიან. **ლექსო ინწკირველმა** კი ახალი პრეცედენტი შექმნა - 27 წლის მცველი 2005-08 წლების სეზონებში „ქარვანის" ღირსებას იცავდა, შარშან ზაფხულში თბილისის „დინამოში" გადავიდა და... ორშაბათს ისევ „ქარვანთან" გააფორმა ხელშეკრულება, ამჯერად, 2010 წლის ივლისამდე. შეგახსენებთ, რომ „ქარვანში" **მიხეილ მესხიც** თამაშობს.

## რუბინმა გვაზავა უარყო

რუსეთის ჩემპიონი „რუბინი" თურქული შეკრებიდან შინ დაბრუნდა. 24 იანვარს თათრული კლუბი უკვე ესპანურ მარბელიას მიაშურებს. გუნდს ყველა ვარიანტში გაჰყვება **დავით კვირკველია**, დსთ-ს თასზე „რუბინის" რიგებში მოთამაშე **ნუკრი რევიშვილსა** და **ლაშა სალუქვაძეს** კი საამისო შანსი ნაკლებად აქვთ. ახლახან, „რუბინის" თავკაცმა **ყურბან ბერდიევმა** უარყო ხმები, თითქოს გუნდში ქართველი ნახევარმცველი **ლევან გვაზავა** („ლუჩი") გადადის.

პრემიერლიგიდან გავარდნილმა „ლუჩმა" კი მზადება დაიწყო, თუმცა უქართველოდ. ოფიციალური მიზეზი, რის გამოც გვაზავა გუნდთან ერთად შეკრებაზე არ იმყოფება, ანგინაა. კლუბის დირექტორმა **ანატოლი ბეზნიაკმა** განაცხადა - ქართველი ახალ გუნდს ეძებსო, მაგრამ იქვე არ გამორიცხა, რომ გვაზავამ კვლავ „ლუჩში" ითამაშოს.

## თეთრაძე დინამოს დაუზავდა

თურქულ შეკრებაზე მყოფმა მახაჩყალის „ანჟიმ" სპარინგმატჩში მოსკოვის „დინამოს" არაფერი დაუთმო - 1:1. **ომარ თეთრაძემ** ეს შედეგი სამართლიანად მიიჩნია. აი, მისი კომენტარიც:

*„დღეს თამაშის ხარისხი და მსვლელობა უფრო მაფიქრებს, ვიდრე შედეგი. ასეთ გუნდთან დადებით შედეგს ჩვენთვის დიდი ფსიქოლოგიური მნიშვნელობა აქვს. ამასთან, სამუშაო ძალიან ბევრი გვაქვს, განსაკუთრებით, ტაქტიკურ საკითხებში".*

მხოლოდ ერთმა ქართველმა, **ედიკ საჯაიამ** დაჰყო მოედანზე 90 წუთი. პირველი ტაიმი ითამაშეს **ზურაბ არზიანმა** და **გოჩა ხოჯავამ**, მეორე - **სანდრო იაშვილმა**. მე-60 წუთზე შეცვალეს **კახა ალადაშვილი** და **ოთარ მარცვალაძე**, 70-ეზე კი **გიორგი ნავალოვსკი**. ჩვენებურებს თავი დიდად არ გამოუჩენიათ.

## ბოიარკა გაანადგურეს

კიევში, მაკაროვის მემორიალზე მოასპარეზე „დინამო 2" ჯგუფური ეტაპის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე გავიდა მეოთხედფინალში. კიეველებმა ბოიარკას „ზენიტი" გაანადგურეს - 4:1. **ლაშა თოთაძემ** და **დავით იმედაშვილმა** პირველი ტაიმი ითამაშეს, ხოლო უკრაინის მოქალაქე **თეიმურაზ ფარცვანიამ** - მეორე. ამ შეხვედრას უკრაინის ნაკრების თავკაცები სრული შემადგენლობით დაესწრნენ.

გაგრა

# ნიგერიელის დუბლი და უკრაინელის მოლოდინი

„გაგრა" ანთალიაში შეკრებას აგრძელებს. ლიეპაიას „მეტალურგსთან" მატჩის (0:0) შემდეგ მეკარე **რევაზ თევდორაძემ** „გაგრის" ვებგვერდთან კომენტარი გააკეთა. აღსანიშნავია, რომ ლატვიელებთან შეხვედრაში მან გუნდი რამდენჯერმე იხსნა აშკარა გოლისგან:

*„საინტერესო შეხვედრა გამოდგა, ორმხრივი შეტევებით, ბევრი საგოლე შანსით, თუმცა ბურთები არ გასულა. მომენტები ჩემს კართანაც შეიქმნა. თავის ქებას არ დავიწყებ, მაგრამ რამდენჯერმე მოვახერხე გუნდის გადარჩენა... ჩვენ კი ოთხი-ხუთი ასპროცენტიანი შანსი გვქონდა. გაბედავას დარტყმული ძელსაც მოხვდა, მას კიდევ ორჯერ შეეძლო თავის გამოჩენა. უნდა გაეტანათ აბაშიძესა და ცხადაძესაც. „მეტალურგსი" ლატვიის ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა და მგონი, ასეთ ძლიერ მეტოქესთან ფრე ურიგო შედეგი არ უნდა იყოს. იმედი გვაქვს, მომავალ შეხვედრებში გავიმარჯვებთ"* - ამბობს თევდორაძე.

ამასობაში კი კლუბის ვიცე-პრეზიდენტმა **გოდერძი ჩიხრაძემ** გვითხრა, რომ გუნდში უკრაინელი ლეგიონერი უნდა მისულიყო. ის მარჯვენა მცველია. ამ ფეხბურთელის აყვანა „გაგრის" პრეზიდენტს უკრაინელმა მეგობრებმა ურჩიეს. მაგრამ მას ჯერ ვლადიმერ ხაჩიძე უნდა დააკვირდეს.

ნიგერიელი თავდამსხმელი 16 წლის **ოვონიკოკო აბაიომი სეუნი** კი თბილისშია. „გაგრის" ხელმძღვანელობას მისი საქმეში ნახვა სურდა და საამისოდ, **კახი გოგიჩაიშვილს** მიმართეს. 35-ე სკოლის უფროსის ასაკის გუნდის მწვრთნელმ აფრიკელი ფეხბურთელი ორმხრივ მატჩში ათამაშა. ოვონოკოკიმ საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა. დაღლილობის გამო, რაც მგზავრობით იყო გამოწვეული, ნიგერიელმა მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა და ამის მიუხედავად, 2 გოლის გატანაც მოასწრო.

თამაშის შემდეგ აფრიკელს გავესაუბრეთ...

- რამდენიმე წელია ,"ბრაიტონის" საფეხბურთო აკადემიაში ვვარჯიშობ, პროფესიონალების გუნდში კი ჯერ არ მითამაშია. მე ხომ სულ რაღაც 16 წლის ვარ. თუკი აქ დავრჩები, სწავლას აუცილებლად გავაგრძელებ. მსურს, ბიზნესის ფაკულტეტი დავასრულო.

**- საქართველოში როგორ აღმოჩნდი?**

- დამეხმარა ჩემი მენეჯერი, რომელიც „გაგრის" პრეზიდენტს იცნობს. მიხარია, რომ აქ ჩამომიყვანა, საქართველოში ძალიან თბილი ხალხი ცხოვრობს, გუნდშიც მშვენივრად დამხვდნენ.

**- „გაგრაში" ჩარიცხვის იმედი გაქვს?**

- ჯერ „გაგრა 2-ში" მავარჯიშებენ და როცა ძირითადი გუნდი ჩამოვა, სწორედ მაშინ შევაფასებ, რეალურად რა შემიძლია. სხვათა შორის, გუნდში ფიზმომზადების ძლიერი სპეციალისტი ჰყავთ. სულ 3 დღის ჩამოსული ვარ, თბილისში გამოფრენას ერთი კვირა ველოდი და თავადაც ხვდებით, მგზავრობისთვის რამხელა დრო დამჭირდებოდა. ამ მწვრთნელმა კი (შალვა ნადირაძე - ავტ) უცებ მომიყვანა ჯანზე. არადა, დაღლილობისგან ფეხზე ვერ ვიდექი...

**- აქამდე გვეგონა, რომ აფრიკელები, თავიანთი ფიზიკურის მონაცემების წყალობით, თითქმის არ იღლებოდნენ...**

- ჩემი ჯანითა და გამძლეობით საკმაოდ კმაყოფილი ვარ, მაგრამ 3 დღე აეროპორტში რომ იქნები და მერე საკმაოდ დიდ გზას გამოივლი, ბუნებრივია, დაიღლები.

**- აფრიკის შემდეგ, საქართველო ალბათ ანტარქტიდად მოგეჩვენა...**

- არა, ნამდვილად არა. მაძალებენ, თბილად ჩაიცვიო, მაგრამ ქურთუკის ჩაცმა არ მიყვარს, არც მცივა და საერთოდაც, თავს მშვენივრად ვგრძნობ. თუმცა თამაშისას, სირბილის დროს, სახეში ცივი ჰაერი რომ მხვდებოდა, სუნთქვა მიჭირდა. ასეთ კლიმატში თამაშს შეუჩვეველი ვარ. საქართველოს კიდევ რა უჭირს - ჩემი მეგობარი გარიუ ოსენი მოსკოვის ცსკა-ში თამაშობს. რუსეთში გასასინჯად მეც ვიყავი და საკონტროლო შეხვედრაც ჩავატარე. რუსულ ყინვებს გავუძელი და აქ რა პრობლემაა?

**- ცსკა-ში რატომ ვერ დარჩი?**

- ჩემმა მენეჯერმა გუნდთან ვერ მოილაპარაკა და ნიგერიაში დავბრუნდი.

**- ნაკრებში თუ გითამაშია?**

- ფედერაციის პრეზიდენტი ენრი უონსო 17-წლამდელთა ნაკრებში გამოძახებას შემპირდა.

**- ანუ, აქამდე ასაკობრივ ნაკრებში არ გითამაშია?**

- არა, ნაკრებში ჯერ არ მითამაშია...

**მერაბ მამულაშვილი**



ოვონიკოკო აბაიომი სეუნი



ოლექსანდრ ომელიანოვი

მგლები

# ომელიანოვის გამო თავს არ მოვიკლავ...

## შეროზია ფორვარდის ძიებას აგრძელებს

ზუგდიდის „მგლები" 18 იანვარს ურეკში, სასტუმრო „კოლხიდაში" დაბანაკდა და მოსამზადებელი ეტაპის დასკვნით ფაზას შეუდგა. გუნდში არსებულ სიტუაციაზე გუნდის მთავარი მწვრთნელი **ბესიკ შეროზია** გვესაუბრა.

*„მზადება სამი დღის წინ დავიწყეთ. კმაყოფილი ვარ იმ მოსამზადებელი პირობებით, რაც „კოლხიდაში" შეგვიქმნეს. ფიზიკურად ვემზადებით, მალე საკონტროლო შეხვედრებსაც გავმართავთ. 23 იანვარს ურეკის სტადიონზე ბოლნისის „სიონს" ვეთამაშებით. მსურს, 25 იანვარსაც ვითამაშოთ, მაგრამ ჯერ არ ვიცით, ჩამოვა თუ არა ცხინვალის „სპარტაკი", ვისთან სპარინგსაც ვგეგმავდით. „სპარტაკი" აქ ჯერ არ გამოჩენილა. არადა, ვიცოდით, რომ ცხინვალელები ქობულეთში უნდა მომზადებულიყვნენ. ერთი მეტოქეც პირველი ლიგიდან გვინდა, რომ შევარჩიოთ და 28 იანვარს ვეთამაშოთ".*

ზუგდიდელთა მოლოდინი არ გამართლდა - მათ უკრაინელი ლეგიონერის, **ოლექსანდრ ომელიანოვის** დამატება სურდათ, თავად ფეხბურთელიც მზად იყო, „მგლებში" ეთამაშა, მაგრამ...

*„დღე-დღეზე ომელიანოვის ჩამოსვლას ველოდებოდით, მაგრამ ჩვენდა მოულოდნელად, მან საქართველოში თამაშზე უარი განაცხადა. როგორც მივხვდი, ანალოგიური პირობები უკრაინაშიც შესთავაზეს და წამოსვლა არ ისურვა. ასე რომ, თავდამსხმელს ისევ ვეძებთ. ომელიანოვის იმედი რომ არ მქონოდა, თამაშს არც შევთავაზებდი. თუმცა მისი უარის გამო, თავს ნამდვილად არ მოვიკლავ და ვეცდები, არანაკლებ ძლიერი შემცვლელი მოვუძებნო. თუ კაცს შენს გუნდში თამაში არ სურს, მასთან ლაპარაკიც არ ღირს"* - ამბობს შეროზია.

**მერაბ მამულაშვილი**

გამორჩეული

# ყენია 25 საუკეთესოს შორის

ვებგვერდმა www.spox.com-მა მსოფლიოს მასშტაბით 21 წლამდე ასაკის 25 საუკეთესო ფეხბურთელი დაასახელა. მათ შორისაა საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და „შალკეს" ნახევარმცველი **ლევან ყენიაც**. ხსენებული წყაროს ვერსიით, გამორჩეული ახალგაზრდები არიან - ლონდონის „არსენალში" მოთამაშე 20 წლის ბრაზილიელი **დენილსონი**, მისივე თანაკლუბელი, 19 წლის ინგლისელი **თეო უოლკოტი**, „ბაიერნის" 19 წლის ტალანტი **ტონი კროოსი**, „მანჩესტერ იუნაიტედის" 18 წლის ბრაზილიელი **რაფაელი**, „ტოტენჰემში" მოთამაშე 19 წლის მექსიკელი **ჯოვანი დოს სანტოსი**, „ლევერკუზენის" 20 წლის ბრაზილიელი **რენატო**, წარმოშობით თურქი და გერმანიის მოქალაქე, „ვერდერის" 21 წლის ნახევარმცველი **მესუთ იოზილი**, „ჰოფენჰაიმის" 21 წლის გერმანელი მცველი **ანდრეას ბეკი**, „ლუგანოს" 20 წლის იტალიელი **ვინჩენცო რენელა**, „ვალიადოლიდში" მოთამაშე **სერხიო ასენიხო**... ყენია 25-ე ადგილზე აღმოჩნდა, თუმც დაგვეთანხმებით, ქართული ფეხბურთის იმედად შერაცხული ნახევარმცველისთვის ესეც პატივია.

ვებგვერდმა 25-ივე ფეხბურთელი ორიოდე სიტყვით დაახასიათა. აი, რას ვკითხულობთ ლევან ყენიაზე:

*„ყენიაზე „შალკეში" დიდ იმედებს ამყარებენ. მან ჯერ კიდევ 17 წლისამ დაიმსახურა გერმანული კლუბის ყურადღება. კლაუს ტოპმიოლერმა ის სწორედ იმ დროს აიყვანა ეროვნულ ნაკრებში და „პატარა ვირტუოზმაც" იმედები გაამართლა. საქართველოს ნაკრებში ყენია დღეს საკვანძო ფიგურაა და ეროვნული გუნდის მაისურით 14 მატჩში 3 გოლიც აქვს გატანილი".*

**დავით ცაბაძე**



ლევან ყენია

იუბილარი

ლევან ნოდია 60

# გვიანი მილოცვა

ნარსულში ცნობილ ქართველ ფეხბურთელს ლევან ნოდიას ამ რამდენიმე დღის წინ ლამაზი იუბილე ჰქონდა - 60 წელი შეუსრულდა! სამშობლოში მცირე ხნით ჩამოსული იუბილარი, სამწუხაროდ, სასაუბროდ ვერ მოვიხელთეთ; სამაგიეროდ, გუშინ სომხეთში შევეხმიანეთ და ასე, დაგვიანებით მივულოცეთ დაბადების დღე. შეგახსენებთ, რომ თბილისის „დინამოს“ ისტორიაში ერთ-ერთი გამორჩეული გარემარბი უკვე ერთი წელია სომხეთში მოღვაწეობს - უმაღლესი ლიგის გუნდის „მიკას“ ვიცე-პრეზიდენტი გახლავთ. ახალი სეზონიდან კი ერევნის ამ გუნდში კიდევ ერთი ჩვენი ძველი და კარგი ნაცნობი, ხორვატი ივო შუშაკი იმუშავებს, რომელიც ცოტა ხნის წინ „მიკას“ მთავარ მწვრთნელად დაინიშნა. შუშაკთან ინტერვიუს, სავარაუდოდ, მომავალ კვირას შემოგთავაზებთ, მანამდე კი ლევან ნოდიას მოვუსმინოთ, ვისთანაც საუბარი, რაღა თქმა უნდა, დაგვიანებული მილოცვით დავიწყეთ...



ლევან ნოდია ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

- თბილისში რამდენიმე დღით ვიყავი ჩამოსული, მაგრამ ეს მრგვალი თარიღი ზარ-ზეიმით არ აღმინიშნავს. პირიქით: ძალიან მინდოდა, ვინმეს ერთი-ორი თბილი სიტყვა ჩემს ძმაზე ეთქვა - გივის ხომ ორ იანვარს ჰქონდა დაბადების დღე...

**- ცხონებულ გივი ნოდიას და ივო შუშაკს ერთმანეთთან განსაკუთრებული მეგობრობა ჰქონდათ. ხორვატ მწვრთნელთან ერთად ახლა თქვენ მუშაობთ...**

- როცა „მიკას“ გაწვრთნა შევთავაზეთ, იცით, რა თქვა? გივი ისე მიყვარდა, მის ძმას უარს ვერ ვეტყვიო...

**- შუშაკზე მერე შეგეკითხებით; მანამდე კი თქვენს საქმიანობაზე გვიამბეთ.**

- უკვე ერთი წელია კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ვარ; თუმცა, წინა სეზონში რამდენჯერმე ისეთი სიტუაციაც შეიქმნა, როცა გუნდის მთავარ მწვრთნელს ვეხმარებოდი. სამწუხაროდ, „მიკაში“ მწვრთნელი რამდენჯერმე შეიცვალა: ჯერ არკადი ანდრეასიანი დაითხოვეს, მერე მისი შემცვლელი იშტვან სეკეჩი.

**- საერთოდაც, როგორ მოხვდით სომხეთში?**

- ქართველი ვეტერანები რამდენჯერმე ჩავედით ერევანში ამხანაგური მატჩების ჩასატარებლად - ჯერ ედუარდ მარქაროვის იუბილეზე, მერე - არკადი ანდრეასიანის. მოგეხსენებათ, თავის დროზე ორივე რა დონის ფეხბურთელი იყო; თანაც, პირადად ჩემთანაც და ბევრ ქართველ ფეხბურთელთან ჩინებული ურთიერთობაც ჰქონდათ. ამას გარდა, გადამწყვეტი როლი შეასრულა „მიკას“ მეპატრონის მიხეილ ბაღდასაროვის ფაქტორმაც.

- ეს პიროვნება ვინ არის?

- ყოფილი ფეხბურთელია და დიდი ხანია, ვმეგობრობთ. საკმაოდ სოლიდურ ბიზნესს ფლობს - სომხეთში ერთ-ერთი უდიდესი კორპორაცია აქვს და აქაური ყველაზე ცნობილი ავიაკომპანია „არმავიაც“ მას ეკუთვნის. თუმცა, მთავარი მაინც მისი ფეხბურთისადმი დამოკიდებულებაა - ჰოდა, დახმარება მთხოვა და როგორც გითხარით, ერთი წელიწადია უკვე აქ ვარ.

**- სომხეთში ფეხბურთის დონე მაღალია?**

- ამას ნამდვილად ვერ ვიტყვი - ალბათ, ისეთივეა, როგორიც საქართველოში. უმაღლეს ლიგაში რვა გუნდი მონაწილეობს და ოთხწრიანი ჩემპიონატია. სამწუხაროდ, მწვრთნელების ცვლამ სასურველი შედეგი ვერ მოგვიტანა და მხოლოდ მეოთხე ადგილს დავჯერდით. არადა, მედლებამდე ერთი ქულა დაგვაკლდა.

**- როგორც ვიცით, „მიკაში“ ქართველი ფეხბურთელებიც თამაშობდნენ.**

- ირაკლი ცანავა და სოსო გრიშიკაშვილი ისევ გუნდში დარჩნენ, აი, ზაზა სახოკია კი წამოვიდა.

**- ქომაგების დასწრების მხრივ რა მდგომარეობაა?**

- ჩემპიონატის თამაშებზე ბევრი გულშემატკივარი არ დადის - ამ შემთხვევაშიც საქართველოს მსგავსი სურათია. სამაგიეროდ, ეროვნული ნაკრების მატჩების დროს სტადიონი მუდამ სავსეა. ისე, ალბათ, თავშივე უნდა მეთქვა - ინფრასტრუქტურით ქართველებს ბევრად გვჯობიან. ეგ კი არა, წელს ამ მხრივ უფრო მეტი წინსვლაც იქნება.

**- „მიკას“ ხელმძღვანელობას ივო შუშაკის კანდიდატურა, ალბათ, თქვენ შესთავაზეთ.**

- აქ პირველად რომ ჩამოვედი, კლუბის მეპატრონემ გამანდო: ევროპული დონის სტადიონი უნდა ავაშენო და მწვრთნელიც ევროპული დონის უნდა გვყავდესო. უზარმაზარი კომპლექსია: ორი მოედნით, თანამედროვე სპორტდარბაზით და აღდგენითი ცენტრით. მოკლედ, სტადიონი როგორც კი აშენდა, მაშინვე შუშაკს დავუკავშირდი.

**- შუშაკი ხომ იმ დროს ხორვატიის ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბში მუშაობდა?**

- მართალი ბრძანდებით - ბოლო დროს შუშაკი ნაკრებში მუშაობდა და ხორვატების მომავალ მეტოქეებზე ინფორმაციების მოგროვება ევალებოდა. ხორვატიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი სლავენ ბილიჩი შუშაკის აღზრდილია; შუშაკი ერევანში რომ დავპატიჟეთ, ჩამოსვლაზე უარი არ უთქვამს; გავაცანით კლუბის ინფრასტრუქტურა, „მიკასა“ და „არარატის“ შეხვედრას დაესწრო და როცა ჩვენი გუნდის გაწვრთნა „შევაპარეთ“, აი, მაშინ გვითხრა ზუსტად ის სიტყვები: გივი ნოდიას ძმას უარს ვერ ვეტყვიო...

**- ჩინებული ინფრასტრუქტურა, სახელიანი და გამოცდილი მწვრთნელი; უნდა ვივარაუდოთ, რომ ახალ სეზონში „მიკას“ სერიოზული მიზნები ექნება.**

- ივოს თქვენც კარგად იცნობთ და, ალბათ, დამერწმუნებით, რომ ეს სპეციალისტი უამბიციო გუნდში ვერ იმუშავებს. მიზნები, მართლაც, სერიოზული გვაქვს: ახლახან დავბრუნდით სომხეთის სამთო კურორტ წახკაძორიდან, სადაც ათდღიანი შეკრება გვქონდა. ძირითადი აქცენტი ფიზიკურ მომზადებაზე გადავიტანეთ. თვის ბოლოს ჯერ თურქეთში გავემგზავრებით, იქიდან კი ესპანეთში გადავინაცვლებთ.

**- თქვენი პასუხებიდან გამომდინარე, ალბათ, ძლიერ ფეხბურთელებსაც შეიძენთ.**

- ამჟამად „მიკაში“ არაერთი ახალწვეულია; სომხეთის ნაკრების რამდენიმე ფეხბურთელი დავიმატეთ. ამას გარდა, ჩვენთან არიან ორი ესპანელი და ერთი კოტდივუარელი ფეხბურთელიც. სხვათა შორის, ამ უკანასკნელს პორტუგალიის უმაღლეს ლიგაში აქვს ნათამაშები. თუმცა, გუნდში ვინ დარჩება და ვინ - წავა, ამას მთავარი მწვრთნელი იმ ორი უცხოური შეკრების მერე გადაწყვეტს.

**- ბატონო ლევან, ახლა, იქნებ, თქვენს საფეხბურთო კარიერაზეც გვესაუბრა...**

- რა უნდა ვთქვა; ან, ნეტავ, ვის რაში დააინტერესებს?

**- რატომ? ბოლოს და ბოლოს, რამდენი წარმატება გქონდათ.**

- წარმატებებიც იყო და ბევრი ტკივილიც... აბა, როგორია, ფაქტობრივად, 26 წლის ასაკში ფეხბურთელის კარიერას რომ დაასრულებ? რა თქმა უნდა, უმძიმესი ფიზიკური ტრავმის გამოც მოხდა ყოველივე; თუმცა, არანაკლებ მტკივნეული იყო, თუ როგორ უსამართლოდ მოგვექცნენ მე და ჩემს ძმას თბილისის „დინამოში“...

**- მიზეზს არ დააკონკრეტებთ?**

- ღირს კი? თანაც, ამდენი დრო გავიდა...

**- და მაინც: 1975 წელს „დინამოში“ რა მოხდა?**

- თბილისის „დინამოსა“ და საბჭოთა კავშირის ნაკრების კაპიტნის მურთაზ ხურცილავას წინააღმდეგ ბინძური კამპანია წამოიწყეს. მოკლედ, „დინამოდან“ მისი მოცილება გადაწყვიტეს და... ამ საქმეში ფეხბურთელების ხელმოწერები გამოიყენეს. მე და გივიმ ხელი არ მოვაწერეთ... გივი მოსკოვის „ლოკომოტივში“ გადავიდა - ბომბარდირთა „ასიანთა“ კლუბში შესასვლელად ცხრა გოლიღა აკლდა. ოღონდ, თავიდანვე თქვა: „დინამოს“ წინააღმდეგ არ ვითამაშებო; მე კი მშობლიურ ქუთაისის „ტორპედოში“ დავბრუნდი, მაგრამ ერთი წელიც არ მითამაშია და კარიერა დავასრულე...

**- ძმები ნოდიების გარდა, იმ სიბინძურეს ხელი კიდევ რომელმა ფეხბურთელებმა არ მოაწერეს?**

- თუ არ ვცდები, ფირუზ კანთელაძემ და ვახტანგ ქორიძემ; ასევე, გუნდში ახალჩარიცხულმა ფეხბურთელებმაც. მაგრამ ეგ არ იყო მთავარი - „ზემოდან“ ვისაც უთხრეს, იმათი ხელმოწერა საკმარისი გამოდგა...

**- უფრო კარგიც გავიხსენოთ; მით უმეტეს, წელანაც ვახსენეთ, რომ თქვენ ბიოგრაფიაში ასეთი მომენტი მრავლად იყო.**

- 17 წლის ასაკში უკვე ქუთაისის „ტორპედოს“ ძირითადში ვთამაშობდი; სწორედ აქედან მიმიწვიეს საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრებში და თურქეთში ევროპის ჩემპიონიც გავხდი. ნახევარფინალში 75000 ქომაგის თვალწინ მასპინძლები დავამარცხეთ, ფინალში კი ინგლისის ნაკრები! სხვათა შორის, ინგლისელებს ძირითადის ცხრა ფეხბურთელი „მანჩესტერ იუნაიტედიდან“ ჰყავდათ, კარში კი პიტერ შილტონი იდგა. აი, იმ ევროპის ჩემპიონატის დასრულების მერე კი უკვე „დინამოში“ მიმიწვიეს.

**- „დინამოდან“, მართალია, გულნატკენი წახვედით, მაგრამ მანამდე ხომ ბევრი დასამახსოვრებელი მატჩიც გქონდათ?**

- როგორ არ იყო - საერთაშორისო ასპარეზზეც და საბჭოთა კავშირის ჩემპიონატშიც. რა თქმა უნდა, ვერ დავივიწყებ ევროტურნირებზე გატანილ რამდენიმე გოლს; ან, 1973 წელს, ესპანეთში საერთაშორისო ტურნირზე „კარაველას თასი“ რომ მოვიგეთ: ფინალში, ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გუნდი, ლისაბონის „ბენფიკა“ 3:1 დავამარცხეთ. თავდასხმაში მე, დათო ყიფიანი და ვლადიმერ გუცაევი ვთამაშობდით.

**- საბჭოთა კავშირის ნაკრებში მოხვედრა გამორიცხული იყო?**

- ყველაზე ახლოს ამ მიზანთან 1969 წელს ვიყავი: ჯერ ვლადიმერ მასლაჩენკოს კარში გავიტანე ორი გოლი; მერე იგივე გავიმეორე მოსკოვის „დინამოსთან“, სადაც მსოფლიოს ყველა დროის საუკეთესო მეკარე ლევ იაშინი თამაშობდა. ნაკრების მაშინდელი მთავარი მწვრთნელი გავრილ კაჩალინი ჩემს სანახავად თბილისში სპეციალურად ჩამოვიდა და გამომიძახებდა კიდეც, რომ არა ზემოთ ნახსენები ფიზიკური და სულიერი ტრავმა. უფრო ზუსტად, ეს სულიერი ტრავმა კი არა, ფსიქოლოგიური წნეხი იყო, „დინამოში“ თამაშისას მუდამ რომ თან მდევდა...

**- ერთ-ერთ ინტერვიუში ეს ადრეც გვითხარით - მიხეილ მესხის შეცვლა ფაქტობრივად, გამორიცხული იყოო...**

- უფრო მეტიც: შეუძლებელი! არადა, ბავშვობაში ჩემი კერპი იყო; ჩემი კი არა, წლების განმავლობაში მთელი საქართველო ეთაყვანებოდა და აღმერთებდა; ჰოდა, როგორ გინდა, 18 წლის ბიჭმა ამხელა პოპულარობის მქონე ვარსკვლავი შეცვალო და მისი 11-ნომრიანი მაისურა ჩაიცვა?

**- დაბოლოს, მაინც დადებითი ემოციებით დავასრულოთ ჩვენი საუბარი. 60 წლის გადასახედიდან, იმედია, თქვენი საფეხბურთო კარიერით მთლიანობაში უკმაყოფილო არ იქნებით.**

- რა თქმა უნდა, მართლაც, უბედნიერესი კაცი ვარ, ერთმანეთზე უკეთესი სამი სხვადასხვა თაობის ფეხბურთელებთან რომ მომიწია ასპარეზობამ. სრულიად ჭაბუკი ვიყავი, მიხეილ მესხის, შოთა იამანიძის, სლავა მეტრეველისა და გიორგი სიჭინავას გვერდით რომ ვთამაშობდი; იგივე შემიძლია ვთქვა მურთაზ ხურცილავაზე, რევაზ ძოძუაშვილზე, კახი ასათიანზე, დათო ყიფიანზე, ვლადიმერ გუცაევზე, შოთა ხინჩაგაშვილზე. ალექსანდრე ჩივაძე და ვიტალი დარასელია რომ „დინამოში“ მოვიდნენ, ისიც კარგად მახსოვს. ასაკით პატარები იყვნენ, მაგრამ მაშინვე ეტყობოდათ, მომავალში დიდი ფეხბურთი რომ უნდა ეთამაშათ. და, რაც ყველაზე მთავარია: წლების განმავლობაში მე და გივი ერთად ვთამაშობდით...

**გია ტუხაშვილი**




ინდივიდუალური მომზადება
კარატეში

ყალიბდება 10-კაციანი (ორივე სქესისთვის) ელიტარული ჯგუფი, რომელიც ფიზიკური მომზადების გარდა, გაივლის ზოგად ფსიქოლოგიას, ავტოტრენინგს, თერაპიის რამდენიმე სპეციფიკურ ფორმას.

ჯგუფს აყალიბებს საერთაშორისო კატეგორიის ინსტრუქტორი, ექსპერტი მამუკა დავითიშვილი-ბაგრატიონი, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება აღმოსავლეთის ქვეყნებში.

დაგვიკავშირდით: ოფისი (Tel/Fax) 963 189
ინსტრუქტორი 895 131 662

მისამართი: ქ. თბილისი, არმიის სპორტული კომპლექსი, უნივერსიტეტის 2.


## ბადრი კვარაცხელია

# რიკელმე დიდ სარგებელს მოგვიტანს

მოგეხსენებათ, კახა ცხადაძის გადადგომის შემდეგ ბაქოს „სტანდარდის“ მთავარი მწვრთნელი გახდა ბადრი კვარაცხელია, რომელიც მანამდე თანამემამულის ასისტენტად მუშაობდა. ის უკვე შეუდგა ახალ პოსტზე მუშაობას და გუნდის გაძლიერებაზეც ზრუნავს. „აზერისპორტმა“ კვარაცხელიას რამდენიმე კითხვით მიმართა...

**- უკვე „სტანდარდის“ მთავარი მწვრთნელი ხართ. როგორია მუშაობის პირველი დღეები?**

- ჯერჯერობით, ყველაფერი ნორმალურად მიდის. „ნეფთჩის“ ძველ ბაზაზე ვაგრძელებთ მზადებას. დღეში ორ-ორი ვარჯიში გვაქვს. სელექციას ვაგრძელებთ, ახალი ლეგიონერები გვყავს სინჯებზე მოწვეული.

**- ხომ არ შეარჩიეთ უკვე რომელიმე ფეხბურთელი, რომელსაც მეორე წრის დაწყებამდე დაიმატებთ?**

- ჩვენთან რამდენიმე ახალი ფეხბურთელი ვარჯიშობს, მაგრამ ჯერჯერობით, გადაწყვეტილი არ გვაქვს, თუ ვის დავიმატებთ. ორი მოთამაშე არ მომეწონა და უკან გავისტუმრე. ურუგვაელი რიკელმე, რომელიც ცენტრალური ნახევარმცველის პოზიციაზე თამაშობს, მხოლოდ გუშინ ჩამოფრინდა. ვფიქრობ, რიკელმე დიდ სარგებელს მოგვიტანს. მაკედონიელი ნიკიტა ტრიპუნოვსკიც კარგი ფეხბურთელია. ახალი მოთამაშეების დამატებაზე საბოლოო გადაწყვეტილებას თურქულ შეკრებაზე გამგზავრებამდე მივიღებ. ამ ეტაპზე მხოლოდ თავდასხმის გაძლიერება გვჭირდება, სხვა პოზიციებზე ყველაფერი ნორმალურადაა.

**- რატომ არ დარჩა გუნდში „სტანდარდის“ ყოფილი თავკაცის კახა ცხადაძის ვაჟი - ბაჩანა?**

- საქმე ისაა, რომ ბაჩანას მეუღლე შვილს ელოდება და ბუნებრივია, მას არ უნდოდა ასეთ მდგომარეობაში მეუღლის მარტო დატოვება. თუ ის „სტანდარდში“ დაბრუნებას მოისურვებს, სიამოვნებით მივიღებთ.

**- თქვენმა გუნდმა პირველ საკონტროლო მატჩში „ბაქილისთან“ 1:1 ითამაშა. ამ თამაშს როგორ შეაფასებდით?**

- სასტარტო შემადგენლობის ფეხბურთელები ძირითადში იმიტომ არ დავაყენე, რომ მინდოდა, ახალი მოთამაშეები მენახა საქმეში. საკონტროლო მატჩის მთავარი დანიშნულება ხომ სწორედ ფეხბურთელებზე დაკვირვებაა?! ამ ეტაპზე ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე შედეგი. რაც შეეხება ჩემი გუნდის თამაშის შეფასებას, ვფიქრობ, დასაწყისისთვის ცუდი არაა. მომავალში უკეთესს ველი და მოვითხოვ კიდეც. თურქეთში გამგზავრებამდე კიდევ ვაპირებთ საკონტროლო შეხვედრების გამართვას, ანთალიაში კი „ანჟისთან“, სლოვაკურ „ჟილინასთან“, რუმინულ „ვასლუისა“ და სხვა გუნდებთან გვექნება სპარინგმატჩები.

**- მეორე წრეში რა მიზნისთვის იბრძოლებთ?**

- შესაძლოა, ზოგი ფიქრობს, რომ „სტანდარდი“ ძლიერი გუნდი აღარ იქნება. ასე ნამდვილად არ არის - გუნდის ძირითადი ბირთვი შევინარჩუნეთ. მხოლოდ ის ფეხბურთელები წავიდნენ, რომელთაც სასტარტოში არ უწევდათ თამაში. ჩვენ კვლავაც ბოლომდე ვიბრძოლებთ. მთავარი მწვრთნელი ვარ და მინდა, ამ საქმეში წარმატებული ვიყო.

მოამზადა
დავით ცაბაძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორიგი სპეკულაცია

# კაკას რეალში გადასვლა რეალურია

## ბექჰემი სამეფო კლუბს ბრაზილიელის ბედისწერას უწოდებს

მაშინ, როცა სამეფო კლუბის დირექტორატში ბევრი რამ არის დასალაგებელი და მოსაწესრიგებელი, მადრიდულ პრესაში კაკას „სანტიაგო ბერნაბეუზე" გადაბარგების რეალური შესაძლებლობების შესახებ დაიწყო საუბარი. „დიარიო ასის" ინფორმაციით, ბრაზილიელი ვარსკვლავის მენეჯერებთან პრეზიდენტობის ერთბაშად რამდენიმე კანდიდატი აწარმოებს მოლაპარაკებას. მათ შორის ყველაზე მეტად, რა თქმა უნდა, **ფლორენტინო პერესი** აქტიურობს. როგორც იცით, „მილანის" სუპერვარსკვლავის ყიდვა „მანჩესტერ სიტის" უნდოდა, მაგრამ გარიგება არ შედგა. ბოროტი ენების თქმით, ტრანსფერი სწორედ კაკას მენეჯერებმა ჩაშალეს, რადგან მათი კლიენტი ესპანურ გრანდში გადაბარგებაზე ოცნებობს. ძნელი სათქმელია, ეს რამდენად უტყუარი ინფორმაციაა, მაგრამ ის კი ნამდვილად ფაქტია, რომ **დევიდ ბექჰემი** კაკას მომავალს მაინცდამაინც „რეალში" ხედავს. მიუხედავად იმისა, რომ ინგლისელი ვარსკვლავი „მილანში" ახლახან გადავიდა, ბრაზილიელთან გულითადად დამეგობრება უკვე მოასწრო. კაკა ამბობს, რომ ბექჰემი მისი ერთ-ერთი საუკეთესო მეგობარია. ბრიტანელის განცხადება, ალბათ, ამ ახლო ურთიერთობით იყო განპირობებული. ბექსმა თავს უფლება მისცა, ეთქვა:

*„არ მინდა, რომ ჩემს განცხადებას კუდი მოაბან. მე მხოლოდ ჩემს მოსაზრებას და ვარაუდს გამოვხატავ. გული მიგრძნობს, კაკა მომავალ სეზონში „სანტიაგო ბერნაბეუზე" გადაბარგდება. მადრიდელებს ძალიან კარგად ვიცნობ და შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ მიზნის მისაღწევად ისინი ნაბიჯ-ნაბიჯ ივლიან. კაკა ჩემი მეგობარია და მეგობრულად ვურჩევ, თუ სამეფო კლუბში გადასვლის შესაძლებლობა მიეცემა, უარი არ თქვას. მან „მანჩესტერ სიტიში" წასვლა არ ისურვა. ჩემი აზრით, ეს სწორი გადაწყვეტილებაა. მე თუ მკითხავთ, კაკას ბედისწერა „რეალში" თამაშია".*

რაოდენ გასაოცარიც არ უნდა იყოს, კაკასა და „რეალის" თემას თვით **კარლო ანჩელოტი** გამოეხმაურა. იტალიელი სპეციალისტი „მანჩესტერ სიტისთან" ჩაშლილ მოლაპარაკებას შემთხვევითობად არ მიიჩნევს და ბექჰემის მსგავსად აცხადებს, რომ ბრაზილიელი შესაძლოა, სამეფო კლუბში ამოჩნდეს:

*„ჩემი მხრიდან ამ თემაზე საუბარი ცოტა არ იყოს, უცნაურია, მაგრამ ვითვალისწინებ რა საზოგადოების უდიდეს ინტერესს, თავს უფლებას ვაძლევ, გულწრფელად ვისაუბრო. თვითონ კაკა ამ საკითხზე საჯაროდ არ საუბრობს, თუმცა მე, როგორც მისმა მწვრთნელმა, ზედმიწევნით კარგად ვიცი, რომ ბრაზილიელი მადრიდული გრანდის რეალურ შემოთავაზებას ელოდება. როგორც კი საქმე საქმეზე მიდგება, დარწმუნებული ვარ, რომ სამხრეთამერიკელი დაგვტოვებს".*

როგორც ჩანს, ფლორენტინო პერესი მართლაც სერიოზული ბრძოლის დაწყებისთვის ემზადება. ვინც ამ კაცს იცნობს, ყველა დაგვეთანხმება, რომ სამეფო კლუბის ყოფილ პრეზიდენტს სიტყვების ჰაერში სროლა არ ახასიათებს. მან ყველა ტრანსფერი განახორციელა, რომელიც გულშემატკივრებს დაჰპირდა. გუშინ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სენიორ პერესი კაკას მენეჯერს საფრანგეთში საიდუმლოდ შეხვდა და მისგან პირობა მიიღო, იმ შემთხვევაში, თუ საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვებს, სამხრეთამერიკელი „როსონერის" დატოვებს და ესპანური გიგანტის თეთრ მაისურას ჩაიცვამს.


კაკა მანჩესტერ სიტიში არ წავიდა, წავა თუ არა ის რეალში?

რეალი

# რიგგარეშე არჩევნები დანიშნულია

## ივლისში ფლორენტინო პერესი ფავორიტი იქნება


ვისენტე ბოლუდა სამეფო კლუბის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად დაინიშნა

**რამონ კალდერონის** თანამდებობიდან გადადგომის შემდეგ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად **ვისენტე ბოლუდა** დაინიშნა. ახლა მისი მთავარი ამოცანა, რყევების შეჩერება და პრობლემური სიტუაციის სტაბილურ კალაპოტში გადაყვანაა. სენიორ ბოლუდას ფაქტობროვად ფორსმაჟორულ ვითარებაში უწევს მუშაობა, ამიტომ, მას დასაკარგი დრო ნამდვილად არ აქვს. გუშინ მან თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ დირექტორთა საბჭო პირველად მოიწვია და დღის წესრიგში რიგგარეშე არჩევნების საკითხი დააყენა. დირექტორების მსჯელობის შემდეგ გადაწყდა, რომ არჩევნები მიმდინარე სეზონის დასრულებიდან მცირე ხანში გაიმართება, სავარაუდოდ, ივლისის დასაწყისში.

სენიორ ბოლუდამ საბჭოს სხდომის შემდეგ თავმომწონედ განაცხადა, ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რომ არჩევნები მაქსიმალურად მცირე დროში დაგვენიშნაო. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის გულწრფელობაში სამეფო კლუბის დიდი ოჯახის არაერთმა ავტორიტეტულმა წარმომადგენელმა სერიოზული ეჭვი შეიტანა. მათი თქმით, ივლისამდე ლოდინი დიდი შეცდომაა, რადგან გუნდის ხელმძღვანელობა ახლა ნახევრადლეგიტიმურ მდგომარეობაში იმყოფება. მაგალითად, „რეალის" ლეგენდარული ნახევარმცველი **მიჩელი** აცხადებს, რომ დირექტორთა საბჭომ ორი სერიოზული შეცდომა დაუშვა. ერთი ის, რომ არჩევნები ნახევარი წლის შემდეგ დანიშნა, და მთავარი, მიჩელის აზრით, ასამბლეასთან დაკავშირებულ სკანდალს მხოლოდ რამონ კალდერონი არ უნდა შესწირვოდა. ის დარწმუნებულია, რომ პასუხისმგებლობა მთლიანად დირექტორატს უნდა ეტვირთა და სრული შემადგენლობით გადამდგარიყო. მიმომხილველებმა მიჩელის ამ განცხადებაში ფეხბურთელებისთვის დამახასიათებელი მენეჯმენტის ბუნდოვანი ცოდნა დაინახეს. მართლაც, დირექტორატი სრული შემადგენლობით რომ გადადგეს, არჩევნებამდე კლუბს **კასილიასი** და **სერხიო რამოსი** ხომ არ მართავენ?!

კრიტიკოსების შემოტევის მიუხედავად, ბოლუდა უკან დახევას არ აპირებს. ის დარწმუნებულია, რომ დირექტორატმა ექსტრემალურ სიტუაციაში ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ამ შეხედულებას კალდერონის დროებითი მემკვიდრე ასე ხსნის:

*„ძალიან კარგად მესმის, რომ საზოგადოებას სამეფო კლუბში არსებული მძიმე და მღელვარე სიტუაციის სასწრაფოდ დამშვიდება სურს. ეს, რა ქმა უნდა, მხოლოდ ახალი პრეზიდენტის არჩევის პირობებში იქნება შესაძლებელი, მაგრამ თავს უფლებას მივცემ ჩემი მოსაზრება გაგიზიაროთ: არჩევნები უახლოეს მომავალში რომ დაგვენიშნა, ამით ოპორტუნისტები ისარგებლებდნენ და სიტუაციას კიდევ უფრო დაამძიმებდნენ. დაუშვებელია, რომ შემთხვევით ხალხს მდგომარეობით სარგებლობისა და ხელისუფლებაში მოსვლის შანსი მივცეთ. ჩემი აზრით, ცოტა დრო უნდა გავიდეს, სოსიოები დამშვიდდნენ, სიტუაციაში მაქსიმალურად გაცნობიერდნენ და არჩევანი ცივი გონებით გააკეთონ. ახლა რომ მივუშვათ, დაუჯერებელი ტრანსფერების განხორციელების პირობით შეეცდებიან ჩვენს მოხიბვლას. მოკლედ, ღრმად მწამს, რომ სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ. ამას ძალიან მალე დაინახავთ და იტყვით, რომ სამეფო კლუბისთვის ასე ჯობდა".*

ბუნებრივია, ყველას აინტერესებს, როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს სენიორ ვისენტე უშუალოდ არჩევნებში მონაწილეობასთან დაკავშირებით. ამ კითხვას მან პირდაპირ, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე უპასუხა:

*„არა, 2009 წლის არჩევნებში კენჭს არ ვიყრი. ეს გამორიხულია. სრული პასუხისმგებლობით მოგახსენებთ, რომ გადაწყვეტილებას არც ერთ ვარიანტში არ შევცვლი. ჩემი მხრიდან პრეზიდენტის სავარძლისთვის ბრძოლა უზნეობა იქნება. ამ თანამდებობაზე ექსტრემალური და უსიამოვნო სიტუაციის გამო მოვხვდი. არ მინდა, ამით ვისარგებლო და თანამდებობას წავეპოტინო. სენიორ რამონ კალდერონი რომ არ გადამდგარიყო, მომავალ არჩევნებზე კანდიდატი, ალბათ, არ ვიქნებოდი. ასე რომ, ეს საკითხი დახურულია. ვისენტე ბოლუდა არავის კონკურენტი არ იქნება".*

ეს საკითხიც გაირკვა, მაგრამ საზოგადოებას კიდევ ბევრი კითხვა აქვს. მაგალითად, რა ბედი ეწევათ **პრედრაგ მიატოვიჩსა** და მთავარ მწვრთნელს. ბატონი ბოლუდა მისი მუშაობის ვადაში რადიკალური ცვლილებების განხორციელებას არ გეგმავს:

*„ვიცი, რომ მიატოვიჩს ძალიან ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავს. ოპოზიციის თვალში ის კალდერონის უახლოეს კოლეგად და მეგობრად მიიჩნევა, მაგრამ საზოგადოებას მოვუწოდებ, სტერეოტიპებზე მაღლა დადგეს და წარსულს პატივი მიაგოს. პედია სამეფო კლუბის ლეგენდარული ფორვარდი იყო. მისი გოლის წყალობით ევროპის ჩემპიონთა თასს დავეუფლეთ. მას „რეალისთვის" კარგის მეტი არაფერი გაუკეთებია და ძალიან გთხოვთ, მშვიდად ცხოვრების საშუალება მიეცით. ის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე გააგრძელებს მუშაობას. ხუანდე რამოსს რაც შეეხება, როგორც ყოველთვის მწვრთნელის ბედი შედეგებზე იქნება დამოკიდებული. თუ სენიორ ხუანდე წარმატებებს მიაღწევს, მის გადასაყენებლად, ბუნებრივია, არანაირი მიზეზი არ გვექნება. გულწრფელად გეტყვით, რამოსს ერთ-ერთ საუკეთესო სპეციალისტად მივიჩნევ. ვოცნებობ, რომ მან ამ სეზონში დიდი გამარჯვება მოგვიტანოს. ეს უტოპია სულაც არ არის. მერე რა რომ, პრეზიდენტი გადადგა და „ბარსელონას" 12 ქულით ჩამოვრჩებით. შეუძლებელი არაფერია. მთავარია, რწმენა არ დავკარგოთ და მუხლჩაუხრელად ვიშრომოთ. ამ შემთხვევაში, ტიტულის გარეშე არ დავრჩებით. თუ „ბარსელონას" ვერ დავეწევით, ჩემპიონთა ლიგაში განა ყველაფერი ჩვენს ხელთ არ არის?!"*

დაპირისპირება

# ფერგიუსონი კალდერონის წინააღმდეგ

## საფეხბურთო ასპარეზიდან საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ავანტურისტისა და ნამუსგარეცხილი ადამიანის გაუჩინარებამ საოცრად გამახარა

ერთი შეხედვით, სამეფო კლუბში მიმდინარე პროცესები „რეალის" დიდი ოჯახის გარდა არავის ეხება, მით უმეტეს, სერ **ალექს ფერგიუსონს**, მაგრამ „მანჩესტერის" მთავარ მწვრთნელსა და „რეალის" ყოფილ პრეზიდენტს ისეთი აუტანელი ურთიერთობა ჩამოუყალიბდათ, სერ ალექსმა ცდუნებას ვერ გაუძლო და **რამონ კალდერონის** სკანდალურ გადადგომას საგანგებო განცხადება მიუძღვნა. ფერგიუსონი გამარჯვებულის გამომეტყველებით საუბრობდა და სულაც არ ცდილობდა იმის დამალვას, რომ სენიორ რამონის დამცირებით ძალიან კმაყოფილი დარჩა:

*„სულაც არ მიკვირს, ის რაც „რეალში" მოხდა. გაიხსენეთ, თვეების განმავლობაში რას ვამბობდი. კალდერონი მაფიოზური მენტალიტეტის მქონე ადამიანია და ასამბლეა ისე ჩაატარა, თითქოს მაფიოზური ოჯახის ან კლანის შეკრებასთან ჰქონდა საქმე. მისთვის ღირებული და ხელშეუხებელი არაფერია, რა თქმა უნდა, სინდისის ჩათვლით. არაერთხელ აღმინიშნავს, რომ ყოფილი პრეზიდენტისთვის უარი, კომპრომისი და რაციონალიზმი უცხო ფენომენებია. მას ეგონა, რომ ყოველთვის ყველაფერს რქებით გაიტანდა, მაგრამ იმდენად უსუსური და უტვინო აღმოჩნდა, რომ პრეზიდენტის თანამდებობაზე 3 წელიც ვერ გაძლო. არადა, პირველი ვადა, 2010 წელს ეწურებოდა. კალდერონმა ავანტურიზმით იმდენად სერიოზული პრობლემები შექმნა, რომ „რეალის" საზოგადოება სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაიკიდა. ის, ხვდებოდა, რომ ასამბლეაზე უნდობლობას გამოუცხადებდნენ და თავის გადარჩენის მიზნით, გაუგონარი, უპრეცედენტო დანაშაული ჩაიდინა, საბუთები გააყალბა და ასამბლეაზე ნახირის დიდი ჯოგი შეუშვა. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ვიცოდი, რომ კალდერონი ასე დაასრულებდა. ანგელოზის სამოსით შენიღბულ უსუსურ დემონს ფრთები მოჰკვეთეს. ზოგადად ადამიანის პრობლემები არასოდეს მახარებს, მაგრამ არ შემიძლია არ განვაცხადო, რომ საფეხბურთო ასპარეზიდან საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე დიდი ავანტურისტისა და ნამუსგარეცხილი ადამიანის გაუჩინარებამ საოცრად გამახარა".*


სერ ალექს ფერგიუსონი კმაყოფილია, რომ რამონ კალდერონი რეალის პრეზიდენტი აღარ არის

ამ სიხარულის მიუხედავად, სერ ალექს ფერგიუსონი სულაც არ ფიქრობს, რომ კალდერონის წასვლის შემდეგ „რეალთან" ურთიერთობა გამოსწორდება. აი, რას ფიქრობს „მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდარული მწვრთნელი:

*„დარწმუნებული ვარ, სამეფო კლუბი კიდევ დიდ ხანს არ მოგვასვენებს. კალდერონზე უარესი პრეზიდენტის მოსვლა უბრალოდ შეუძლებელია, მაგრამ მადრიდელები პრობლემებს მაინც შეგვიქმნიან. უკვე გვიქმნიან კიდეც. მაგალითად, პრეზიდენტობის კანდიდატები ისევ და ისევ კრისტიანო რონალდოზე საუბრობენ და გულშემატკივრებს არწმუნებენ, რომ მათი არჩევის შემთხვევაში, ჩვენს ვარსკვლავს „სანტიაგო ბერნაბეუზე" ჩაიყვანენ. არ დავიზარებ და კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ეს აბსოლუტურად გამორიცხულია.*

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

მანჩესტერ სიტი

# რა დაემართა რობინიოს?

## ნოელ გალაგერი: დასწყევლოს ეშმაკმა ვენგერი და მისი სოციალისტური ბოდვები


ეროვნული ბიბლიოთეკა

რობინიომ მანჩესტერ სიტის ბაზა გაუფრთხილებლად დატოვა და ბრაზილიაში გაემგზავრა

ჩვენმა გაზეთმა წუხელვე გაცნობათ, რომ **კრეიგ ბელამი** ამიერიდან „ქალაქელთა" რიგებში იასპარეზებს. გუნდის თავკაცი **მარკ ჰიუზი** შენაძენით კმაყოფილებას ვერ მალავს: „უსაზღვროდ მოხარული ვარ, რომ ბელამი ჩემს გუნდს შეუერთდა. ის შესანიშნავი თავდამსხმელია. მას არაჩვეულებრივი სისწრაფე აქვს და დრიბლინგის კარგი ოსტატია. ვიცი, რომ დისციპლინის მოყვარული ფეხბურთელია. გაგონილი მაქვს, რომ ვარჯიშებზე ყოველთვის ბოლომდე იხარჯება და საქმეს სერიოზულად უდგება. 28 იანვარს „ნიუკასლთან" შეხვედრაში კრეიგს ძირითადში დავაყენებ," - განუცხადა უელსელმა სპეციალისტმა „დეილი მირორს". ბელამიმ მანჩესტერულ კლუბთან 4.5-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. „მანჩესტერ სიტიმ" „ვესტ ჰემს" 12 მილიონი გირვანქა მიუთვალა დაკიდევ ორ მილიონს გადაუხდის, თუ ბელამი გარკვეული რაოდენობის მატჩებს ჩაატარებს, ან ტიტულებს დაეუფლება.

გუშინვე „ქალაქელთა" ახალწვეულმა პირველი კომენტარი გააკეთა. „ჩემი არჩევანი დიდწილად მარკ ჰიუზის ფაქტორმა განაპირობა. მინდა, ვიმუშაო ადამიანთან, რომელიც 18 წლისამ გავიცანი. ის სხვებზე უკეთ მიცნობს. მოხარული ვარ მანჩესტერში გადასვლით. მიმაჩნია, რომ ახალ გუნდში საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის საშუალება მომეცემა. იმედია, „სიტის" გულშემატკივარს უმოკლეს დროში დავუმტკიცებ, რომ ჩემს ტრანსფერში ფული ტყუილად არ გადაუხდიათ. ამ გუნდს დიდი მომავალი აქვს. ამ აზრს ბევრი იზიარებს. ისიც ვიცი, რომ ჩემს ადგილას ყოფნას ბევრი ფეხბურთელი ისურვებდა. გუნდში, მწვრთნელის გარდა, ჯერჯერობით არავის ვიცნობ, თუმცა პრემიერლიგაში დიდი ხანია, ვთამაშობ და თითქმის ყველას მინდორზე შევხვედრივარ. ჩვენთან რამდენიმე მაღალი კლასის ფეხბურთელია. თუ მათ 2-3 მოთამაშეს კიდევ დაამატებენ, პრემიერლიგის ერთ-ერთი საუკეთესო შემადგენლობაში შეიკვრება," - განუცხადა ბელამიმ „მანჩესტერ სიტის" ოფიციალურ ვებგვერდს.

სასიხარულო ამბების გარდა, კლუბში სამწუხარო მოვლენებიც ხდება. ვგონებთ, **რობინიო** შეიშალა. მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ **კაკასთან** მოლაპარაკება ჩაიშალა, ჟურნალისტებმა მას კომენტარი სთხოვეს. ყველასათვის მოულოდნელად, სამხრეთამერიკელმა ვარსკვლავმა ინტერვიუზე დემონსტრაციული უარი განაცხადა, ტენერიფეში კლუბის მიერ დაქირავებული ბაზა მიატოვა და მობილური ტელეფონიც გამორთო, რათა მასთან დაკავშირება შეუძლებელი გამხდარიყო. ეს ინფორმაცია გუშინდელ „დეილი მეილში" ამოვიკითხეთ.

მოგვიანებით, ფეხბურთელის ვებგვერდზე გამოქვეყნდა რობინიოს განცხადება. ფეხბურთელი შეეცადა, მომხდარისათვის ნათელი მოეფინა. მან თქვა, რომ ის ახლა ბრაზილიაში იმყოფება, რომ მან კლუბს გათავისუფლება სთხოვა, რადგან ოჯახური პრობლემების გამო აუცილებელი გახდა სამშობლოში გამგზავრება. რობინიო გვარწმუნებს, რომ ის ინგლისში უმოკლეს დროში დაბრუნდება, რათა მომავალ ოთხშაბათს (ზუსტად ერთი კვირის შემდეგ) „ნიუკასლთან" ეთამაშა. ამგვარად, რობინიომ თქვა, რომ მან წასვლის ნებართვა მიიღო. „სიტის" ხელმძღვანელობას ეს ინფორმაცია ჯერ არ დაუდასტურებია. კლუბთან დაახლოებული წყარომ „დეილი მეილს" აუწყა, რომ სამწვრთნელო შტაბი რობინიოს საქციელით გაოგნებულია და ფეხბურთელის დასჯას აპირებს. ინგლისში დაბრუნების შემდეგ, ფეხბურთელს ახსნა-განმარტების გაკეთება მოუწევს. მას შესაძლოა, უპრეცედენტო ოდენობის ფინანსური სანქცია გამოუწერონ.

ბრაზილიელი სუპერვარსკვლავის შესაძლო გაქალაქელებას თავის დროზე ლამის ნახევარი მსოფლიო გამოეხმაურა. კომენტარი არ დაიზარეს ფეხბურთისგან შორს მდგარმა ადამიანებმაც. მათ შორის აღსანიშნავია ბრიტანული როკჯგუფის „ოაზისის" სოლისტების, ძმების - **ნოელ** და **ლაიამ გალაგერების** აღფრთოვანებული კომენტარები. ქართველ გულშემატკივარს ეს ადამიანები და მათი „სიტისადმი" სიყვარული ჯერ კიდევ იმ დროიდან ეხსომება, როდესაც „ქალაქელთა" უპირობო ლიდერი ჩვენი **გიორგი ქინქლაძე** იყო. მუსიკალურ სამყაროში ძმებ გალაგერებს სკანდალური სახელი აქვთ მოხვეჭილი. ისინი მუდმივად იმას ლაპარაკობენ, რასაც ფიქრობენ და ამით უამრავი მოშურნისა, თუ უბრალოდ სხვაგვარად მოაზროვნის გაღიზიანებას იწვევენ. რამდენიმე დღის წინ **არსენ ვენგერმა** ბრაზილიელის შესაძლო ტრანსფერზე ბრძანა, 100 და 120 მილიონი გირვანქა ერთი ფეხბურთელისთვის დაუსაბუთებლად დიდი თანხაა. ნოელ გალაგერი რისი გულშემატკივარი იქნებოდა, ფრანგის მოსაზრება კომენტარის გარეშე დაეტოვებინა: „ეტყობა, შეიხებმა რეალურად დაიწყეს ჩვენს კლუბში ფულის ჩადება და მათი სიტყვა მხოლოდ სიტყვად არ დარჩება. ეს ნიშნავს, რომ რობინიო მხოლოდ დასაწყისი იყო. ლაპარაკობენ ძალიან დიდ ფულზე, დაუსაბუთებლად დიდ ფულზე, როგორც ეს ზოგიერთს ეჩვენება. გუშინდელ პრესკონფერენციაზე ფერგიუსონს სახე ისე ჰქონდა გაყინული, როგორც ფოტოებზე ხდება ხოლმე. ასეთი სახის ნახვა უკვე ღირს 100 მილიონ გირვანქად. ის უბრალოდ შოკირებული იყო. მიდით, იყიდეთ ფეხბურთელები და მორალის დედაც... დასწყევლოს ეშმაკმა ვენგერი და მისი სოციალისტური საფეხბურთო ბოდვები. დასწყევლოს ეშმაკმა ყველაფერი ეს სიცრუე, თითქოს კლუბი ამით ინდივიდუალურობას დაკარგავს. რომელი ინდივიდუალურ ნიშნებზე მელაპარაკებით, ბოლო 30 წელიწადი ღარიბები რომ ვიყავით?"

გუშინ **მოჰამედ ალ ფაედის** კომენტარი გაგაცანით, დღეს კი ბიზნესის სამყაროდან კიდევ უფრო დიდი ავტორიტეტის მოსაზრებას შემოგთავაზებთ. ამ ადამიანმა საკუთარი თავი ნოლიდან გამოძერწა, გაიარა გზა სამთო კურორტებზე თხილამურების ინსტრუქტორობიდან მილიარდერობამდე და ვინ, თუ არა მან უნდა უწყოდეს ბიზნესის ყოველი წვრილმანი. ამასთან, ის ძალზე ახლოს დგას სპორტულ სამყაროსთან და თუნდაც ამითაა საინტერესო მისი მოსაზრება. ლაპარაკი გვაქვს იტალიელ **ფლავიო ბრიატორეზე**. სინიორ ფლავიო, გარდა იმისა, რომ ფორმულა 1-ის კლუბ „რენოს" მესაკუთრეა, ფლობს წილს ლონდონურ საფეხბურთო კლუბ „ქუინზ პარკ რეიჯერსში". აი, როგორ გამოეხმაურა ის „მანჩესტერ სიტის" გარშემო მიმდინარე დრამატულ მოვლენებს: „კაკა რომ „მანჩესტერ სიტიში" გადასულიყო, ეს დაახლოებით იგივე იქნებოდა, თავის დროზე მიხაელ შუმახერი „ფერარიდან" „მინარდიში" რომ გადაბარგებულიყო. ეს არაფერს მოგვცემდა. მიმაჩნია, რომ ეს მართლა სიგიჟე იქნებოდა. როცა კლუბმა რობინიო შეიძინა, დამშვიდდნენ, იფიქრეს, რომ ყველანაირი პრობლემის გასაღები შეიძინეს. თქვენ კი ხედავთ, რომ „სიტი" ლიდერებისგან ძალზე შორსაა. აუცილებელია ფეხბურთში სახელფასო ჭერის შემოღება. წინაამდეგ შემთხვევაში ბევრი რამე დაკარგავს აზრს. როცა „ქუინზ პარკის" ბაზაზე მივდივარ, მგონია, რომ ლონდონის საუკეთესო მანქანების ავტოსადგომზე ვიმყოფები. მხოლოდ „პორშეები" და „ფერარები" დგას. არადა, სპორტი ყველასთვის მაგალითის მიმცემი უნდა იყოს. იმედია, სახელფასო ჭერს შემოიღებენ. გარწმუნებთ, ეს ყველაზე მეტად სწორედ ფეხბურთს გამოადგება".



გაისად მანჩესტერ იუნაიტედი ბილი მერედიტის დიზაინის მაისურებით ითამაშებს

მანჩესტერ იუნაიტედი

# ეშმაკები ძველი ფორმით

## ვინ არის ივენ მოიო?

„დეილი მირორის" ცნობით, მომდევნო სეზონში „მანჩესტერ იუნაიტედი" 1909 წლის ისტორიულ ფორმაში გამოეწყობა. აქცია მიეძღვნება „ეშმაკების" პირველ დიდი ვარსკვლავ **ბილი მერედიტს** - ფეხბურთელს, რომელმაც პირადად უზრუნველყო კლუბისთვის პირველი დიდი ტიტულის მოპოვება. ზუსტად ათი წლის წინ „იუნაიტედმა" პირველად მოიგო ინგლისის თასი. ფორმის დიზაინი თავად ბილი მერედიტს ეკუთვნოდა. მას თანამედროვენი „უელსელ ოსტატს" უწოდებდნენ. მომდევნო წლებში მერედიტმა გუნდს, ინგლისის თასის გარდა, ჩემპიონობაც მოაპოვებინა. საუკუნის თავზე „ეშმაკების" ხელმძღვანელობამ ტექნიკურ სპონსორ „ნაიკს" სთხოვა, მომავალი სეზონისათვის მერედიტის ფორმის დიზაინი დაამუშაოს. ახალი ფორმა, რასაკვირველია, თანამედროვე მასალებით დამზადდება. **უეინ რუნი, კრისტიანო რონალდო** და მეგობრები მთელი წელი იასპარეზებენ ფორმით, რომელსაც წინა მხარეს დაამშვენებს დიდი თეთრი ლათინური ასო V. 1909 წლის თასის ფინალში „იუნაიტედს" თეთრი ფორმა ეცვა და მასზე წითელი V იყო გამოსახული.

ბილი მერედიტი ნახევრად პროფესიონალი გახლდათ. ფეხბურთის თამაშის გარდა, ის მაღაროშიც მუშაობდა, სადაც კვირაში 1.4 გირვანქას უხდიდნენ. „იუნაიტედში" კი კვირაში 4 გირვანქას შოულობდა. მაშინდელი 5.4 გირვანქა დღევანდელი კურსით დაახლოებით 405 გირვანქაა. დაგვეთანხმეთ, რომ ღირსეული ცხოვრებისთვის ძალზე ცოტაა, თუმცა ნიჭიერი ადამიანი არ დაიკარგა და სპორტული მაღაზიის გახსნა შეძლო. მან კლუბის ფორმებით მომარაგებას მოჰკიდა ხელი და სული მოითქვა. საფეხბურთო კარიერის დასრულების შემდეგ ბილიმ საკუთარი პაბი გახსნა და 1958 წლის 19 აპრილს 83 წლის ასაკში გარდაიცვალა.

დასასრულს, ერთი სატრანსფერო ინფორმაციაც. „მანჩესტერ იუნაიტედი" ფრანგულ „სოშოსთან" აქტიურ მოლაპარაკებებს აწარმოებს. საუბრის საგანია თინეიჯერი ფეხბურთელი **ივენ მოიო**. 16 წლის ფრანგი ვუნდერკინდი სერ ალექსს ფრანგმა სკაუტებმა ურჩიეს. ფეხბურთელი ჯერ კიდევ „სოშოს" დუბლებში თამაშობს. „იუნაიტედის" წარმომადგენლები ივენის თამაშს უკვე ხუთჯერ დაესწრნენ. ფეხბურთელმა ყოველ ჯერზე შესანიშნავი შთაბეჭდილება მოახდინა. მოიოს ძირითად გუნდში ჯერ არ უთამაშია, მაგრამ საფეხბურთო საფრანგეთი მასზე უკვე დიდ იმედებს ამყარებს. ივენი მარცხენა მცველია. „მანჩესტერი" მზადაა, ფეხბურთელს პროფესიული კონტრაქტი შესთავაზოს. არ გვგონია, მოთამაშემ ცდუნებას გაუძლოს და სამშობლოში დარჩეს.

ლივერპული

# აგერის კონტრაქტი აგვიანებს

## ლივერპულის ლეგენდა ავსტრალიაში წავიდა

**რაფაელ ბენიტესმა** „ლივერპულის" მფლობელთა მიმართ პრეტენზია გამოთქვა. მის აზრით, ხელმძღვანელობა გუნდის ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელის **დანიელ აგერის** კონტრაქტის გახანგრძლივებას აჭიანურებს. „მენეჯმენტი ძალზე ნელა მოქმედებს. დანიელის სახელს ხშირად ვაწყდები პრესაში... მე ველაპარაკე მას. მან დამიდასტურა, რომ დარჩენა სურს. ის ჩვენი ერთგულია 100 პროცენტით, მაგრამ ფეხბურთელი და მისი აგენტი ისევ ელოდებიან კლუბის რეაქციას. ისინი გაურკვევლობაში არიან, რაც ძალიან ცუდია. იგივე სიტუაცია სხვა მოთამაშეებთან დაკავშირებითაც, შეიძლება, განმეორდეს. არ ვიცი, უნდა მქონდეს თუ არა შიში აგერის აგენტსა და „მილანს" შორის წარმოებულ მოლაპარაკებათა გამო. მაგრამ ყველაზე მთავარი ისაა, რომ ფეხბურთელს ჩვენთან დარჩენა უნდა. დარწმუნებული ვარ, გამოსავალი მოიძებნება," - განუცხადა ესპანელმა სპეციალისტმა სააგენტო „ასოშიეიტედ პრესს".

„ლივერპულის" ხელმძღვანელობა იტალიელი **ანდრეა დოსენას** თამაშის ხარისხით უკმაყოფილოა. ეჭვობენ, რომ აპენინელს სეზონის დასრულების შემდეგ სამშობლოში დაბრუნება მოუწევს. ბუნებრივია, კლუბში მის შემცვლელზე დაიწყეს ფიქრი. რაფა ბენიტესის არჩევანი თანამემამულეზე შეჩერდა. მწვრთნელი „სევილიის" მცველ **ფერნანდო ნავაროს** კანდიდატურას განიხილავს. სენიორ რაფა მიიჩნევს, რომ ნავარო თავისუფლად შეძლებს პრემიერლიგაში მაღალ დონეზე ასპარეზობას.

ალბათ იცით, რომ „ლივერპულის" ყველა დროის ერთ-ერთი უდიდესი ფეხბურთელი **რობი ფაულერი** სამშობლოში, დიდი ხანია, უშედეგოდ ცდილობდა კარიერის აწყობას. ამიტომ, მან ინგლისი დატოვება და სათამაშოდ უცხოეთს მიაშურა. დაინტერესებული კლუბები მალე გამოჩნდნენ. ვეტერანს კონტრაქტი შესთავაზა ავსტრალიურმა „ნორთ ქუინსლენდ ფიურიმ". მხარეებმა კონტრაქტი უკვე გააფორმეს. „ეს ტრანსფერი ავსტრალიური ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანია. ფაულერი უფრო დიდი ფეხბურთელია, ვიდრე დუაიტ იორკი," - განუცხადა „ნორთ ქუინსლენდ ფიურის" მთავარმა მწვრთნელმა **იან ფერგიუსონმა** ავსტრალიელ ჟურნალისტებს. მისტერ ფერგიუსონი გულისხმობდა იორკის ოთხი წლის წინანდელ ტრანსფერს საფეხბურთო კლუბ სიდნეიში, რომელიც თავის დროზე ავსტრალიური ფეხბურთის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვან გარიგებად მოინათლა.

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**



დანიელ აგერი

ინტერვიუ

ედვინ ვან დერ სარი



2008 წელი. ჩემპიონთა ლიგის ფინალი. ვან დერ სარი ანელკას პენალტს იგერიებს

# მე საკუთარ თავში ვარ ჩაკეტილი

მრავალ პროფესიონალ ფეხბურთელს შეშურდება იმ ტიტულებისა თუ ჯილდოების, რაც ედვინ ვან დერ სარს მოუპოვებია. ის ჰოლანდიის ოთხგზის ჩემპიონია, ორჯერ აქვს მოგებული ინგლისური პრემიერლიგა და ჩემპიონთა ლიგა, სულ ცოტა ხნის წინ - ფიფას მსოფლიო საკლუბო თასიც...

იმ ასაკში, როცა ფეხბურთელთა უმეტესობა სპორტს თავს ანებებს, დიდმა ჰოლანდიელმა „მანჩესტერ იუნაიტედთან" კონტრაქტი ერთი წლით გაახანგრძლივა. ფიფას ოფიციალური ვებგვერდის კორესპონდენტთან საუბარში მან აღნიშნა, რომ იმედით შეჰყურებს მომავალს და სჯერა - 2009 წლის სეზონში უფრო მეტ წარმატებას მიაღწევს, ვიდრე შარშან, და კვლავაც „მანჩესტერ იუნაიტედთან"ერთად.

„აიაქსისა" და „იუვენტუსის" ყოფილი მეკარე იხსენებს, აგრეთვე, ჩემპიონთა ლიგის ფინალში „ჩელსისთან" მოგებულ მატჩსა და 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ჰოლანდიის ნაკრებში დაბრუნებას. ისლანდიასა და ნორვეგიასთან მან ორი მატჩი ჩაატარა და ნაკრებში ჩატარებული თამაშების რაოდენობა 130-მდე აიყვანა...

**- თქვენი თაობის ბევრი დიდი მეკარე, მაგალითად - პეტერ შმაიხელი, ფაბიან ბარტეზი, ოლივერ კანი, იენს ლემანი და ჯანლუიჯი ბუფონი, ემოციური და ყურადღების მოყვარულია. თქვენ სრულიად განსხვავებული ხასიათის ბრძანდებით. მსოფლიო კლასის მეკარეს შინაგანი ბალანსი სჭირდება?**

- ვფიქრობ, ეს ადამიანზეა დამოკიდებული. გვხვდებიან ისეთი ფეხბურთელებიც, რომელთაც ხმაური, ყვირილი უყვართ... ყველას თავისი ხასიათი აქვს. მე საკუთარ თავში ვარ ჩაკეტილი.

**- როგორ შეადარებთ ერთმანეთს ჩემპიონთა ლიგის ორ მედალს?**

- პირველი ყოველთვის უფრო განსაკუთრებული, უფრო სასიამოვნოა, მაგრამ ეს ისე დიდი ხნის წინ იყო, შეიძლება, დაგავიწყდეს კიდეც კარგია, როცა კარიერის ბოლოს განვლილ გზასა და საინტერესო მომენტებს იხსენებ.

**- მოდით, მოსკოვური საღამოც გავიხსენოთ. რას გრძნობდით, როცა არბიტრმა დამატებითი დრო დანიშნა?**

- ჩემთვის საგანგაშო არაფერი ყოფილა. ახლა ხომ აღარ ვთამაშობთ „ოქროს გოლის" სისტემით, როცა ერთი შეცდომით ყველაფერი მთავრდება. ნახევარი საათი გაქვს საიმისოდ, რომ მატჩი დაამთავრო. ორივე გუნდს ბევრი შანსი ჰქონდა და ბოლოს პენალტების სერიამდე მივედით.

**- მოგწონთ, როცა პენალტებს ურტყამენ?**

- როცა ჩემპიონთა ლიგას იგებ, ეს შესანიშნავია! წაგება კი მძიმე გადასატანია და ბედნიერი ვარ, რომ გავიმარჯვეთ.

**- ხშირად იხსენებთ 1996 წელს, „აიაქსის" მარცხს „იუვენტუსთან"?**

- ყოველთვის დგება მომენტი, როცა ფიქრობ, რომ ისე აღარ უნდა წააგო. საერთოდ, შესანიშნავი იყო თასის მოგება.

**- შეგიძლიათ, გაიხსენოთ ჯონ ტერისა და ნიკოლა ანელკას პენალტები?**

- ბევრიც არაფერია სალაპარაკო და გასახსენებელი. გაქვს ტაქტიკური ჩანაფიქრი და უნდა გადაწყვიტო, როგორ აპირებ ბურთის მოგერიებას. დავინახე, ფეხბურთელები სად დებენ ბურთს, დავაკვირდი მათ მოძრაობას, სირბილს... და...

**- ვინ მიგაჩნიათ „იუნაიტედში" წლის საუკეთესო ფეხბურთელად?**

- კრისტიანო რონალდო. მან ძალზე ბევრი გოლი გაიტანა და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ჩვენს წარმატებებში. მისი თამაშის სტილი ყოველ წელს უმჯობესდება, მაგრამ თანაგუნდელების დახმარების გარეშე, მარტო ვერაფერს გახდება. ჩვენ მხარს ვუჭერთ ერთმანეთს.

**- 2008 წელს დაცვის ოთხეული - ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი და ევრა, ძალზე ორგანიზებული ჩანდა. რამდენად მნიშვნელოვანი იყო ამ რგოლის სტაბილურობა?**

- კარგია, როცა ასეთი დაცვა გყავს, მაგრამ იცი, რომ ეს ყოველ სეზონში არ განმეორდება. სასიამოვნოა, როცა მწვრთნელი მოდის და ამბობს, რომ ჯონი ევანსსა და ჯონ ოშის შესაძლებლობათა დემონსტრირების შანსს აძლევს. მარჯვენა ფლანგზე გარი ნევილსაც შეუძლია თამაში, ისევე, როგორც უეს ბრაუნსა და რაფაელს. არჩევანი დიდია, მაგრამ მთავარია, მათი კონდიციებისა და ხასიათის შენარჩუნება.

**- გასულ სეზონში „მანჩესტერმა" 22 გოლი გაუშვა, რაც სარეკორდო მაჩვენებელია და თანაც - სასიამოვნო...**

- დიახ, ასეა, მაგრამ უფრო ისაა სასიამოვნო, რომ ჩვენ ტიტული მოვიგეთ, რაც კარგი თავდასხმის და კარგი დაცვის დამსახურებაა. ჩემი საქმეა კარის გადარჩენა, ბურთების მოგერიება. მე ისეთ გუნდებში მითამაშია, რომლებიც ყოველთვის ნაკლებ გოლს უშვებდნენ, მაგრამ მეორე ადგილზე გადიოდნენ. ასე რომ, მნიშვნელობა არ აქვს, როგორ მოიგებ ლიგას.

**- „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლა თქვენთვის საოცნებო იყო?**

- საოცნებო არა, მაგრამ სასიამოვნო კი იყო. უფრო ადრეც შემეძლო გადასვლა, მაგრამ კარგია, რომ ბოლოს და ბოლოს იქ აღმოვჩნდი.

**- „იუნაიტედთან" ახალი კონტრაქტი გააფორმეთ. ადვილი იყო ამ გადაწყვეტილების მიღება?**

- „ოლდ ტრეფორდზე" კიდევ ერთი წლით ვრჩები და ამით ძლიერ კმაყოფილი ვარ. სასიამოვნოა ყოფნა და თამაში უდიდეს გუნდში, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონია. გარშემო დიდი ფეხბურთელები არიან, ასე რომ, ძნელი არ იყო კიდევ ერთი წლით აქ დარჩენა.

**- თქვენ, კოლექციას კიდევ ერთი ჯილდო დაემატა - ფიფას მსოფლიოს საკლუბო თასი...**

- კმაყოფილი ვიყავი. მსოფლიოს ჩემპიონობა შესანიშნავია. 1995 წელს, „აიაქსთან" ერთად, საკონტინენტთაშორისო თასი მოვიგე, მაგრამ ეს უფრო ძნელი იყო, რადგან ერთი მატჩის ნაცვლად ორი უნდა გვეთამაშა. ახლა წლები მომემატა და ვამჩნევ, რომ მოგზაურობა მღლის, თუმცა ამას ყურადღებას არ ვაქცევ.

**- რას იტყვით საკლუბო თასის ფინალზე?**

- ცოტათი ავღელდით, როცა მოედანზე ათნი დავრჩით, რადგან ვფიქრობდი, რომ იმ მომენტამდე სიტუაციას ვაკონტროლებდით, თუმცა კვლავ მიმაჩნია, რომ კარგად ვითამაშეთ. მეგონა, ისინი წნეხში მოგვაქცევდნენ, როცა ერთი ჩვენიანი გააძევეს. დარწმუნებული არ ვარ, რომ ისინი ნერვიულობდნენ, მაგრამ ველოდი, დაცვაში გადაგვიყვანდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლოს მათ რამდენიმე შანსი ჰქონდათ, ვფიქრობ, ბურთს მაინც ჩვენ ვაკონტროლებდით.

**- ორი ფანტასტიკური ბურთი აუღეთ ალეხანდრო მანსოს. კმაყოფილი იყავით საკუთარი თამაშით?**

- ნასიამოვნები დავრჩი. პირველ ტაიმში საქმე თითქმის არ მქონდა, მაგრამ მეორე ტაიმში რამდენჯერმე მომიწია სიტუაციის განეიტრალებამ.

**- რას იტყვით სერ ალექს ფერგიუსონზე, ადამიანზე, რომელიც თქვენს საშინაო, ევროპულ და მსოფლიო წარმატებას ხელმძღვანელობდა. კარგი მწვრთნელია?**

- უდიდესი. ის ისე დიდხანსაა კლუბში, უკვე იმდენ წარმატებას მიაღწია, რომ გასაკვირია, როცა გამარჯვება კიდევ სწყურია. იმედია, მასთან ერთად უფრო მეტს მივაღწევთ.

**- დაბოლოს, როგორი იყო ოქტომბერში ჰოლანდიის ნაკრებში დაბრუნება?**

- ძალზე სასიამოვნო და ამაღელვებელი. ნაკრებში თამაში გაზაფხულზე დავასრულე, მაგრამ ფეხბურთელები ტრავმირებულნი იყვნენ და ამიტომაც გამომიძახეს. მათი გაწბილება არ შემეძლო...

გვერდი მოამზადა
**დავით ჩუბინიძე**

ვარსკვლავების ცხოვრებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როგორ გააშაყირეს რონალდო...

„მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელებმა **კრისტიანო რონალდოს** საბავშვო, „პედლებიანი" მანქანა უყიდეს, ამას წინათ დამსხვრეული ნამდვილი ავტოს სანაცვლოდ. საწვრთნელ შეკრებაზე მიმავალი კრისტიანო გზად ავარიაში მოყვა. რაც მთავარია, თავად გადარჩა, თუმცა ორი დღით ადრე შეძენილი „ფერარი 599 GTB" გვარიანად დაზიანდა.

ამ ინციდენტის შემდეგ რონალდო უკვე 140.000 გირვანქად ღირებული „ბენტლი კონტინენტალ GT სპიდით" დასეირნობს. „მანჩესტერ იუნაიტედის" ფეხბურთელებს, რომელთაც მოსწყინდათ რონალდოს წუწუნი დამსხვრეულ „ფერარიზე" (200 000 გირვანქა ღირდა), სათამაშო იყიდეს და „ბენტლის" გვერდით მიუყენეს. რონალდოს ხუმრობა ესიამოვნა და ისტერიკული სიცილი აუტყდა. სხვებიც იცინოდნენ, როცა ის პატარა მანქანაში ჩაჯდა, გამოიყვანა რიგიდან, ცოტა გაატარა და ისევ რიგში ჩააყენა. ამ სათამაშოს რომელიღაც ადგილობრივ საავადმყოფოს ან მიუსაფარ ბავშვთა სახლს გადავცემო, უთქვამს რონალდოს.

პორტუგალიელმა, რომელიც კვირაში 110.000 გირვანქას იღებს, დამტვრეული „ფერარის" გარემონტება გადაწყვიტა. „ახალ" „ფერარი 599 GTB-ს" ის ერთი წლის განმავლობაში უნდა ელოდოს.





ეროვნული ბიბლიოთეკა

არშემდგარი ტრანსფერი



# როგორ გადაწყდა კაკას ბედი...

ესეცასე, **კაკას** საგა დასრულდა, ბრაზილიელი ვარსკვლავი კარიერას „მილანში" გააგრძელებს. ამის შესახებ ორშაბათს გვიან ღამით გაცხადდა და „ლელოს" გუშინდელ ნომერში გამცნეთ კიდეც. მოლაპარაკებების წარმატებით დასრულებას აღარაფერი უკლდა, როდესაც საქმეში **სილვიო ბერლუსკონი** ჩაერია და გარიგებაც ჩაშალა. ამ ამბავმა „მილანის" გულშემატკივრები ძალიან გაახარა, მათი საპროტესტო აქცია ზეიმში გადაიზარდა. თუმცა, როგორც ტიფოზები აცხადებენ, ისინი მოდუნებას არ აპირებენ და „როსონერის" ბოსები მუდმივი კონტროლის ქვეშ ეყოლებათ. მოვლენათა ასეთმა განვითარებამ გაახარა თავად ფეხბურთელიც, ყოველ შემთხვევაში, მისი ქმედებები სწორედ ამას მოასწავებდა. კაკა მის სახლთან შეკრებილ გულშემატკივრებს მიესალმა, „მილანის" მაისურა გადმოფინა და კლუბისადმი ერთგულება გამოხატა. ერთი სიტყვით, საპროტესტო აქციებმა, კაკას მიმართ ტიფოზების მიერ გამოხატულმა სიყვარულმა და ამ ტრანსფერისადმი საფეხბურთო სამყაროს უარყოფითმა დამოკიდებულებამ თავისი გაიტანა და ბრაზილიელი „როსონერიში" დარჩა. ამას ადასტურებს **ადრიანო გალიანიც**, მან გუშინ მინი-ბრიფინგი მოაწყო:

*„გამოგიტყდებით და იყო შანსი, რომ კაკას „მილანი" დაეტოვებინა. ცდუნება დიდი იყო და ამის აღიარების არ მრცხვენია. ფეხბურთელის სანაცვლოდ „მანჩესტერ სიტიმ" ასტრონომიული თანხა შემოგვთავაზა. ცალკე ჩვენს დათანხმებას ცდილობდნენ და ცალკე კაკას დაყოლიებას, რომელსაც ყოველკვირეულ გასამრჯელოდ 380.000 ფუნტს პირდებოდნენ. ერთ-ერთი მხარე მაინც რომ დაეთანხმებინათ, ტრანსფერს წინ ვერაფერი დაუდგებოდა. თუმცა ეს ასე არ მოხდა და ჩვენ ამით ამაყები ვართ. „სიტიში" გადასვლა კაკამაც იუარა და ეს ჩვენთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. მან კლუბის მიმართ ერთგულება გამოხატა და ამით, კიდევ უფრო მეტი პატივისცემა დაიმსახურა. რიკიმ გვითხრა, რომ წასვლა არ სურდა და ბუნებრივია, ჩვენ მის გაყიდვაზე ხელი ავიღეთ".*

გალიანის თქმით, გადამწყვეტი სიტყვა სილვიო ბერლუსკონიმ თქვა: *„საბოლოო სიტყვა ჩვენს პრეზიდენტს ეკუთვნოდა - არა, კაკა არ იყიდება, განაცხადა სილვიომ და მივხვდით, რომ ყველაფერი დასრულდა. ამ გადაწყვეტილებამ ტიფოზები აღაფრთოვანა, ისინი ბერლუსკონის უნდა უმადლოდნენ, რომ კაკა გუნდში დარჩა. დამერწმუნეთ, ამ წინადადებაზე უარის თქმა ძალიან რთული იყო, რადგან ამ თანხით ძალიან ბევრ კარგ პროექტს განვახორციელებდით. ასეა თუ ისე, კაკა ჩვენთან რჩება და ამით ყველაფერი ნათქვამია".*

რა უძლოდა წინ ბერლუსკონის ნათქვამ „არას"? - თურმე, მას კაკასთან პირისპირ საუბარი მოუსურვებია და ორშაბათს საღამოს ეს შეხვედრაც შემდგარა. მოვუსმინოთ თავად ბერლუსკონის:

*„ნათელი იყო, რომ ყველაფერი თავად კაკას უნდა გადაეწყვიტა. თუ ის მოინდომებდა „სიტიში" გადასვლას, ხელს ნამდვილად არ შევუშლიდით და აუცილებლად გავუშვებდით. თუ „მილანში" დარჩენის სურვილს გამოთქვამდა, მას არსადაც არ გავუშვებდით, რადგან ფული ჩვენთვის მთავარი არასდროს ყოფილა. აღნიშნულ საკითხზე კაკამ კონსულტაციები ოჯახთან გაიარა და ვიცოდი, რომ არჩევანი უკვე გაკეთებული ექნებოდა. რიკის შევხვდი თუ არა, მაშინვე განმიცხადა, რომ „მილანში" დარჩენა მყარად ჰქონდა გადაწყვეტილი. მან მითხრა, რომ მხოლოდ „როსონერიში" სურდა კარიერის გაგრძელება. შევხედე თვალებში და ვერაფერი შევატყვე, რომ იმ ხელფასზე დარდობდა, რასაც მანჩესტერელები ჰპირდებოდნენ. მაშინ აღმომხდა ალილუია და მას გადავეხვიე. სწორედ იქ გადაწყდა ყველაფერი - შემდეგ, გავემართე კლუბის ოფისში და ვთქვი: მორჩა, კაკა არსადაც არ მიდის, ის ჩვენთან დარჩება".*

„მილანის" პრეზიდენტმა მართლაც კარგად გადმოსცა ეს ყველაფერი და ნათლად დაგვანახვა თუ როგორ ვითარდებოდა მოვლენები ორშაბათს, სწორედ ამ დღეს გადაწყდა კაკას ბედი. თუმცა, ჟურნალისტებისა და ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ კაკას საგა ჯერ მაინც არ დასრულებულა. მეტიც, სულაც ახლა იწყება. საქმე იმაშია, რომ რამდენიმე დღის წინ საქმეში მადრიდის „რეალი" ჩაერია. აი, რას წერს „გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტი **ლუკა კალამაი:**

*„ბევრს ჰგონია, რომ კაკას „მილანში" დარჩენა გადაწყვეტილი ამბავია, თუმცა მე ასე არ ვიტყოდი. ჩემი აზრით, ფეხბურთელი „რეალმა" დააფიქრა, ის სწორედ მადრიდულ წინადადებას ელოდება და ამად განაცხადა უარი „სიტიში" გადასვლაზე. „როსონერის" მესვეურებს კარგად ესმით, რომ ესპანელებისგან უფრო სარფიანი წინადადების მიღება შეუძლიათ. „რეალს" სულ მალე ახალი პრეზიდენტი ეყოლება და ინჩასთა გულის მოსაგებად, აუცილებლად შეეცდება რომელიმე მეგავარსკვლავის გადაბირებას. ასეთი ვარსკვლავი კი შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ ორი იყოს: კრისტიანო რონალდო და კაკა. პირველთან განშორების პერსპექტივას „მანჩესტერ იუნაიტედის" მესვეურები არც კი განიხილავენ, ამიტომ რჩება კაკა, რომლის შეძენაც თურმე შესაძლებელი ყოფილა. დიახ, შესაძლებელი, რადგან საამისოდ ინგლისელებს ძალიან ცოტა დააკლდათ. ერთი სიტყვით, მადრიდელები აუცილებლად გადავლენ შეტევაზე და „როსონერისაც" ახალი იერიშის მოგერიება მოუწევს".*

ეს კალამაისა და ექსპერტთა ნაწილის მოსაზრებაა, დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს. ფაქტი ის გახლავთ, რომ კაკა „მილანის" ფეხბურთელია და დღევანდელი მდგომარეობით, არსად წასვლას არ აპირებს.

ინტერი

# მოურინიო ზომებს მიიღებს

„ინტერის" ბოლოდროინდელი წარუმატებელი ასპარეზობა იტალიაში ნომერი მეორე სალაპარაკო თემაა. ბუნებრივია, ლიდერობაში **კაკას** გარშემო დატრიალებულ ამბებს ვერავინ და ვერაფერი შეეცილება. „ნერაძურის" ჩავარდნა უმეტესობისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა, რადგან პირველ წრეში „ინტერი" ძალიან სტაბილურად ასპარეზობდა. აღნიშნულ საკითხზე **ჟოზე მოურინიომ** შემდეგი კომენტარი გააკეთა: *„ბოლო ორ შეხვედრაში ძალიან ცუდად ვითამაშეთ და შესაბამისი შედეგიც მოვიმკეთ. ამაზე აუცილებლად მოვახდენ რეაგირებას და გარკვეულ ზომებსაც მივიღებ. ბერგამოში პირველი ტაიმი კატასტროფულად ჩავატარეთ, რაც ზედმეტი თავდაჯერებულობის ბრალი გახლდათ. საკუთარი თავის რწმენა აუცილებელია, მაგრამ ამან მახინჯი ფორმები არ უნდა მიიღოს. თუ ეს ჩემმა შეგირდებმა არ იციან, ვეცდები გავაგებინო".*

მოურინიოს ხუთშაბათს გასამართ სათასო პაექრობაზე ჰკითხეს, „ინტერს" „რომასთან" უწევს შეტოქება: *„ჩემთვის გაუგებარია რატომ აქცევენ ასე მცირე ყურადღებას იტალიაში სათასო ბატალიებს. პორტუგალიასა და ინგლისში თასის გათამაშება პრესტიჟულია და როდესაც ტროფეებს დავეუფლე, უბედნიერესი ვიყავი. ჩემი ოცნებაა, რომ იტალიის თასსაც დავეუფლო და კოლექცია კიდევ ერთი მედლით გავიმდიდრო. „რომასთან" ის ფეხბურთელები არ ითამაშებენ, რომლებმაც ბერგამოში თავი შეირცხვინეს. ჩემთვის გვარებს მნიშვნელობა არ აქვს, თუ მოთამაშე ფორმაში არაა, ძირითადში ნამდვილად ვერ მოხვდება".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**

აღიარება

# ბუფონი საუკეთესოაო...

ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ორგანიზაციამ ბოლო ოცწლეულის საუკეთესო გოლკიპერი გამოავლინა. ეს მეტად საპატიო ჯილდო იტალიის ნაკრების კარის დარაჯს, **ჯანლუიჯი ბუფონს** გადაეცა. ჯიჯიმ ცხრა ქულით გადაასწრო მეორე ადგილზე გასულ **პეტერ შმაიხელს**, ვინც თავის დროზე დანიის ეროვნულ ნაკრებში და „მანჩესტერ იუნაიტედში" ბრწყინავდა. იტალიაში ამ აღიარებას დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ და ეს ჯილდო მათი სამეკარეო სკოლის მორიგ გამარჯვებად მიიჩნიეს. მართლაც და იტალიელებს ყოველთვის გამორჩეული მეკარეები ჰყავდათ. ბუნებრივია, ბუფონს აღიარება უკომენტაროდ არ დაუტევებია:

*„იყო ოცწლეულის საუკეთესო მეკარე, ძალიან დიდი პატივია. სიას რომ გადავხედე, სიამაყით ავივსე და საკუთარ თავს ვკითხე, ნუთუ ამათ გვერდით ვარ? - ეს მართლაც ფანტასტიკურია".*

ჯიჯის სამომავლო გეგმებზეც დაეკითხნენ, რამდენ ხანს აპირებს კიდევ დიდი ფეხბურთის თამაშს:

*„მეკარეები, როგორც წესი, უფრო დიდხანს ვთამაშობთ, ვიდრე მინდვრის მოთამაშეები. ფეხბურთიდან წასვლას ჯერ არ ვაპირებ, რადგან თავს მხნედ ვგრძნობ. უმაღლეს დონეზე თამაში კიდევ დიდხანს შემიძლია, მონდომებით ვვარჯიშობ და მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ. თანაც, მოტივაციის მხრივ, პრობლემა არასდროს მქონია და ზუსტად ვიცი, რომ არც შემექმნება".*

| მეკარეთა ოცეული | |
|---|---|
| 1. ჯანლუიჯი ბუფონი (იტალია) | 78 ქულა |
| 2. პიტერ შმაიხელი (დანია) | 69 |
| 3. იკერ კასილიასი (ესპანეთი) | 63 |
| 4. ოლივერ კანი (გერმანია) | 62 |
| 5. ხოსე ლუის ჩილავერტი (პარაგვაი) | 58 |
| 6. ვალტერ ძენგა (იტალია) | 55 |
| 7. ედვინ ვან დერ სარი (ჰოლანდია) | 53 |
| 8. პეტერ ჩეხი (ჩეხეთი) | 44 |
| 9. მიშელ პრიუდომი (ბელგია) | 43 |
| 10. კლაუდიო ტაფარელი (ბრაზილია) | 40 |
| 11. დევიდ სიმენი (ინგლისი) | 38 |
| 12. ფაბიენ ბარტეზი (საფრანგეთი) | 37 |
| 13. ანდონი სუბისარეტა (ესპანეთი) | 35 |
| 14. ნელსონ დიდა (ბრაზილია) | 35 |
| 15. რინატ დასაევი (რუსეთი) | 27 |
| 16. სერხიო გოეკოეჩეა (არგენტინა) | 26 |
| 17. ჰანს ვან ბრიოკელენი (ჰოლანდია) | 23 |
| 18. პიტერ შილტონი (ინგლისი) | 22 |
| 19. ვიტორ ბაია (პორტუგალია) | 22 |
| 20. ანდრეას კიოპკე (გერმანია) | 22 |



თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი



მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები, მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესპანიოლი

# მანე წავიდა, მონჯუიკზე პოჩეტინო დაბრუნდა

## არგენტინელმა კატალონიელები პრიმერაში უნდა დატოვოს

სეზონის დაწყების წინ ალბათ ვერავინ იფიქრებდა, რომ „ესპანიოლი„ პრიმერა დივიზიონიდან გავარდნის კანდიდატი იქნებოდა, მაგრამ რეალობა დაუნდობელი და ურთულესი აღმოჩნდა. ყოველთვის ამბიციური მიზნებისთვის მებრძოლი კატალონიური კლუბი ახლა სავალალო მდგომარეობაში იმყოფება. გუშინ ცნობილი გახდა, რომ „ესპანიოლის„ მთავარმა მწვრთნელმა **ხოსე მანუელ ესნალმა** თანამდებობა დაკარგა. ხელმძღვანელობას მან უმორჩილესად სთხოვა, მუშაობის გაგრძელების საშუალება მიეცათ, მაგრამ პრეზიდენტის კატეგორიული მოთხოვნით, დირექტორატმა მანეს კონტრაქტი ვადამდე გაუწყვიტა. ბუნებრივია, კატალონიელები მთავარი მწვრთნელის გარეშე დიდხანს ვერ გაჩერდებოდნენ და გადაწყვიტეს, სეზონის დასრულებამდე გუნდი **მაურისიო პოჩეტინოს** ჩააბარონ. აღსანიშნავია, რომ არგენტინელი ფეხბურთელი თავის დროზე სწორედ „ესპანიოლში" თამაშობდა. ამ დანიშვნის შესახებ საზოგადოებას პრეზიდენტმა **დანიელ სანჩეს ლიბრემ** ამცნო: *„მანეს პირადად შევხვდი და ვუთხარი, რომ მისი მუშაობით უკმაყოფილო ვარ. ან როგორ ვიქნებოდი კმაყოფილი? ჩვენს ყოფილ მწვრთნელს დიდ პატივს ვცემ, მაგრამ მიმაჩნია, რომ „ესპანიოლს„ შველა სჭირდება. მანეს მუშაობამ სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. ამიტომ სასწრაფო ზომები უნდა მიგვეღო. ჩვენი გადაწყვეტილებით კლუბი მაურისიო პოჩეტინომ ჩაიბარა. დარწმუნებული ვარ, ახალგაზრდა მწვრთნელი ენერგიულად იმუშავებს და ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ კრიზისი უმოკლეს დროში დავძლიოთ. „ესპანიოლის„ პრიმერა დივიზიონიდან გავარდნა კატასტროფა და ტრაგედია იქნება".*

პოჩეტინოს დანიშვნის მართებულობას დრო გამოაჩენს, მაგრამ ამ ეტაპზე ის უნდა ითქვას, რომ დანიელ სანჩეს ლიბრეს პოლიტიკას „ესპანიოლისთვის„ განსაკუთრებული სიკეთე არ მოუტანია. შეგახსენებთ, ამ სეზონში კატალონიელებს მესამე მწვრთნელი უხელმძღვანელებს. ხოსე მანუელ ესნალამდე მთავარ მწვრთნელად **მარკესი** მუშაობდა, მაგრამ კრიზისს სწორედ მის ხანაში ჩაეყარა საფუძველი. აქვე უნდა ითქვას, რომ პოჩეტინოს პირველივე შეხვედრაში უმძიმესი გამოცდის ჩატარება მოუწევს. „მონჯუიკზე„ მან „ბარსელონას„ უნდა უმასპინძლოს. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ კატალონიური დერბი წელს ჩვეულ ინტერესს არ იწვევს. ამის მიზეზი, რა თქმა უნდა, გუნდების რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობაა. „ბარსელონა„ ცაში ვარსკვლავებს ეთამაშება. „ესპანიოლი„ კი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

სკანდალი



ნიუკასლის მთავარი მწვრთნელი ჯო კინეარი ჰალ სიტის დამრიგებელ ფილ ბრაუნს ეჩხუბება

# კინეარსა და ბრაუნს სასჯელი ელით

ინგლისის საფეხბურთო ასოციაციამ "ნიუკასლისა" და "ჰალ სიტის" - თავკაცებს, **ჯო კინეარსა და ფილ ბრაუნს** ბრალი წაუყენა. ისინი მწვრთნელებისათვის შეუფერებელ საქციელში არიან მხილებულნი. გასულ ოთხშაბათს, ინგლისის ასოციაციის თასის მეოთხე რაუნდის გადათამაშებისას, რომელიც ნიუკასლის "სენტ ჯეიმს პარკზე" გაიმართა ("ჰალ სიტიმ" მინიმალური ანგარიშით მოიგო), კინეარი და ბრაუნი ერთმანეთს წაეკიდნენ. საქმე კინალამ ხელჩართულ ჩხუბამდე მივიდა. მთავარმა მსაჯმა **ფილ დაუდმა** ვნებები იმით ჩააცხრო, რომ ორივეს წითელი ბარათი აუფრიალა. მწვრთნელები ტრიბუნაზე მიაბრძანეს. დაუდმა მათ შორის მომხდარი უსიამოვნება მოხსენებით ბარათში აღწერა და საქმე განსახილველად საფეხბურთო ასოციაციას გადასცა.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 22-ე წუთზე "ნიუკასლის" მცველი **ფაბრისიო კოლოჩინი** "ჰალის" ფორვარდ **დანიელ კუზენს** ეუხეშა (სხვათა შორის, შეხვედრის ერთადერთი გოლი ამ ბიჭმა შეაგდო). ნამატჩევს მასპინძელთა თავკაცმა თავისი კოლეგის საქციელი ასე აღწერა: *"ის (ფილ ბრაუნი) ჩემკენ გამოემართა და უწმაწური სიტყვების კორიანტელი დააყენა. გარწმუნებთ, ასეთი სიტყვები დიდი ხანია, არავისგან გამიგონია. მართალია, მას პირადად ჩემთვის არაფერი უთქვამს, სამაგიეროდ კრის ჰუტონს (კინეარის ასისტენტი) წაეჩხუბა. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჰუტონი მას ვალში არ დარჩენია. შემდეგ მე მას ვუთხარი: "საკმარისია". გარწმუნებთ, ამის მეტი არაფერი მითქვამს. ამიტომ არ ვიცი, რა დაემართა მსაჯს. გიმეორებთ: მას (ბრაუნს) მხოლოდ მოვუწოდე, შეეწყვიტა ეს შეუფერებელი ტირადა. კრისს თავის ადგილზე დაბრუნება ვთხოვე. ამ დროს მსაჯმა მოირბინა და... არ ვიცი, ჩემი რეპუტაციის ბრალია თუ არა, მაგრამ შეგიძლიათ, ვიდეოჩანაწერი იხილოთ და დარწმუნდებით, რომ მე ჩემი ტექნიკური ზონაც კი არ დამიტოვებია."*

კინეარი მართალია. შესაძლოა, მისი გაძევება მართლაც მისი რეპუტაციის დამსახურება იყოს. "ნიუკასლში" დანიშვნის შემდეგ, ეს არ გახლავთ პირველი შემთხვევა, როდესაც ჯორდების თავკაცს ასოციაციასთან პრობლემები ექმნება. მან „ნიუკასლში" მოღვაწეობა სულაც ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დაიწყო, რადგან ეს სასჯელი წინა სამსახურიდან, „ნოტინგემ ფორესტიდან" ჰქონდა გამოყოლილი. დეკემბერში, „სტოკ სიტისთან" გასვლითი მატჩისას მსაჯმა **მაიკ რაილიმ** ის მოედნიდან გააძევა. უახლოეს დღეებში მისტერ კინეარი ასოციაციაში კიდევ ერთი საქმის მოსმენას დაესწრება. მას მსაჯ **მარკ ატკინსონის** მისამართით გაკეთებული კომენტარების გამო მოუწევს ახსნა-განმარტების გაკეთება.

**შალვა ბიბილაშვილი**

პორტსმუთი

# ვიეირა ინგლისში ბრუნდება?

## პენანტი ადამსთან, სავიოლამ ინგლისელთა წინადადება შორს დაიჭირა

**პატრიკ ვიეირამ**, შეიძლება, სამსახური შეიცვალოს. ფრანგი ვარსკვლავი ტრავმებმა გატანჯა. მილანურ გრანდში კი, მოგეხსენებათ, უმძაფრესი კონკურენციაა, რაც დაშავებული ფეხბურთელის პოზიციებს დღითიდღე ასუსტებს. ინგლისური სააგენტოების ცნობით, პატრიკს პრემიერლიგაში ეპატიჟებიან. მას "პორტსმუთმა" შესთავაზა თანამშრომლობა. "პორტსმუთის" მთავარ მწვრთნელ **ტონი ადამსს** სურს, რომ ვიეირა სეზონის ბოლომდე იჯარით გადაიყვანოს, ხოლო მომავალი სეზონიდან ხანგრძლივი კონტრაქტი გაუფორმოს მას. ფეხბურთელის ბანაკს კომენტარი ჯერ არ გაუკეთებია. ეს ინფორმაცია ჯერჯერობით არც "პორტსმუთის" ხელმძღვანელობას დაუდასტურებია ან უარუყვია.

ამასობაში, "მონაკო" „პორტსმუთის" ნახევარმცველ **ნიკო კრანჩარით** დაინტერესდა. კრანჩარი ხორვატიის ნაკრების ფეხბურთელია. ის სამხრეთინგლისურ კლუბში 2006 წლიდან ასპარეზობს. კრანჩარმა ამ ხნის განმავლობაში 69 მატჩი ჩაატარა და 7 გოლი შეაგდო. პრინციპატული კლუბი ფეხბურთელის ხელში ჩაგდებას ჯერ კიდევ გასულ ზაფხულს ცდილობდა. მან "პორტსმუთს" 12 მილიონი ევროც კი შესთავაზა, მაგრამ იმჟამინდელი მთავარი მწვრთნელის, **ჰარი რედნაპისაგან** ცივი უარი მიიღო. რედნაპის აბარგების შემდეგ ვითარება რამდენადმე შეიცვალა. ფინანსურმა კრიზისმა "პორტსმუთსაც" დაასვა დაღი. ინგლისელი მიმომხილველები ვარაუდობენ, რომ თუ „მონაკო" კვლავ 12 მილიონს შესთავაზებს, კრანჩარს სიამოვნებით მიჰყიდიან. "მონაკოს" პრეზიდენტმა **ჟერომ დე ბონტენმა** გამოთქვა იმედი, რომ ფეხბურთელს იანვრის სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე დაიბევებს.

ამასობაში, თითქმის გადაწყვეტილია, რომ "ლივერპულის" ნახევარმცველი **ჯერმეინ პენანტი** "პორტსმუთში" გადავა. პენანტი მერსისაიდელთა სათადარიგო მოთამაშეა. **რაფა ბენიტესი** მას სულ უფრო იშვიათად ენდობა. ტონი ადამსს კი ფლანგზე სწორედ მისი ყაიდის ფეხბურთელი სჭირდება. პენანტს ლივერპულური კონტრაქტი ივნისში უმთავრდება. "პორტსმუთს" რომ სეზონის ბოლომდე მოეცადა, ჯერმეინს უკომპენსაციოდ წაიყვანდა. ახლა კი 2 მილიონი გირვანქის გადახდა მოუწევს. ამ ინფორმაციას "დეილი მეილი" ავრცელებს. კლუბებს მოსალოდნელ გარიგებასთან დაკავშირებით კომენტარი ჯერ არ გაუკეთებიათ. უცნობია, როდის შედგება ახალ კლუბში ფეხბურთელის დებიუტი.



ჯერმეინ პენანტის პორტსმუთში ტრანსფერი თითქმის გადაწყვეტილია

და კიდევ, "პორტსმუთი" „რეალისა" და არგენტინის ნაკრების თავდამსხმელის, **ხავიერ სავიოლას** შეძენასაც შეეცადა, მაგრამ ამაოდ. "ბაჭიამ" ინგლისში გამგზავრებაზე კატეგორიული უარი განაცხადა. ის სამეფო კლუბში ღრმა თადარიგში ზის. ძალიან ხშირად ფეხბურთელი განაცხადშიც კი ვერ ხვდება. ამის გამო საეჭვოა, **დიეგო მარადონამ** ეროვნულ გუნდში გამოიძახოს. "პორტსმუთში" ტრანსფერის შემთხვევაში, მას სათამაშო პრაქტიკა თავზე საყრელად ექნებოდა, მაგრამ ხავიერმა ესპანურმა გრანდში უზრუნველი შემოსავალი არჩია მეორეხარისხოვან ინგლისურ კლუბში მუხლჩაუხრელ შრომას. ტონი ადამსს ის „ტოტენჰემში" გაყიდული **ჯერმეინ დეფოს** შემცვლელად სჭირდებოდა.

**შალვა ბიბილაშვილი**

ტოტენჰემი

# პალასიოსი 14 მილიონად

## რედნაპს შემადგენლობის გაძლიერება ჯერ არ დაუმთავრებია

"ტოტენჰემის" თავკაცმა **ჰარი რედნაპმა** მორიგი შენაძენი გააკეთა. მან "ვიგანისა" და ჰონდურასის ნაკრების ნახევარმცველი **ვილსონ პალასიოსი** შეიძინა. გუშინ ფეხბურთელი ლონდონს ეწვია, რათა სამედიცინო შემოწმება გაევლო. აუცილებელი პროცედურების გავლის შემდეგ, მან კონტრაქტის პერსონალური დეტალები შეათანხმა. 24 წლის ფეხბურთელს სამწლიანი ხელშეკრულება გაუფორმეს. მისი კვირეული ხელფასი 24 ათასი გირვანქით განისაზღვრა. შედარებისათვის, მოკრძალებული "ვიგანი" პალასიოსს მხოლოდ 7 ათასს უხდიდა. იმასაც გეტყვით, რომ ვიგანელები ფეხბურთელის სანაცვლოდ 14 მილიონ გირვანქას მიიღებენ.

"ტოტენჰემი" ტრანსფერი ძალიან კმაყოფილია. ხუმრობა ხომ არ არის – ვილსონის შეძენა მანჩესტერულ კლუბებს, "იუნაიტედსა" და "სიტის" სურდათ, მან კი ლონდონში ცხოვრება აირჩია. "ვიგანს" სატრანსფერო თანხას ორი წლის განმავლობაში გადაუხდიან. "ტოტენჰემს" ამ ვადის ოთხ წლამდე გაგრძელება სურდა, მაგრამ მეორე მხარისაგან კატეგორიული უარი მიიღო. აღსანიშნავია, რომ პალასიოსის დებიუტი მინიმუმ ორი მატჩის განმავლობაში ვერ შედგება. ის "ტოტენჰემში" ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით მიდის. ეს იმიტომ, რომ მიმდინარე სეზონში ვილსონმა ათი ყვითელი ბარათის მიღება მიასწრო. ეს კი ინგლისური კანონმდებლობით, ორმატჩიან სასჯელს იმსახურებს.

რედნაპს თავდასხმის გაძლიერება ჯერ არ დაუსრულებია. ის "სანდერლენდის" ფორვარდ **კენვინ ჯოუნსსაც** ეპატიჟება. "სანდერლენდმა" ფეხბურთელს სოლიდური ფასი, 15 მილიონი გირვანქა დაადო. "შავ კატებს" იმედი აქვთ, რომ "მამლები" ამ გზით მაინც ჩამოეხსნებიან. ლონდონელები სათადარიგო კანდიდატზეც მუშაობენ. ასეთად რედნაპს ლიონელი **ფრედი** ჰყავს შეუგულებია.

აქვე გეტყვით, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკებები "ნიუკასლთან". „მამლების" თავკაცი ჯორდების მეორე მეკარე **სტივ ჰარპერს** ეპატიჟება. მას "ტოტენჰემის" სარეზერვო მეკარეების **ბენ ოლნვიკისა** და **სესარ სანჩესის** მომზადების დონე არ აკმაყოფილებს. მან **ეურელიო გომესისათვის** ძლიერი კონკურენტი სჭირდება. სესარ სანჩესს სავარაუდოდ ესპანეთში გაუშვებენ. მას „ესპანიოლი" და „ვალენსია" ეპატიჟებიან, თუმცა ამ კლუბებშიც სკამზე ჯდომა ელოდება. სტივ ჰარპერი 2 მილიონ გირვანქადაა შეფასებული.

**შალვა ბიბილაშვილი**

ამბები

### კლერმონის მცველი კომაშია

„კლერმონის" 23 წლის მცველ კლერმან პინოს კვირას უმძიმესი სტენოკარდიული შეტევა ჰქონდა. მოთამაშე უმალ საავადმყოფოში გადაიყვანეს. კლინიკაში მიყვანის შემდეგ მან გონება დაკარგა. ამჟამად ის კომაშია. პარასკევს პინომ საფრანგეთის მე-2 ლიგის კალენდარულ შეხვედრაში „ბრესტის" წინააღმდეგ ითამაშა. გუნდის ექიმის თქმით, მისთვის მომხდარი აბსოლუტური შოკი იყო, რადგან იქამდე ჯანმრთელობის პრობლემას კლერმანი არასდროს შეუწუხებია, - გვამცნობს „ფრანს ფუტბოლი".

### პსჟ-მა შეიძლება პრეზიდენტი დაკარგოს

„სოშოსთან" 21-ე ტურის შეხვედრის შემდეგ შედგა „პარი სენჟერმენის" აქციონერთა კრება. მასზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ **შარლ ვილნევი** პრეზიდენტის თანამდებობიდან გაათავისუფლონ. ორი კვირის განმავლობაში აღნიშნულს დასტური უნდა მისცეს ამომრჩეველთა გენერალურმა ასამბლეამ. იქამდე კი, ვიდრე ასამბლეა შეიკრიბება, ვილნევი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად რჩება. აქციონერთა განრისხება იმან გამოიწვია, რომ პრეზიდენტმა საკუთარი უფლებამოსილების გაზრდა კატეგორიულად მოითხოვა.

**შალვა ბიბილაშვილი**

# მიშელ პლატინი

# ცხოვრება, როგორც მატჩი




(გაგრძელება)

„ნანსი-ლოტარენგიის“ მეორე დივიზიონში გავარდნის შემდეგ, მამაჩემმა დროებით თავის ძმებთან გამგზავნა, ბუღალტრული გამოთვლების კურსის ასათვისებლად. სწორედ ამ საქმით ვიყავი დაკავებული დილისა და საღამოს ლოცვებს შორის... გუნდიდან სხვა ახალგაზრდა მოთამაშეებიც წავიდნენ.

მაგრამ „ნანსი“, რომელიც ბოლომდე ენდობოდა თავის გულუბრყვილო ახალგაზრდებს, ისევ ცდილობდა ძველი ადგილის დაბრუნებას. და აი, ოდნავ გადახალისებული გუნდი კვლავ აღორძინდა. მისი მოთამაშეების საშუალო ასაკი 22 წელს შეადგენს. დაცვაში თამაშობს **კურბელო**, ნახევარდაცვაში - **კრისტიან დონა**, თავდასხმაში - **მარტინი** და **დი კარო**. გუნდი შეირწყა, მაგრამ განწირულია სენტ-დიეს, ბეზანსონის, შომოს, აგენოს და ეპინალის მინდვრებზე ითამაშოს - ყველგან, სადაც პირველი დივიზიონებიდან გავარდნილებს ელიან, რათა მათ „მუცელი გამოფატრონ“.

ამის შესახებ ყოველგვარი ღვარძლის გარეშე ვლაპარაკობ, რადგან კარგად ვიცი, რა ბედი ელით მთავარი ფრონტიდან გაძევებულებს, იმათ, ვინც იძულებული არიან, მათზე უილბლოებთან ბრძოლაში ჩაებან.

რაოდენ პარადოქსულადაც უნდა ჟღერდეს, მეორე დივიზიონში გავარდნამ ბევრი დადებითი შეგვძინა. მე რაც შემეხება, მინდვრებზე ამ მეკობრეებთან ბრძოლაში დავხვეწე ჩემი ფინტები და დრიბლინგი. არადა, თავიდან ამას არ ველოდი.

ვისწავლე მეურვის უმტკივნეულოდ ჩამოცილება, მეტოქისადმი პატივისცემა, მიკერძოებული მსაჯობის გამოვლენა. გავიგე, როგორ და რატომ ურტყამენ „მუხთლად“ ფეხებში.

„ნანსი“ ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობდა, თამაშებს იგებდა, მეტოქე გუნდებისგან პატივისცემას იმსახურებდა და რაც მთავარია, უკან დასაბრუნებელ „ვიზას“ იღებდა.

პროფესიული ფეხბურთის „განსაწმენდელში“ ხანმოკლე ტრანზიტული მოგზაურობის შემდეგ, „ნანსიმ“ ელიტისკენ აღმასვლა დაიწყო.

იმ წელს, მე ყველა მატჩში მივიღე მონაწილეობა და წინა წლის „ბრალი“ საკმაოდ კარგი შედეგით - 17 გოლით გამოვისყიდე. ამას თასის რვა თამაშში გატანილი 8 გოლიც დავუმატე.

„ნანსი-ლოტარენგია“ ისევ ზემოთ მოექცა და განახლებული პლატინი - თამაშის ნახევრად ორგანიზატორი და ნახევრად გოლეადორი უკვე ამკვიდრებდა თავის პიროვნებას.

მაშინ, ჩვენი კოლექტიური აღორძინების დროს, სრულყოფილებამდე დავამუშავე ჯარიმების შესრულების ტექნიკა. ეს იყო იარაღი, რომელსაც ჯერ ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ. არადა, რამდენი საჯარიმო ინიშნება მატჩებში მოწინააღმდეგის ელემენტარული დარღვევების გამო! აღარაფერს ვამბობ იმ გაუბედავ მსაჯებზე, რომლებსაც ეშინიათ პენალტების დანიშვნა და მას ჩვეულებრივ საჯარიმო დარტყმად აქცევენ ხოლმე.

არც ერთი საჯარიმო დარტყმა, რა ბრწყინვალედაც უნდა შეასრულოთ ის, რა თქმა უნდა, ვერასდროს შეცვლის პენალტს, მაგრამ იმის გამო, რომ ბოლო დროს უამრავი ჯარიმა ინიშნება, გოლების გასატანად ამ იარაღით სარგებლობა საჭიროა.

ამ შემთხვევაშიც, მამაჩემმა **ალდომ** გამიწია დიდი დახმარება ამ ფაქიზი ხელოვნების ათვისებაში.

საჯარიმო დარტყმის შესრულების სირთულე, რა თქმა უნდა, მეტოქის დაცვაში მდგომარეობს, რომელიც „თეორიულად“ ცხრა მეტრით უნდა იყოს დაცილებული. ამას „ცოცხალი კედელი“ ჰქვია.

იმ საერთო პრინციპიდან გამომდინარე, როცა მცველის სტანდარტული სიმაღლე 180 სანტიმეტრია, ხოლო კარის ზედა ძელი 2 მეტრსა და 10 სანტიმეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, უნდა მოახერხო და მონახო წინაღობის დაძლევის ხერხი და ბურთი კარში გაუშვა, ამასთან კარის მცველის ყურადღებაც უნდა მოადუნო.

საჯარიმო დარტყმის ათვისება მხოლოდ ერთი ხერხით შეიძლება: დაუღალავად, ისევ და ისევ უნდა იმეორო სპეციალური ვარჯიშები. მაგალითად, ვარჯიშზე ცოცხალი სამიზნისთვის ხუთი-ექვსი მოთამაშე უნდა გამოყო, რაც, რა თქმა უნდა, ნაკლებად სასურველია, რადგან კარისკენ ძლიერი დარტყმით გაშვებულმა ბურთმა, შესაძლოა, მცველს დიდი უსიამოვნება მოუტანოს. ჩვენ ხშირად ვხედავთ, რომ ასეთი დარტყმის მიღების შემდეგ, მოთამაშე „ნოკაუტში“ ვარდება და მწვანე გაზონზე ეცემა.

ამიტომაც, **კიუნიმ** ერთი სიახლე შემოილო. მას საჯარიმოს დარტყმის წერტილიდან 9.15 მეტრ მანძილზე ექვსი მანეკენის დაყენების იდეა მოუვიდა თავში. ყოველი მათგანის სიმაღლე 182 სანტიმეტრი იყო. კარში ამ უმოძრაო „მცველების“ უკან ჩემი მუდმივი პარტნიორი და მეგობარი - **ჟან-მიშელ მუტიე** იდგა.

ორჯერ, ვარჯიშების დროს და ხანდახან მის შემდეგაც, მუტიეს დაახლოებით 50 საჯარიმოს ვურტყამდი. ვერ ვიტყვი, რომ ასეთი ვარჯიშები არ ღლიდა ჩვენს მეკარეს, მაგრამ საწვრთნელი პროცესის ეს ნაწილი ყველაზე მეტად მოგვწონდა, რადგან ერთმანეთს ბრძოლაში ვიწვევდით.

ზუსტად არ დამითვლია, მაგრამ „ნანსიმ“, „სენტ ეტიენმა“, „იუვენტუსმა“ და საფრანგეთის ნაკრებმა ბევრი სარგებელი ნახა ეს ჩემი დამატებითი ვარჯიშებისგან...

1976 წელი. „მწვანეების“ წელი გლაზგოში, ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში. ჩემი პირველი დიდი სეზონი, როცა საფრანგეთის ნაკრებში საბრძოლო ნათლობა მივიღე და „ნანსისთან“ ერთად ქვეყნის ჩემპიონატში მეოთხე ადგილი დავიკავე. იმავე წელს, **კრისტელი** გავიცანი.

ჩემთვის 1976 წელი არმიაში გაწვევის წელი იყო. სამხედრო სამსახურს ჟუენვილის ბატალიონში გავდივარ - ცნობილ ნაწილში, სადაც მთელი სპორტული ელიტაა შეკრებილი. აქაურობა ძალიან მომწონს. არაფერი აქვს საერთო აფრიკულ ბატალიონებთან ან „კომანდოსის“ ნაწილებთან. მთელი წლის განმავლობაში მხოლოდ ოთხჯერ გამგზავნეს ყარაულში, თანაც მსუბუქი ჩაფხუტით, მაღალი სამხედრო ჩექმებითა და შაშხანით, რომელიც ფუჭი ვაზნებით იყო დატენილი. ყველაზე ხანგრძლივი ყარაული 24 საათს გრძელდება. ლაპარაკია ანგარის დაცვაზე, რომელშიც ოლიმპიური ნაკრების კანოეები და ბაიდარები ინახებოდა. ერთხელ ალლუმშიც მივიღე მონაწილეობა, ოღონდ ყაზარმის ტერიტორიაზე.

სინამდვილეში, მე ვრჩები იმედისმომცემ ფეხბურთელად და არა ახალწვეულ ჯარისკაცად. ჩემი პოლიგონი - პირველ რიგში საწვრთნელი მინდორია, სადაც მაშინვე მიძახებდნენ, როგორც კი საერთაშორისო სამხედრო ტურნირების დრო დგებოდა. უფრო მეტიც, ჩემი კაპიტანი მუდმივად გათავისუფლების ბარათებს მიწერდა იმისთვის, რომ „ნანსი-ლოტარენგიას“ ყოველკვირეულ შეკრებებში მიმეღო მონაწილეობა. კვირის შვიდიდან სამ დღეს ყაზარმაში არ ვიყავი. ზუსტად ასეთ მდგომარეობაში იყვნენ ჩემი მეგობრები: **დომინიკ ვეზირი, ალენ ბერნარი** და **პერუკინი.**

ვეზირი, რომლის მშობლები კონდიტერები იყვნენ, ნამცხვრებით გვამარაგებდა, თუმცა ამ საჩუქრით ჩვენი „დაუნდობელი“ შეფის **გი ბრიეს** წინაშე ვერ გამოვჩნდებოდით. ეს იყო კვალიფიციური უმცროსი ოფიცერი, რომელიც პირადი შემადგენლობის ფიზიკურ მომზადებაზე აგებდა პასუხს. სამუშაოს შემდეგ ის ყოველთვის გასახდელში გამორბოდა ბუცების ჩასაცმელად. მოგვიანებით, მე მას „სენტ ეტიენის“ მწვრთნელებს შორის ვიხილავ.

ფეხბურთის დიდი გულშემატკივარი, ის სწრაფად დაუმეგობრდა ჯარისკაც ფეხბურთელებს. ვეზირი, რუიე და ჩემი სხვა მეგობრები მის ბინას ხშირად ვსტუმრობდით.

ჩემი სამხედრო სამსახური 1 ივნისს სრულდება. წინ საფეხბურთო ვალდებულებები გველოდება. ჩვენი წარმატების მწვერვალად იქცა 1976 წლის ოლიმპიადის წინ გამართული შესარჩევი თამაშები.

ოლიმპიადის საგზური რუმინეთის ნაკრებთან დაპირისპირების შემდეგ მოვიპოვეთ.

სამწუხაროდ, ჟან-მიშელ მუტიე ვერ მოხვდა ოლიმპიურ ნაკრებში. კარში **ლარიო** ჩადგა - „კანის“ გოლკიპერი. საერთო ჯამში, ელიტური კომპანია შეიკრიბა: **პეკუ, ამისი, ბორონჩელი** „ნანტიდან“, **ზემბელი** - „ნიცადან“, **შაერი** - „ოსერიდან“, მომავლის მცველი **ბატისტონი** „მეციდან“, მოყვარული ფეხბურთელები **პოტიე** და **შაზოტი** და „ნანსიდან რუიე, **რუბიო** და მე. ახალგაზრდა ფეხბურთელები. მეგობრები. შესანიშნავი განწყობა, სულის ამაღლებული მდგომარეობა...

მთელი ჩემი კარიერის განმავლობაში გავიხსენებ იმ საზეიმო ტურნირს. სწორედ იქ ღრმად შევიგრძენი საუკუნის ფორმულის არსი: ოლიმპიური სული. მეტოქეობისა და მძიმე გამოცდის მიუხედავად, მე მისი ჯერაც მჯერა. კვებეკში ჩვენ „მეფეები“ ვიყავით. საკმარისი იყო მამლისგამოსახულებიანი ლურჯი საფირმო ქურთუკი ჩაგეცვა, რომ გამვლელთა სახეებზე მაშინვე ღიმილი აღიბეჭდებოდა. სხვადასხვა ჯურის კომერსანტები ყველაფერს აკეთებდნენ იმისთვის, რომ ჩვენთვის სიამოვნება მოენიჭებინათ. რესტორნები ყოველდღე თავისთან გვეპატიჟებოდნენ. 14 ივნისს, ჩვენი ეროვნული დღესასწაულის დღეს, კვებეკელებმა საჩუქრებით აგვავსეს და წარმატება გვისურვეს.

საფრანგეთის ნაკრები პირველად მონაწილეობდა ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირში.

(გაგრძელება იქნება)

გია **თვალაბეიშვილი**






ჭიდაობა — საქართველოს ჩემპიონატი

# კვარცხლბეკზეა 17 წლის ფალავანი

## დღეს ხალიჩაზე კვლავ ვიხილავთ ლუკა კურტანიძეს

**გუშინ** შოთა ჩოჩიშვილის სახელობის ძიუდოს აკადემიის საშეჯიბრო დარბაზში დაიწყო თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ეროვნული ჩემპიონატი, რომელშიც სხვადასხვა რეგიონის 170-მდე წარმომადგენელი მონაწილეობს. ასპარეზობის პირველ დღეს მედლები ოთხ წონით კატეგორიაში გათამაშდა.


ვლადიმერ ხინჩეგაშვილი


მალხაზ ქურდიანი


მალხაზ მუზიაშვილი


გელა სალირაშვილი

55 კილოში არ მონაწილეობდა ამ წონის ფავორიტი, საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი, პეკინის ოლიმპიადის მონაწილე, გორელი **ბესიკ გოჩაშვილი**, რომელმაც ნაახალწლევს თანაქალაქელ **ოთარ თუშიშვილთან** ერთად თურქეთის საკლუბო ჩემპიონატში იასპარეზა. სამაგიეროდ, ქართლელთა ღირსებას იცავდა **ნუგზარ სხირელის** 17 წლის შეგირდი **ვლადიმერ ხინჩეგაშვილი**, რომელმაც შარშან კადეტებსა და ახალგაზრდებში ევროპის პირველობაზე ოქროს მედლები მოიპოვა, ხოლო მსოფლიოზე მეორე იყო. გუშინ იგი ფინალში გავიდა, სადაც თბილისელი **გიორგი ედიშერაშვილი** უწევდა მეტოქეობას. პირველი პერიოდი გიორგიმ 2:1 მოიგო, ლადომ მეორე რაუნდში რევანში აიღო - 3:2, აი, დამატებით დროში კი 17 წლის ფალავანმა მეტოქეს წარმატების ყოველგვარი შანსი გადაუწურა. გაიმარჯვა 5:3 და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზეც ავიდა.

შარშან ბოლნისელ **მალხაზ ქურდიანს** (60 კგ) მცირედი დააკლდა პეკინის ოლიმპიადის საგზურის მოპოვებამდე - ბოლო სალიცენზიო ტურნირზე სწორედ გადამწყვეტი ორთაბრძოლა დათმო. ახლა იგი მონდომებით ემზადება, რომ წინა წლების დანაკლისი აინაზღაუროს. ეს ეროვნულ ჩემპიონატზეც გამოჩნდა - ზედიზედ სძლია მეტოქეებს. ფინალური პაექრობა აჭარის წარმომადგენელ **მალხაზ ზარქუასთან** გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. ორივე ორწუთიანი მონაკვეთი უშედეგოდ დამთავრდა. კენჭისყრამ პირველ პერიოდში ზარქუას გაუმართლა, მეორეში - ქურდიანს. თითქოს დამატებითი დროც უქულოდ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ ბოლო წამებზე ბოლნისელი გააქტიურდა, ჩოქბჯენში გადაიყვანა ზარქუა და „ოქროსაც" გამოჰკრა ხელი.

ზემოთ უკვე გაუწყეთ, რომ პეკინის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ოთარ თუშიშვილი (66 კგ) თურქეთში იმყოფებოდა, ამიტომ ეროვნულ ჩემპიონატში გამოსვლა ვერ შეძლო. გუშინ იგი თანაგუნდელ **მალხაზ მუზიაშვილს** ქომაგობდა. მანაც იმედები გაუმართლა - ნახევარფინალში წონის უმთავრეს ფავორიტს **კობა კაკალაძეს** აჯობა, გადამწყვეტ ორთაბრძოლაში კი სუფთად მოუგო თბილისელ **ზურაბ კოტორაშვილს**.

74 კილოგრამ წონით კატეგორიაში ჩემპიონობას წინასწარვე უწინასწარმეტყველებდნენ ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორს, ორი ოლიმპიადის მონაწილე **გელა სალირაშვილს**, რომელმაც ქომაგები არ დაალალატა, თუმცა ფინალში ზომაზე მეტად ანერვიულა ისინი - თბილისელი **გოჩა ლომთათიძე** მისთვის კერკეტი კაკალი გამოდგა - მხოლოდ დამატებითი დროის ბოლო წამებზე შეძლო გამოცდილმა ფალავანმა გოჩას დამარცხება.

დღეს ჩემპიონატზე 84, 96 და 120 კგ წონითი კატეგორიის მოჭიდავეები მოსინჯავენ ძალებს. მათ შორის იქნება, როგორც თავად მითხრა, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი **ლუკა კურტანიძე**, რომელიც კარგა ხანია, მონდომებით ემზადება ამ შეჯიბრებისთვის. სამწუხაროდ, 96 კილოში არ იასპარეზებს ლუკას მეტოქე, შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებული და პეკინის ოლიმპიადის მესამე პრიზიორი გორელი **გიორგი გოგშელიძე**. ასევე ვერ ვიხილავთ ხალიჩაზე ოლიმპიურ ჩემპიონ **რევაზ მინდორაშვილს** (84), რომელიც დაძაბული სეზონის შემდეგ წლის მიწურულს წვრთნას კი შეუდგა, თუმცა ჩვეულ სპორტულ ფორმაში შესვლა ჯერ ვერ მოასწრო.

**კვარცხლბეკი**

55 კგ. 1. ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (გორი), 2. გიორგი ედიშერაშვილი (თბილისი), 3. კოკა კოტორაშვილი(თბილისი) და გივი დავიდოვი (საჩხერე).

60 კგ. 1. მალხაზ ქურდიანი (ბოლნისი), 2. მალხაზ ზარქუა (აჭარა), 3. მურთაზ კვესაძე (ქუთაისი) და გიორგი მაყიშვილი (გორი).

66 კგ. 1. მალხაზ მუზიაშვილი (გორი), 2. ზურაბ კოტორაშვილი (თბილისი), 3. კობა კაკალაძე (აჭარა) და გიგა ცერცვაძე (ქუთაისი).

74 კგ. 1. გელა სალირაშვილი (თბილისი), 2. გოჩა ლომთათიძე (თბილისი), 3. ბექა ბუქური (ბაღდადი) და მარადი ზოიძე (აჭარა).

ვაჟა **დანელია**

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ჭადრაკი — საქართველოს ჩემპიონატი

# ვაჟები გამოცოცხლდნენ, გოგონებმა ყაიმებს უმატეს

**მეოთხე ტური**

ქალები: სალომე მელია - მაია ლომინეიშვილი -0,5:0,5; მერი არაბიძე -ნაზი პაიკიძე- 0,5:0,5; მირანდა მიქაძე -ნონა გაფრინდაშვილი - 0,5:0,5; მარიამ დანელია - სოფიკო გურამიშვილი - 0:1; სოფიკო გურამიშვილი - სოფიო გვეტაძე - 0,5:0,5; ქეთი ნანალაშვილი - ნინო ხურციძე - 1:0.

ვაჟები: ლევან ფანცულაია - დავით მალალაშვილი - 1:0; მიხეილ მჭედლიშვილი - კონსტანტინე შანავა - 1:0; დავით არუთინიანი - ინგა ჭარხალაშვილი -1:0; გიორგი მარგველაშვილი - ლევან ბრეგაძე - 0,5:0,5; მერაბ გაგუნაშვილი - დავით ბენიძე - 0,5:0,5; გიორგი ბალათუროვი - შოთა აზალაძე - 0,5:0,5; გაიოზ ნიგალიძე - თორნიკე სანიკიძე - 1:0.


ვაჟა დანელიას ფოტო

მეოთხე ტურმა ბევრად კმაყოფილი დატოვა ჭადრაკის გულშემატკივარი, რომელიც, სხვათა შორის, იწყებს მოსვლას დარბაზში და ტურნირისთვის თვალის დევნებას, - რამდენიმე უცხო პიროვნებაც შევნიშნე და ეს, ცხადია, გასახარია, თუმცა საიმისოდ, რომ ბევრად მეტმა ადამიანმა მოისურვოს მობრძანება, მეტი მუშაობაა საჭირო... გაზეთიდან ჩვენმა შეძახილმა - „დიდოსტატური" ყაიმების და ჩემპიონატის უპატივცემულობის თაობაზე, შედეგი გამოიღო, - ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელობა საკითხით დაინტერესდა და პრობლემის გადასაჭრელად უმსჯელიათ კიდეც, თუმცა რა დაადგინეს, ჯერ უცნობია. ერთი კი არის: პრეზიდენტ **გიორგი გიორგაძეს** მკაცრი საუბარი ჰქონია რამდენიმე მოჭადრაკესთან და დასჯითაც დამუქრებია. ფედერაციის ხელმძღვანელობის რეაქცია კარგია, მაგრამ გაურკვეველია, როგორ უნდა დასაჯო მოჭადრაკე, როცა დებულებით არ არის ამგვარი რამ გათვალისწინებული. იმედია, ამ პრობლემას მოევლება და მნიშვნელოვნად შემცირდება გარიგებული თამაშების რაოდენობა. ჩვენ იმის ილუზია ნამდვილად არ გვაქვს, რომ სრულად აღმოიფხვრება მანკიერება, მაგრამ წინსვლა თუ გვსურს, სამართლიანი ბრძოლის გზით უნდა ვიაროთ.

ახლა იმაზე, თუ რატომ დავრჩით მეოთხე ტურით კმაყოფილები. იოლ ყაიმებს, ცხადია, ვერ ავცდით - **გიორგი მარგველაშვილმა** და **ლევან ბრეგაძემ**, როგორც „სიყრმის" მეგობრებმა, ზავი იოლად გააფორმეს. მეორე ყაიმი კი **გაგუნაშვილი - ბენიძის შეხვედრაში** დაფიქსირდა, თუმცა ამ შემთხვევაში გარიგება არ მომხდარა - იბრძოლეს და მოგება ვერცრთმა შეძლო. **გიორგი ბალათუროვმა** და **შოთა აზალაძემაც** არ შეაკლეს ერთმანეთს თავი, მაგრამ აქ გასათვალისწინებელია ბალათუროვის ავადმყოფობა - გრიპი შეჰყრია. იმედია, გიორგი გამოჯანმრთელდება და ტურნირს გააგრძელებს. **ლევან ფანცულაიამ დავით მალალაშვილი** თეთრებით დაამარცხა. ლევანმა ისე ითამაშა, როგორც მისგან ელიან და გამარჯვებაც დაიმსახურა. უშეცდომო იყო **მიხეილ მჭედლიშვილიც**, რომელმაც თეთრებით დაამარცხა **კონსტანტინე შანავა**. ძალიან საინტერესო გამოდგა **გაიოზ ნიგალიძისა** და **თორნიკე სანიკიძის** ორთაბრძოლა, რომელშიც გამარჯვებული ნიგალიძე გამოვიდა. თეთრებით გაიოზი კი იყო, მაგრამ დებიუტი უკეთ სანიკიძემ გაითამაშა და ინიციატივასაც დაეუფლა. შუა თამაშში თორნიკემ ფიგურა შეწირა და კარგი შეტევაც მიიღო. ობიექტურად სანიკიძეს უნდა მოეგო, მაგრამ, როგორც ჩანს, შეტევას განვითარებაში სიმწვავე დააკლდა, მეტოქემაც ზუსტად დაიცვა თავი და აღმოჩნდა, რომ შავები სასურველ ეფექტს ვერ მიიღებდნენ - მოსაგებად რესურსი აღარ ეყო თორნიკეს. ნიგალიძე ზედმეტი ეტლით რომ სათავისოდ დაასრულებდა შეხვედრას, სანიკიძესაც გადასარევად მოეხსენებოდა, ამიტომ ბევრიც არ უბრძოლია და საათი გააჩერა. თორნიკემ პირველი მარცხი იგემა, ნიგალიძემ კი პირველად გაიმარჯვა და ოდნავ გამოიკეთა სტარტზე ნახდენილი ხასიათი.

ერთადერთი ქალბატონი, ვინც ძლიერ სქესს ერკინება, **ინგა ჭარხალაშვილია** და ყველა ვაჟი თავს ვალდებულად თვლის, მთელი ძალით ითამაშოს. მასთან ქულის დაკარგვა ტრაგედიად თუ არა, დიდ სირცხვილადაც კი მიიჩნევა. მართალია, ჭარხალაშვილი მაინც რეიტინგით აუტსაიდერია, მაგრამ რიგიანი მოჭადრაკეა და არა მარტო ქართველი, სხვა ქვეყნის საკმაოდ ძლიერი ვაჟები ჰყავს დამარცხებული კარიერაში. ისე გამოდის, რომ ინგასთან ბრძოლაში ეჯიბრებიან ჩვენი ვაჟები ერთმანეთს. აქამდე სუსტი სქესის დაჩაგვრა მხოლოდ ორმა შეძლო - პირველ ტურში გიორგი ბალათუროვმა მოახერხა ეს და გუშინ - **დავით არუთინიანმა**; ორჯერ კი ნახევარი ქულის მოპოვება მოახერხა ინგამ - გაგუნაშვილსა და მარგველაშვილს არ დაეჩაგვრინა. ოთხივე ბრძოლა ლამის 5-6 საათს გაგრძელდა, ვფიქრობ, ჭარხალაშვილს დარჩენილ ტურებშიც ასეთივე დატვირთვით მოუწევს ასპარეზობა. ინგას დღეს ურთულესი გამოცდა ექნება ჩასაბარებელი - თეთრებით ლევან ფანცულაიას დაუპირისპირდება.

როგორც ნახეთ, ვაჟთა შორის შედეგიანი პარტიების რაოდენობამ პირველად გადააჭარბა ყაიმით დასრულებულებს. ვერ მოგახსენებთ, ეს ტენდენცია შენარჩუნდება თუ არა, მაგრამ რახან პრეცედენტი მოხდა, იმედი დავიტოვოთ, რომ ასევე გაგრძელდება. ამ ფონზე ქალბატონებში დაფიქსირებული ოთხი ყაიმი საეჭვოდ უნდა გამოჩენილიყო, მაგრამ გულშემატკივარს დავამშვიდებ და ვეტყვი, რომ აბსოლუტურად ყველა შემთხვევაში ბრძოლა ვიხილეთ. თვალსაჩინოებისთვის შეგვეძლო ოთხივე პარტიის პერიპეტიები მომეთხრო, მითუმეტეს, როცა საკმაოდ საინტერესოდაც წარიმართა ყველა მათგანი, მაგრამ მაინც შედეგიანი პარტიების გამორჩევა ვამჯობინე. საბაბიც შესაბამისია: **ქეთი ნანალაშვილმა** ფავორიტ და სამი ტურის შემდეგ ლიდერ **ნინო ხურციძეს** აჯობა. ქეთი თეთრებით იყო და შესანიშნავად წარმართა მთელი პარტია. აღსანიშნავია, რომ ნანალაშვილმა გასულ წელსაც მოუგო ხურციძეს, რაც იმის ნიშანია, რომ ერთგვარ უხერხულ მეტოქედ ყალიბდება ნინოსათვის. ქეთიმ სტარტზე ორჯერ წააგო, შემდეგი ორი კი მოიგო და ლიდერებს ნამოეწია. მოიგო **სოფიკო გურამიშვილმაც**, რომელმაც შავებით დაამარცხა **მარიამ დანელია**. სოფოს აქამდე მხოლოდ ნახევარი ქულა ჰქონდა და ამ გამარჯვებამ, როგორც იტყვიან, სულზე მოუსწრო - თვითრწმენას დაიბრუნებს უთუოდ.

აუცილებელია ვთქვათ **ნაზი პაიკიძეზე**, რომელიც 14 წლისაა და სპეციალურად ჩამოვიდა მოსკოვიდან, რათა ჩემპიონატში ესპარეზა. ნაზის ჩამოსვლაში უდიდესი როლი საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ითამაშა, რომელმაც ნაზის და მის მშობელს მგზავრობის ფული გადაუხადა. პაიკიძე რომ ჩვენი იმედია, კიდევ ერთხელ გამოჩნდა - ოთხი ტურის შემდეგ სამი ქულით ერთპიროვნული ლიდერია! მიუხედავად მისი ნიჭიერებისა, ასეთი სტარტი მაინც მოულოდნელობაა. ნაზის ლიდერობა კიდევ მეტად გამოკვეთილი შეიძლებოდა ყოფილიყო, გუშინ **მერი არაბიძესთან** დებიუტში მოპოვებული უპირატესობა და ზედმეტი პაიკი რომ შეენარჩუნებინა, - ენდშპილში შეცდომა დაუშვა და მერიმ პარტიის გადარჩენა შეძლო. არაბიძის კარგი თამაშიც გამოსაყოფია და მასაც გვარიანი შანსები აქვს, მაღალ ადგილს შესწვდეს.

სატურნირო მდგომარეობა ოთხი ტურის შემდეგ: ქალები: 1. **ნაზი პაიკიძე - 3; 2-5. ნინო ხურციძე, მაია ლომინეიშვილი, სოფიკო ხუხაშვილი, სოფიო გვეტაძე - 2,5-2,5; 6-8. ქეთი ნანალაშვილი, მერი არაბიძე, სალომე მელია - 2-2; მირანდა მიქაძე, სოფიკო გურამიშვილი - 1,5-1,5; 11-12. ნონა გაფრინდაშვილი - მარიამ დანელია - 1-1.**

ვაჟები: **1. ლევან ფანცულაია - 3; 2-5. მიხეილ მჭედლიშვილი, დავით არუთინიანი, გიორგი ბალათუროვი, შოთა აზალაძე - 2,5-2,5; 6-9. გიორგი მარგველაშვილი, მერაბ გაგუნაშვილი, ლევან ბრეგაძე, თორნიკე სანიკიძე - 2-2; 10 - 13. დავით მალალაშვილი, დავით ბენიძე, კონსტანტინე შანავა, გაიოზ ნიგალიძე - 1,5-1,5; 14. ინგა ჭარხალაშვილი - 1.**

დღეს მეხუთე ტურში ხვდებიან: ქალები: **გაფრინდაშვილი - მელია; ლომინეიშვილი - არაბიძე; გურამიშვილი - მიქაძე; გვეტაძე - დანელია; ხურციძე - ხუხაშვილი; პაიკიძე - ნანალაშვილი.**

ვაჟები: **ჭარხალაშვილი - ფანცულაია; მალალაშვილი - მჭედლიშვილი; ბრეგაძე - არუთუნიანი; ბენიძე - მარგველაშვილი; აზალაძე - გაგუნაშვილი; სანიკიძე - ბალათუროვი; შანავა - ნიგალიძე.**

ზვიად **შათირიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი



გაფრინდაშვილმა (ბურთით) ნტდ-თბილისთან მატჩში 8 ჩაჭრა მიითვალა

თსუ პირველ წრეში და ახლა

# პირველ წრეში ვნახე, იცინოდა...

| შედეგები | |
|---|---|
| თსუ-დინამო | 113:72 |
| თსუ-სასოფლო | 88:103 |
| ავიამშენი-თსუ | 91:85 |
| თსუ-ენერჯი | 69:81 |
| თსუ-შსს | 107:48 |
| თსუ-მაკაბი | 137:68 |
| ბათუმი-თსუ | 66:78 |
| ნტდ\თბილისი-თსუ | 81:88 |

**საქართველოს მე-18 ჩემპიონატი 1-ელ თებერვალს განახლდება. მანამდე, შეგახვედრებთ ეროვნული პირველობის ყველა კლუბს, ვისაუბრებთ მათ მწვრთნელებთან და შემოგთავაზებთ სტატისტიკას. ვფიქრობთ, ამა თუ იმ კალათბურთელის საშუალო მონაგარის გაცნობა მკითხველსაც დააინტერესებს და თავად მოთამაშეებსაც.**

დღეს თსუ-ზე ვილაპარაკებთ. შეიძლება ვინმემ გვირჩიოს – ჩემპიონატის ლიდერით, "ენერჯით" დაგეწყოთო, მაგრამ, ვფიქრობთ, ოპერატიულობის მხრივ თსუ-ს ამბების გაგება გაცილებით საინტერესოა. ეს სტუდენტური კლუბი ხომ დაშლის პირასაა. თსუ უკვე დატოვა ოთხმა კალათბურთელმა – **დავით ბარბაქაძემ** ("ნტდ\თბილისში" გადავიდა), **გიგი ბარბაქაძემ, გიორგი ყველაშვილმა** (ორივე - "სასოფლოში") და **დავით ბერიშვილმა** ("ავიამშენში").

გუშინ თსუ-ს თავკაცმა **ნუგზარ ჭეიშვილმა** გვითხრა, კალათბურთელები უკმაყოფილონი არიან და გუნდის დატოვებაზე ფიქრობენო.

სადღეისოდ გადაწყვეტილია, რომ თსუ-ს საკალათბურთო გუნდი არ დაფინანსდება, შესაბამისად, შემადგენლობის დატოვებაზე ბევრი ფიქრობს, თუმცა ნუგზარ ჭეიშვილმა არ დაგვიკონკრეტა, ვინ სად მიდის. ეს არცაა გასაკვირი, რადგან ზოგიერთი კალათბურთელი სხვა კლუბებთან ახლა აწარმოებს მოლაპარაკებას და რა შედეგით დასრულდება, ჯერ უცნობია.

*"ცუდ მდგომარეობაში ვართ, არ ვიცით, ვინ დაგვრჩება და ვინ – არა. შემადგენლობის საკითხი საბოლოოდ 25 იანვრისთვის უნდა გაირკვეს"*, - გვითხრა მწვრთნელმა.

24 იანვარს საქართველოს თასის გათამაშება უნდა დაიწყოს, რომლის ნახევარფინალში თსუ "სასოფლოს" უნდა დაპირისპირებოდა... დიახ, ბოლო ზმნა წარსულში იმიტომ ვიხმარეთ, რომ თსუ-"სასოფლოს" მატჩი აღარ შედგება. ამის მიზეზი თასის გათამაშებაზე თსუ-ს უარია. ეს ტურნირი კალათბურთის ფედერაციის მიერ ორგანიზებულ ოფიციალურ შეჯიბრებათა ნუსხაში შედის და გამოუცხადებლობის გამო სტუდენტური გუნდი შეიძლება დაჯარიმდეს.

ზემოთ თსუ-ს აწმყოზე მოგახსენეთ. მომავალზე 25 იანვრამდე ვერაფერს ვიტყვით – ჯერ არც ისაა გარკვეული, საერთოდ, ითამაშებს თუ არა ეს გუნდი საქართველოს ჩემპიონატში...

უახლოეს წარსულზე კი გაზეთის ამავე გვერდში დაბეჭდილი სტატისტიკა მოგითხრობთ. ერთი-ორი სიტყვა ჩვენც მივაშველოთ.

თსუ მიმდინარე სეზონში რეკორდსმენია – 8 მატჩში ყველაზე მეტი, 765 ქულა აქვს ჩაგდებული (საშუალოდ 95.6). მეორე ადგილზეა "ენერჯი" – 756 ქულა (94.5)...

თსუ ჩაჭრებშიც ლიდერობს – 94, რაც საშუალოდ მატჩში 11.8-ს უტოლდება. ბოლო წლების ინდივიდუალური რეკორდიც სტუდენტ **გიორგი გაფრინდაშვილს** ეკუთვნის, რომელმაც "ნტდ\თბილისთან" დაპირისპირებისას ბურთი 8-ჯერ ჩაჭრა.

თუკი თსუ-ს სტატისტიკას დააკვირდებით შენიშნავთ, რომ საშუალოდ 10-ზე მეტი ქულა 5 კალათბურთელს აქვს, რომელთაგან სამმა გუნდი უკვე დატოვა – ბერიშვილმა და ბარბაქაძეებმა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

| | თ | წ | 2ქ (%) | 3ქ (%) | 1ქ (%) | მოხ.მ | მოხ.ს | მოხ | პას | ჯარ | შეც | ჩაჭ | დაფ | ქულ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| გიგი ბარბაქაძე | 7 | 113 | 65.9 | 34 | 36.7 | 1.9 | 2.3 | 4.1 | 0.7 | 1.3 | 1.3 | 0.6 | 0.1 | 11.4 |
| დავით ბარბაქაძე | 8 | 221 | 52.3 | 29.9 | 47.9 | 2.5 | 5.6 | 8.1 | 1.9 | 1.6 | 3.3 | 1.9 | 0.9 | 14.8 |
| დავით ბერიშვილი | 7 | 203 | 47.1 | 35 | 83.3 | 0.6 | 3 | 3.6 | 4.4 | 2.7 | 3 | 1.7 | 0 | 13.7 |
| გიორგი გაფრინდაშვილი | 8 | 212 | 43 | 4.1 | 44 | 0.6 | 2.8 | 3.4 | 5.4 | 2 | 2.9 | 2 | 0 | 7.8 |
| შალვა კოხრეიძე | 7 | 92 | 40 | 10.7 | 18.6 | 1.9 | 1.3 | 3.1 | 1.9 | 2.4 | 0.9 | 1.1 | 0 | 4.3 |
| ლუკა შანიძე | 8 | 177 | 63.9 | 24 | 67.8 | 1.4 | 1.5 | 2.9 | 1.4 | 1.9 | 1.3 | 1.5 | 0.1 | 15 |
| გიორგი მარკოიშვილი | 8 | 195 | 57.9 | 43.8 | 33.4 | 0.9 | 3.8 | 4.6 | 2.5 | 2.4 | 1.1 | 0.8 | 0.4 | 12.8 |
| გიორგი ყველაშვილი | 8 | 97 | 48.4 | 0 | 8.4 | 1.1 | 2.3 | 3.4 | 0.1 | 1.4 | 1 | 0.4 | 0.5 | 5 |
| შიო ხეცურიანი | 6 | 122 | 54.3 | 9.7 | 47.2 | 2 | 2 | 4 | 2.8 | 3.3 | 1.3 | 1.7 | 1.2 | 8.8 |
| გულივერ ახალკაცი | 8 | 93 | 53.6 | 0 | 37.5 | 1.1 | 2 | 3.1 | 0.5 | 2.4 | 1.3 | 0.5 | 0.3 | 6.5 |
| ზვიად დეკანოიძე | 3 | 34 | 0 | 33.3 | 60 | 1.3 | 1.7 | 3 | 1.3 | 1.3 | 0.7 | 1.3 | 0 | 4 |

*შენიშვნა: თ – თამაში, წ – წუთი, 2ქ(%) – ორქულიანების რეალიზების პროცენტული მაჩვენებელი, 3ქ(%) – სამქულიანების რეალ. პროც, 1ქ(%) – საჯარიმოების რეალ. პროც, მოხ.მ – მოხსნა მეტოქის ფარზე, მოხ.ს – მოხსნა საკუთარ ფარზე, მოხ – მოხსნების ჯამი, პას – პასი, ჯარ – ჯარიმა, შეც – შეცდომა, ჩაჭ – ჩაჭრა, დაფ – დაფარება, ქულ – ქულა.*

ქართველი NBA-ში

# ფოლი, ფოლი, ფოლი...

აქამდე ხშირად დაგვიწერია – **ზაზა ფაჩულიამ** მატჩი კარგად დაიწყო, მაგრამ მწვრთნელმა მას მაინც ცოტა სათამაშო დრო მისცაო. "ტორონტო რეპტორსთან" საშინაო მატჩში ზაზასთვის დროის შეზღუდვას მწვრთნელ **მაიკ ვუდსონს** ნამდვილად ვერ დავაბრალებთ. ფაჩულიამ ტორონტოელ მეფარეებთან, **კრის ბოშთან** და **ანდრეა ბარნიანისთან** ჭიდილში 4 პერსონალური შენიშვნა მიიღო. ევროპისგან განსხვავებით (სადაც 5 ფოლის შემდეგ კალათბურთელი მოედანს ტოვებს), NBA-ში ფოლების მაქსიმალური რაოდენობა ექვსია. ჰოდა, ოთხი ფოლის შემდეგ მწვრთნელმა ზაზა სათადარიგოთა სკამზე დასვა და კრიტიკული მომენტისთვის ინახავდა. "ატლანტას" ხომ სასტარტო მეფარე **ელ ჰორფორდი** დამტვრეული (მუხლი სტკივა) ჰყავს და წინა ხაზში პრობლემები აქვს. ზაზას ნაცვლად გამოსულმა მესამე სათადარიგო ცენტრმა **სოლომონ ჯონსმა** 18 წუთს კი ითამაშა, მაგრამ მეტოქის კალათისკენ ერთხელაც არ უსვრია, მხოლოდ 4 მოხსნას დასჯერდა. ზაზა ფაჩულიამ მოედანზე 10:30 წუთი გაატარა, 2 ორქულიანი ააცილა და აქტივში თითო მოხსნა-ჩაჭრა ჩაიწერა.

ზემოთ ვთქვით, მწვრთნელმა მაიკ ვუდსონმა ზაზა ფაჩულია კრიტიკული მომენტისთვის შემოინახაო – ასეთი მომენტი მართლაც დადგა, ბოლო წუთებზე თამაში ქულა-ქულაში მიმდინარეობდა, მაგრამ მწვრთნელს ზაზა აღარ დასჭირდა. "ატლანტას" მხრიდან ტანდაბალი **მაიკ ბიბი** და **ჯო ჯონსონი** ტორონტოელ მეფარეებს **ბარნიანისა** და **ბოშს** სროლაში გაეჯიბრნენ და აჯობეს კიდეც – 87:84. საფინალო "ზარამდე" წუთით ადრე კანადელები 84:83-ს იგებდნენ. 54 წამით ადრე მაიკ ბიბიმ ორი საჯარიმო ზუსტად შეასრულა, ამას მოჰყვა ჯო ჯონსონის (12 წამით ადრე) ორქულიანი და "ატლანტამ" 24-ე გამარჯვება გაიფორმა.

ზემოჩამოთვლილმა ხუთმა კალათბურთელმა 20-ქულიანი ბარიერი უპრობლემოდ დაძლია: ჯონსონმა 28 ქულა ჩააგდო, ბიბიმ – 23, ცენტრადქცეულმა **სმიტმა** – 22 (და მისთვის სარეკორდო 14 მოხსნა). ტორონტოელმა ბოშმაც 22 ქულა მიითვალა, ხოლო ბარნიანიმ – 20.

როგორც უკვე მოგახსენეთ, "ატლანტა ჰოქსს" 24 გამარჯვება და 16 მარცხი აქვს. ჯორჯიელები აღმოსავლეთის კონფერენციაში მე-4 ადგილზე მოკალათდნენ.

მორიგი მატჩის გასამართად ზაზა ფაჩულიას თანაგუნდელები ჩრდილოეთში უნდა გადაფრენილიყვნენ და დღეს გამთენიისას "ჩიკაგოსთან" ეთამაშათ.

**ფაჩულიას მონაგარი**

10:30 წუთი: 1 მოხსნა, 1 ჩაჭრა, 2 შეცდომა, 4 ფოლი

| I პერიოდი | |
|---|---|
| 08:50 | შეცდომა: 1 |
| 08:44 | ჩაჭრა: 1 (მუნს ჩაუჭრა) |
| 07:06 | ფოლი: 1 |
| 06:11 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 05:00 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 04:36 | ფოლი: 2 |
| 04:36 | ზაზა ჯონსმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 11:38 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 11:06 | ფოლი: 3 |
| 11:06 | შეცდომა: 2 |
| 08:54 | ფოლი: 4 |
| 08:54 | ზაზა ჯონსმა შეცვალა |

**ვაჟა სიმონიშვილი**




გამოიწერეთ
და მიიღეთ თქვენთვის სასურველ მისამართზე ფასნამატის გარეშე!
3 თვით - 39 ლარი
6 თვით - 78 ლარი
1 წლით - 156 ლარი
„ელვა ჯი"
www.elva.ge
tel: 38 26 73, 38 26 74
fax: 38 08 63

ჩოგბურთი

# ოქსანა დარჩა, ნიკა გავარდა

16 წლის ჩოგბურთელმა **ნიკოლოზ ბასილაშვილმა** (1220) ამერიკის ქალაქ ჰოლივუდში ზედიზედ სამი მატჩი მოიგო, მაგრამ საერთაშორისო ტურნირის (10 ათასი $) ძირითად ბადეში მაინც ვერ გაალწია. ასეთი სახის შეჯიბრებებში სამი საკვალიფიკაციო წრეა, ჰოლივუდში კი, რატომღაც, ოთხი იყო – ქართველი ფინალურ წრეში ორ სეტში დამარცხდა 20 წლის შვეიცარიელ **იანიკ ტომესთან** – 6:7 (6), 1:6. სამწუხაროდ, მას არც „იღბლიანი დამარცხებულისთვის" განკუთვნილი ერთი ადგილი შეხვდა, რომელიც უკეთესი რეიტინგის გამო ხორვატმა **მისლავ ჰიჟაკმა** მიიღო.

ამერიკის ქალაქ ლუცში გრძელდება ქალთა საერთაშორისო ტურნირი (25 ათასი $), 18 წლის **ოქსანა კალაშნიკოვა** (394) ახლოსაა ძირითად ბადეში გაღწევასთან. მეორე საკვალიფიკაციო წრეში მან ირლანდიის პირველი ჩოგანი **კელი ლიგანი** (492) დაამარცხა – 6:0, 7:6 (3). ახლა ოქსანამ ფინალურ წრეში მე-2 ნომრად განთესილი რუს **ნატალია ორლოვას** (318) უნდა სძლიოს. ოქსანა ტურნირის წყვილთა თანრიგშიც ცდის ბედს, სადაც ამერიკელ **ლენა ლიტვაკს** შეუწყვილდა. ქართულ-ამერიკულმა დუეტმა ძირითად ბადეში გააღწია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაგბი

ლეგიონერები

# ზიბზიბაძისა და ნინიძის წყვილი ლელო



საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ფედერალ დივიზიონში უამინდობის გამო რამდენიმე მატჩი კვლავ გადაიდო. თუმცა შეხვედრათა უმრავლესობა მაინც ჩატარდა და ქართველ მორაგბეთა კლუბებმა ლიდერის პოზიციები განიმტკიცეს.

A ჯგუფში მხოლოდ ორი შეხვედრა გაიმართა. **დავით ბოლლაშვილისა** და **სოსო ნიკოლაენკოს** „ლილმა" შინ მიიღო **ალექსანდრე მარგველაშვილის, ზურაბ მჭედლიშვილისა** და **გიორგი ნემსაძის** „დომონი" და მხოლოდ ფრეს დასჯერდა - 11:11. ნიკოლაენკო მე-40 წუთზე შეცვალეს, ბოლლაშვილი კი 62-ზე. მარგველაშვილი, მჭედლიშვილი და ნემსაძე პარიზელთა რიგებში თავიდან ბოლომდე ირჯებოდნენ. ამასთან ეს უკანასკნელი მე-20 წუთზე მატჩის არბიტრმა ათი წუთით გააძევა.

შინ ვერაფერს გახდა გათამაშების ლიდერ „შალონთან" **მერაბ კვირიკაშვილის, დავით დადუნაშვილის, შალვა სუთიაშვილისა** და **რეზო გიგაურის** „მასი" - 9:12. პარიზელები 68-ე წუთისთვის ანგარიშში წინ იყვნენ - 9:0. თუმცა მატჩის დამთავრებამდე დარჩენილ დროში ორი ლელო მიიღეს და მიმდინარე გათამაშებაში მეოთხე მარცხი იწვნიეს. კვირიკაშვილმა, რომელმაც შეხვედრაში თავიდან ბოლომდე ითამაშა, ორი საჯარიმო გაიტანა და 53-ე წუთზე მოედნიდან ათი წუთით გააძევეს. სუთიაშვილი 77-ე წუთზე შეცვალეს. დადუნაშვილი თავიდან ბოლომდე გაისარჯა. გიგაური განაცხადში არ იყო.

საფრანგეთი. ფედერალ I. XII ტური. A ჯგუფი. ლილი-დომონი 11:11, მასი-შალონი 9:12, რუენი-არასი (გადაიდო), დიჟონი-ლონსი (გადაიდო).

სატურნირო მდგომარეობა: 1. შალონი - 47 ქულა, 2. მასი - 32, 3. დიჟონი - 26, 4. ლილი - 24, 5. რუენი - 22, 6. ლონსი - 16, 7. დომონი - 11, 8. არასი - 10.

B ჯგუფში ასევე ორი შეხვედრა გაიმართა. არ უთამაშიათ **ირაკლი აბუსერიძის** „ორლეანს" და **ოთარ ელოშვილისა** და **სანდრო ესაკიას** „სენ ნაზერს". **ელიზბარ ყუფარაძის** „მონლუსონმა" კი, გასვლითი შეხვედრა წააგო „ვანთან" - 22:29. ყუფარაძე თამაშში 65-ე წუთიდან ჩაერთო. „მონლუსონი" სატურნირო ცხრილში 27 ქულით მე-6 ადგილზეა.

D ჯგუფში კვლავ ერთპიროვნულად ლიდერობს **ილია ზედგინიძის** „ექსი". ექსელებმა მე-12 ტურში სტუმრად დაამარცხეს „მარსელი" - 16:11. ზედგინიძემ რვა ნომრის პოზიციაზე თავიდან ბოლომდე ი ყო მოედანზე.

D ჯგუფი. მარსელი-ექსი 11:16, გროლე-არჟელე 15:6, ნიცა-კარკასონი 18:12, კარკუირანი-ლავორი 16:19.

სატურნირო მდგომარეობა: 1. ექსი - 34 ქულა, 2. ლავორი - 31, 3. კარკასონი - 31, 4. გროლე - 30, 5. ნიცა - 28, 6. მარსელი - 21, 7. არჟელე - 14, 8. კარკუირანი - 13.

E ჯგუფის სათავეში დამაჯერებლად დგას **თედო ზიბზიბაძის, ირაკლი ნინიძის, იგორ ბარბაქაძისა** და **ირაკლი გუნდიშვილის** „პერიგო". პერიგოელებმა საკუთარ მოედანზე მე-12 ტურში აუტსაიდერი „აგეტმო" გაანადგურეს 41:3. ნინიძემ და ზიბზიბაძემ შესაბამისად 23-ე და 33-ე წუთებზე თითო ლელო მიითვალეს. 43-ე წუთზე კი, ნინიძე მატჩის არბიტრმა თამაშის ბოლომდე გააძევა. ზიბზიბაძე 41-ე წუთზე შეცვალეს. ბარბაქაძე და გუნდიშვილი განაცხადში არ იყვნენ.

სტუმრად „ტიროსთან" დამარცხდა **ნიკოლოზ მალალდაძისა** და **შოთა მელიქიძის** „კაორი" - 9:15. მალალდაძე ძირითად შემადგენლობაში იყო და 51-ე წუთზე შეცვალეს. მელიქიძე თამაშში 72-ე წუთიდან ჩაერთო.

E ჯგუფი. პერიგო-აგეტმო 41:3, ტიროსი-კაორი 15:9, მოლეონი-ლურდი 16:16, მარმანდი- ოლორონი 23:8.

სატურნირო მდგომარეობა: 1. პერიგო - 39 ქულა, 2. მარმანდი - 32, 3. ტიროსი - 31, 4. კაორი - 31, 5. მოლეონი - 28, 6. ლურდი - 24, 7. ოლორონი - 23, 8. აგეტმო - 11.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ფარიკაობა

# მსოფლიოს თასი მოიარეს

## ბექა ბაზაძეს ამ სეზონში უკვე 16 ქულა აქვს

17 იანვარს თურქეთის ქალაქ სტამბოლში ხმლით მოფარიკავეთა შორის მსოფლიო თასის გათამაშება გაიმართა. შეჯიბრებაში ოთხი ქართველი მონაწილეობდა, რომელთაგანაც უკეთესი შედეგი **ბექა ბაზაძეს** აღმოაჩნდა, ბექამ 96 მონაწილეს შორის 50-ე ადგილი დაიკავა. **ლაშა მიქელაძე** 64-ე იყო. 19 წლის ბაზაძემ და 16 წლის მიქელაძემ მონაგარს 2-2 ქულა შემატეს. **დავით მთვარელიძემ** (73-ე) და **გიორგი გორგიძემ** (78-ე) კი სამსოფლიოთასო ქულები ვერ მიიღეს. პულებში ყველაზე უკეთ ბაზაძემ იასპარეზა, რომელმაც 6-დან 4 ორთაბრძოლა მოიგო. დანარჩენებმა 2-2 გამარჯვება იკმარეს. პლეი ოფის საგზური ბაზაძესთან ერთად მიქელაძემ მოიპოვა. ბოლო ნომრით განთესილი ახალბედა ქართველი პირველ ნომრად განთესილ **ჟულიენ პილეს** (საფრანგეთი) შეხვდა და 8:15 წააგო. ბაზაძე 47-ე ნომრით შევიდა პლეი ოფში, პირველ წრეში მან უკრაინელ **დმიტრო ბოიკოსთან** (18) დათმო შეხვედრა - 9:15.

შეჯიბრება ბელარუსმა **დმიტრი ლაპკესმა** მოიგო. სეზონში ბაზაძეს უკვე 16 ქულა აქვს მოპოვებული, მიქელაძისთვის კი ეს პირველი ქულებია.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

წიგნის თარო

# სიყვარულით დაწერილი წიგნი




ზოგჯერ ხელში აიღებ თუ არა ახალ წიგნს, უმალვე იტყვი: რა ლამაზი გამოცემაა, გადაფურცლავ და ვიდრე წასაკითხად მოიცლი, გვერდზე გადადებ. ზოგჯერ კი ხელს ვერ შეუშვებ, კითხვას უმალ იწყებ. და ეს მაშინ ხდება, როცა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გამოცემა, გაინტერესებს მისი თითოეული სტრიქონი, იქ, ამ სტრიქონებში შენი სამყაროა და იმიტომ.

ერთი კარგი თბილისელი კაცი **სიომა ჯანაშვილი** შემეხმიანა ტელეფონით: ისრაელიდან წიგნია თქვენთვის გამოგზავნილი, **ბორის ჩაჩანაშვილისგანო** - მითხრა. ბორისი ძველი ნაცნობია, წარმატებით ჭიდაობდა ბერძნულ-რომაულს, მერე ემსახურებოდა სპეციალისტთა აღზრდას ფიზკულტურის ინსტიტუტში, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორიც იქვე გახდა. ბერძნულ-რომაულ ჭიდაობასა და სამბოში საქართველოს ნაკრები გუნდების კონსულტანტადაც იმუშავა კარგა ხანს. ისრაელში ცხოვრობს 1994 წლიდან. დიდ სამსახურს ეწევა ორი ერის მეგობრობის გაღრმავება-განმტკიცებისთვის როგორც საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის სპორტისა და ტურიზმის კომისიის თავმჯდომარე. ცხადია, უდიდესი წვლილი შეაქვს ისრაელში მაღალკვალიფიციურ მოჭიდავეთა მომზადებაში. აი, ასეთმა პიროვნებამ, ხსენებული კონგრესის ეგიდით, ისრაელში გამოსცა შესანიშნავი წიგნი ქართულ ენაზე „საქართველოს ებრაელები სპორტულ სარბიელზე". ქართულ სპორტში ვინც მოღვაწეობს, რა გული მოუთმენს, წასაკითხად სამერმისოდ გადადოს ასეთი წიგნი.

მონატრებული ადამიანების სახეები, ორ სამშობლოზე - საქართველოსა და ისრაელზე განაწილებული მათი ცხოვრების ბიოგრაფიები გვხვდება თითქმის წიგნის ყოველ ფურცელზე. როგორც ავტორს დაუთვლია, საქართველოს ებრაელ სპორტსმენთა და სპორტის დარგში მოღვაწე სპეციალისტთა რიცხვი 180-ს აჭარბებს. აქედან 160 საქართველოშია დაბადებული, 11 ისრაელში, 12 სხვა ქვეყანაში. წიგნში ყველა მათგანის ღვაწლზეა მოთხრობილი. აქვეა ნაამბობი საქართველოში, შემდეგ კი ისრაელსა და უცხოეთში მოღვაწე სპორტულ ჟურნალისტებზე, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა თავის დროზე, „ლელოში" თანამშრომლობდა. ამავე წიგნით შევიტყვეთ სამწუხარო ამბავიც: 2006 წელს ისრაელში გარდაიცვალა „ლელოს" ყოფილი კორესპონდენტი **იოსებ (სოსო) აბრამიშვილი** (იუნაევი). აშშ-ში მოღვაწეობენ **შალვა შალოლაშვილი** და **მალხაზ დათიკაშვილი.**

ისევ სტატისტიკა: საქართველოს ებრაელებს 33-ჯერ დაუმყარებიათ ჩვენი ქვეყნის რეკორდი; მსოფლიოს ჩემპიონატებში მათ ანგარიშზეა 6 მედალი, სსრ კავშირის პირველობებში - 30, ისრაელის ჩემპიონობა მოპოვებულია 15-გზის, არის სსრკ-ის 5 დამსახურებული მწვრთნელი და 13 საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი. თანაც, ეს არასრული სტატისტიკააო - წერს ავტორი.

ნაშრომს „საქართველოს ებრაელთა ერთ ღირსეულ ფურცელს უწოდებს **დანიელ შალელაშვილი.** *„საქართველოს ებრაელ სპორტსმენთა მიღწევები არ განიხილება ცალკე, განყენებულად – იგი ხომ ერთიანი, სპორტული სამყაროს შემადგენელი ნაწილია"* – ამას უკვე საქართველოს ებრაელთა მსოფლიო კონგრესის პრეზიდენტი **მიხაელ მირელაშვილი** ამბობს წიგნის შესავალში.

ისტორია მაშინაა ექვმიუტანელი, როცა ფაქტებს და მოვლენებს თანამედროვენი აფიქსირებენ. ბორის ჩაჩანაშვილს (ჩანელს) უდიდესი შრომა გაუწევია, რომ საქართველოს ებრაელთა ნაღვაწს, დროზე, ეპოქიდან გაუსვლელად მისჩენოდა ადგილი სპორტის მატიანეში. ავტორს უსაზღვრო სითბო ჩაუქსოვია ყველა სტრიქონში და სიყვარულით ერთი ლამაზ სქელტანიან წიგნ-თაიგულად შეუკრავს.

მართლაც: რაც სიყვარულით იწერება, კარგად იწერება.

**თენგიზ გაჩეჩილაძე**

სუმო



# ტოჩინოშინმა მოგება გაიხსენა

წლის პირველი სუპერტურნირის, ჰაცუ ბაშოს ორი მესამედი გაილია და, ტრადიციულად, ქართველ სუმოისტთა სატურნირო მდგომარეობის მცირე ანალიზს შემოგთავაზებთ. ელიტელებს, **კოკაის (ლევან ცაგურია)** და **ტოჩინოშინს (ლევან გორგაძეს)** უჭირთ, ხოლო მესამე დივიზიონში მოასპარეზე **გაგამარუს (თეიმურაზ ჯუღელი)** კარიერის საუკეთესო ხანა უდგას. კოკაისთვის და ტოჩინოშინისთვის დაკარგული ჯერ კიდევ არაფერია, ყველაფერს ბაშოს მესამე, ძირითადი მონაკვეთი გადაწყვეტს, თუმცა დარჩენილი ხუთ-ხუთი ორთაბრძოლიდან ჩვენებურებს თითო მარცხის უფლებაღა დარჩათ. მიზნის მიღწევა განსაკუთრებით კოკაის გაუჭირდება, მაღალი რეიტინგის გამო მას ელიტის რჩეულ რიკიშებთან მოუწევს შეპაექრება. ბაშოს მეორე მონაკვეთი კოკაიმ აღებული ტემპით განაგრძო, ორჯერ მოიგო და სამჯერ დამარცხდა. ამასთან, ის ხშირად აგებდა სუსტ მეტოქეებთან და უგებდა ძლიერებს, თუმცა ეს უკვე კოკაის „ხელწერაა". ბაშოს მეორე მესამედი ჩააგდო ტოჩინოშინმა (1-4). ამიტომაც გაირთულა საქმე. დღეს, ორივე ჩვენებურს ერთნაირი ბალანსი აქვს – 4-6. გაგამარუს კი თავი ქუდში აქვს – ხუთიდან ოთხი ორთაბრძოლა მოიგო და რეიტინგში წინსვლა უკვე დაიბევა.

გუშინ, კოკაიმ 183 კგ წონის **მიაბიამას** ვერაფერი მოუხერხა, ორთაბრძოლისას მე-2 მაეგაშირა ოსტატურად გამოეცალა ჩვენებურს. დღეს კოკაის მეტოქე კიდევ ერთი მე-2 მაეგაშირაა, **იოშიკაძე**, რომელსაც 3-7 ბალანსი აქვს. კოკაი შარშან სამჯერ შეხვდა 26 წლის იოშიკაძეს და მხოლოდ ერთხელ მოუგო.

ზედიზედ ხუთი მარცხის შემდეგ, როგორც იქნა, იმარჯვა 21 წლის ტოჩინოშინმა. ელიტის ყველაზე ნორჩმა წევრმა დოჰიოზე მე-6 მაეგაშირა **ბუშუიამა** დაანარცხა. დღეს ლევანის მეტოქე მე-14 მაეგაშირა **მასაცუკასაა**, რომელიც ალბათ დატოვებს უმაღლეს დივიზიონს (2-8). 24 წლის მასაცუკასას ქართველმა შარშან სამი ორთაბრძოლიდან ორი მოუგო.

ბაშოს კი ერთპიროვნული ლიდერი გაუჩნდა – **ასაშორიუ**. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც მეორე დიდი ჩემპიონი და იმპერატორის თასის ამჟამინდელი მფლობელი **ჰაკუჰო** ტურნირზე პირველად დამარცხდა. მონღოლ ჰაკუჰოს თანამემამულე **ჰარუმაფუჯიმ** (ყოფილი **ამა**) აჯობა. ოძეკის რანგში დებიუტანტი ჰარუმაფუჯი ცუდად ასპარეზობს, მაგრამ ელიტის ყველაზე მსუბუქ სუმოისტს (128 კგ) სიურპრიზების შემოთავაზება ძველებურად ძალუძს. ასაშორიუმ კი წინა დღით კოკაის მიერ დამარცხებულ **კოტომიცუკის** აჯობა, ოძეკიმ დიდი ჩემპიონის მავაში ხელთ იგდო, მაგრამ მონღოლმა არანორმალური ძალისხმევით შეძლო ჩაჭიდების „გაწყვეტა" და შედეგიანად შეტევა. კოტომიცუკიმ უარყოფითი ბალანსი დაიბევა, ასაშორიუს 10-0 ბალანსი აქვს.

ჰაცუ ბაშო (იანვრის სუპერტურნირი)
11-25 იანვარი. ტოკიო (იაპონია)

X დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი (მ 4)-მიაბიამა (მ 4) 0:1 (ჰატაკიკომი); ტოჩინოშინი (მ 11)-ბუშუიამა (მ 6) 1:0 (ოშიტაოში); ასაშორიუ (ი)-კოტომიცუკი (ო) 1:0; ჰარუმაფუჯი (ო)-ჰაკუჰო (ი) 1:0; ჩიოტაიკაი (ო)-კოტოოშუ (ო) 1:0; კაიო (ო)-იოშიკაძე (მ 2) 1:0; გოეიდო (მ 3)-ბარუტო (ს) 1:0; კისენოსატო (კ)-ტაკეკაძე (მ 3); კიოკუტენჰო (მ 1)-ტაკამისაკარი (მ 5); კოტოშოგიკუ (მ 1)-ვაკანოსატო (მ 4); ფუტენო (მ 5)-ჩიოჰაკუჰო (მ 9) 1:0; ტოჩიოძანი (მ 12)-კაკურიუ (მ 8).

სატურნირო მდგომარეობა: 10-0: ასაშორიუ (იოკოძუნა). 9-1: ჰაკუჰო (იოკოძუნა); ტოჩიოძანი (მაეგაშირა 12). 8-2: კოტოოშუ (ოძეკი); ტამანოშიმა (მ 15). ... 4-6: კოკაი (მ 4); ტოჩინოშინი (მ 11).

XI დღე. მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი (მ 4)-იოშიკაძე (მ 2); ტოჩინოშინი (მ 11)-მასაცუკასა (მ 14); ჰაკუჰო (ი)-კაიო (ო); ასაშორიუ (ი)-კოტოოშუ (ო); კოტომიცუკი (ო)-ჰარუმაფუჯი (ო); ჩიოტაიკაი (ო)-მიაბიამა (მ 2); ბარუტო (ს)-კოტოშოგიკუ (მ 1); კისენოსატო (კ)-კიოკუტენჰო (მ 1); ტაკეკაძე (მ 3)-ტაკამისაკარი (მ 5); გოეიდო (მ 3)-ფუტენო (მ 5); ვაკანოსატო (მ 4)-დეჯიმა (მ 7); ჰოკუტორიკი (მ 7)-ტოჩიოძანი (მ 12).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ველოსპორტი

# მზადება პოლონეთისთვის

ქართველი ველომრბოლები ახალი სეზონისთვის ემზადებიან. წლის პირველი ტურნირი ჩვენ გარეშე ჩინეთში უკვე გაიმართა, მომდევნო 13-15 თებერვალს დანიის დედაქალაქ კოპენჰაგენში ჩატარდება, სადაც ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობას ასევე ვერ მიიღებენ. სამაგიეროდ, დაგეგმილია მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლა, რომელსაც 27-29 მარტს პოლონეთის ქალაქი პრუშკოვი უმასპინძლებს. ჯერჯერობით, უცნობია, რამდენი სპორტსმენი წარადგენს საქართველოს ამ უმნიშვნელოვანეს შეჯიბრებაზე.

თბილისში ახალი ველოტრეკი ჯერაც არ გახსნილა და ამიტომაც ჩვენს ველომრბოლებს გზატკეცილზე უწევთ ვარჯიში. არადა, მსოფლიოს ჩემპიონატი ტრეკზე უნდა გაიმართოს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ჰოკეი

# სამთა ტურნირი ბაკურიანში

ყინულის ჰოკეის სეზონი სულ მალე დაიწყება. უკვე საბოლოოდ გადაწყდა, რომ თებერვალში ბაკურიანში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი გაიმართება. ამასთან, ისიც გაირკვა, რომ თებერვალშივე ბაკურიანს სომეხი ჰოკეისტები ეწვევიან და მათთან ერთად, ერთობლივი შეკრება ჩატარდება. რაც მთავარია, გაიმართება სამთა ტურნირი საქართველოს, თბილისისა და სომხეთის ნაკრებების მონაწილეობით.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## უცხოური სპორტი

ფორმულა 1

# BMW-ზაუბერი: მიზანი ჩემპიონობაა



"BMW-ზაუბერი" მსოფლიოს ჩემპიონატის მეხუთე მონაწილე გახდა, რომელმაც ახალი სეზონისთვის განკუთვნილი ბოლიდი წარადგინა. პრეზენტაცია ვალენსიაში, რიკარდო ტორმოს სახელობის ავტოდრომზე გაიმართა.

ახალი მანქანის სახელია - F1.09, რომელმაც პრეზენტაციამდე ერთი წრე გაიარა, რის შემდეგაც ჟურნალისტებს მისი დათვალიერების საშუალება მიეცათ.

ჩვენ არ მოვყვებით F1.09-ის ტექნიკურ მახასიათებლებზე ლაპარაკს - ამ შემთხვევაშიც ყველაფერი ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციის ახალი რეგლამენტის მიხედვით არის შემუშავებული. უმჯობესი იქნება, "BMW-ზაუბერის" შეფ **მარიო ტიისენს** მოვუსმინოთ, რომელმაც ოფიციალურ პრესკონფერენციაზე გამოაცხადა, რომ ახალი მანქანით მისი გუნდი ჩემპიონობისთვის ბრძოლას აპირებს:

*"გასულ სეზონში კანადის ეტაპზე დუბლი და თერთმეტი პოდიუმი ჩვენთვის ათვლის წერტილი გახდა. 2009 წელს შარშანდელი საიმედოობის შენარჩუნებასა და მანქანის ეფექტიანობის გაზრდას ვაპირებთ. "ფერარისა" და "მაკლარენს" უდიდესი გამოცდილება აქვთ, ისინი მრავალი წელია ლიდერობენ ჩემპიონატში და გვინდა მათ ბრძოლაში ჩავერიოთ. ამისთვის დიდი სამუშაო ჩავატარეთ.*

*"BMW-ზაუბერის" სამწლიანი ისტორიის განმავლობაში, დასახულ მიზნებს ყოველთვის ვაღწევდით და იმედი მაქვს, 2009 წელსაც ასე იქნება, მაგრამ რეგლამენტში სერიოზული ცვლილებების გამო, რთულია გუნდებს შორის ძალთა თანაფარდობის პროგნოზირება. ყველას შეუძლია მანქანის ეფექტიანობისა და ხარისხის გაზრდა, მაგრამ კონკურენტებთან ბრძოლის საბოლოო შედეგს წინასწარ ვერავინ გამოიცნობს".*

F1.09-ის კონცეფცია "BMW-ზაუბერის" ტექნიკურმა დირექტორმა **ვილი რამპფმა** შექმნა, რომელიც წელს ჩამოშორდება ოპერატიულ სამუშაოს და ტექნიკური კოორდინატორის პოსტს დაიკავებს, ხოლო სეზონის მსვლელობისას პროექტს **უოლტერ რიდლი** უხელმძღვანელებს - მან ჰინვილის ბაზაზე ტექნიკური განყოფილება ჩაიბარა.

ახალი მანქანა სწორედ ჰინვილში შეიქმნა, KERS-ის სისტემაზე კი მიუნხენში BMW-ის ინჟინრები მუშაობდნენ. გარდა ამისა, ძრავების განყოფილების ხელმძღვანელმა **მარკუს დიუსმანმა** და მისმა გუნდმა BMW V8-ის რესურსის გაზრდაზე იზრუნეს - ეს ძრავა სამ გრანპრის გაუძლებს...

კალათბურთი. NBA. რეგულარული ჩემპიონატი

**ნიუ იორკი-ჩიკაგო 102:98**

22:20, 35:34, 21:23, 24:21

ნ-ო: კ. რიჩარდსონი (24), დუპონი (19), რობინსონი (12), ელ პარინგტონი (11), დ. ლი (11+10 მოხსნა).

ჩ: დ. როუზი (20+8 პასი), დენგი (20+10 მოხსნა), ტ. ტომასი (19+10 მოხსნა+3 დაფარება), ჰინრიხი (13+7 პასი), ნოა (7+18 მოხსნა+3 დაფარება).

**ფილადელფია-დალასი 93:95**

22:16, 24:26, 17:32, 30:21

ფ: ლ. უილიამსი (25), იგუოდალა (18+12 მოხსნა), ა. მილერი (12+8 მოხსნა+7 პასი), ტ. იანგი (11), აივი (11).

დ: ნოვიცკი (24), კიდი (22+12 მოხსნა+6 პასი), ტერი (20+4 ჩაჭრა), ჯ. ჰოვარდი (10+8 მოხსნა+4 ჩაჭრა).

**ატლანტა-ტორონტო 87:84**

23:24, 19:27, 20:13, 25:20

ა: ჯო ჯონსონი (28), ბიბი (23), ჯოშ სმიტი (22+14 მოხსნა), მიურეი (12).

ტ: ბოში (22+14 მოხსნა), ბარნიანი (20+10 მოხსნა), ე. პარკერი (12+9 მოხსნა+9 პასი).

**შარლოტი-სან ანტონიო 84:86**

21:27, 20:19, 27:17, 16:23

შ: რ. ბელი (25), დიაო (16+13 მოხსნა), ფელტონი (13+9 პასი+3 ჩაჭრა), ოკაფორი (12+9 მოხსნა).

ს-ა: დანკანი (17+11 მოხსნა+6 პასი), ტ. პარკერი (13+10 პასი), რ. მეისონი (12), ჯინობილი (10), ჰილი (10).

**ჰიუსტონი-დენვერი 115:113**

36:36, 29:32, 25:19, 25:26

ჰ: იაო მინი (31), ელსტონი (18+11 პასი), ვაფერი (18+3 ჩაჭრა), სკოლა (16+8 მოხსნა), ბერი (11).

დ: სმიტი (24+7 მოხსნა), ნენე (23+12 მოხსნა), მარტინი (22), ბილაპსი (13+12 პასი), დ. ჯონსი (10+3 ჩაჭრა).

**კლივერსი-მინესოტა 86:94**

16:26, 20:21, 28:24, 22:23

კ: გორდონი (25), ნოვაკი (18), ტორნტონი (12+9 მოხსნა), ჯორდანი (8+10 მოხსნა+6 დაფარება).

მ: ჯეფერსონი (20+17 მოხსნა), სმიტი (20+8 მოხსნა), ფოიე (17), გომესი (14).

**მემფისი-დეტროიტი 79:87**

17:20, 22:23, 30:24, 10:20

მ: გეი (15+8 მოხსნა), მაიო (15), მ. გასოლი (12+13 მოხსნა), უორიკი (12+10 მოხსნა), კონლი (10).

დ: აივერსონი (27), ჰემილტონი (14+6 პასი), სტაკი (14), რ. უოლასი (13+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), მაკდაისი (8+16 მოხსნა).

**გ. სტეიტი-ვაშინგტონი 119:98**

28:23, 32:25, 26:31, 33:19

გ-ს: კროუფორდი (28+8 პასი), ს. ჯექსონი (26), აზუბუიკე (17), მაგეტი (16), მოროუ (11), ბიედრინსი (7+15 მოხსნა).

ვ: ბლეტჩი (22+9 მოხსნა), კ. ბატლერი (22), ჯეიმისონი (22), მაკგუაიერი (5+11 მოხსნა+6 პასი+3 ჩაჭრა).

**ნიუ ორლეანი-ინდიანა 103:100**

26:28, 30:27, 18:10, 29:35

ნ-ო: პოლი (27+9 პასი), სტოიაკოვიჩი (26), რ. ბატლერი (17).

ი: გრეინჯერი (30), მერფი (17+11 მოხსნა), გრემი (14), ჯეკი (11), დანლივი (11).

**ბოსტონი-ფინიქსი 104:87**

30:15, 34:19, 25:24, 15:29

ბ: რონდო (23+7 პასი), რ. ალენი (20), გარნეტი (16+8 მოხსნა+3 ჩაჭრა), პირსი (12+8 მოხსნა+8 პასი).

ფ: შ. ო'ნილი (16+11 მოხსნა), ამუნდსონი (13+3 დაფარება), ნეში (12+8 პასი), ტაკერი (11), ჰილი (10).

**პორტლენდი-მილუოკი 102:85**

22:19, 23:21, 26:24, 31:21

პ: ოდენი (24+15 მოხსნა), ოლდრიჯი (22+9 მოხსნა), აუთლო (18+8 მოხსნა), ფერნანდესი (13).

მ: ჯეფერსონი (23+7 მოხსნა), ვილანუევა (23+10 მოხსნა), რედი (13), რიდნური (10).

**ლეიკერსი-კლივლენდი 105:88**

26:24, 23:26, 26:16, 30:22

ლ: პ. გასოლი (22+12 მოხსნა), ბრაიანტი (20+12 პასი), ბინუმი (14), ვუიაჩიჩი (14), ფიშერი (11), არიზა (10+4 ჩაჭრა), ოდომი (8+10 მოხსნა+3 დაფარება).

კ: ლ. ჯეიმსი (23+9 მოხსნა+4 ჩაჭრა), მ. უილიამსი (16), პავლოვიჩი (12), ჰიქსონი (11), ვარეჟაო (10+12 მოხსნა+3 დაფარება).

NBA ყველა ვარსკვლავის უიქენდი

# რუდი ბურთს ჩატენის

ჟურნალმა Men's Fitness-მა ექსკლუზიურად წარმოადგინა "ყველა ვარსკლავის მატჩზე" დასავლეთისა და აღმოსავლეთის ნაკრებთა სათამაშო ფორმა.

სწორედ ამ მაისურებით გამოვლენ გუნდები 15 თებერვალს, ფინიქსის არენის პარკეტზე. NBA-ის ოფიციალურ ინტერნეტმაღაზიაში მაისურების გაყიდვა 22 იანვარს დაიწყება.

ამასობაში, სრულად დაკომპლექტდა "ყველა ვარსკვლავის უიქენდზე" ჩატენვების კონკურსის მონაწილეთა სია. მეოთხე ვაკანტურ ადგილზე სამი კალათბურთელი აცხადებდა პრეტენზიას და გულშემატკივრებმა "პორტლენდის" ესპანელი მცველი **რუდი ფერნანდესი** ამჯობინეს **რასელ უესტბრუკსა** ("ოკლაჰომა") და **ჯო ალექსანდერს** ("მილუოკი").

წინასწარ იყო ცნობილი, რომ ჩატენვების კონკურსში მიიღებენ მონაწილეობას მოქმედი ჩემპიონი **დუაიტ ჰოვარდი** ("ორლანდო"), **რუდი გეი** ("მემფისი") და ყოფილი გამარჯვებული, 175 სანტიმეტრი სიმაღლის **ნეიტ რობინსონი** ("ნიუ იორკი").




გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-სენტ ლუისი 4:5**

1:1, 0:1, 3:2, 0:0

**გოლები:** 1:0 კობესიუ-8 (ველერი-16, სავარი-39), 1:1 ჟინჩესტერი-7 (ჟოიენტა-9, ბეკსი-9), 1:2 მაკლემანი-4 (სტინი-11), 2:2 რაიდერი-18 (კრეისი-32, ხარა-18), 3:2 აქსელსონი-4 (ვიდემანი-22), 4:2 ხარა-10 (აქსელსონი-15, კრეისი-33), 4:3 პერონი-5 (ბერგლუნდი-16, კოლაიაკოვო-11), 4:4 ბეკსი-16 (ტკაჩუკი-16, პერონი-25).

**ბულიტები გაიტანეს:** ოში (სტ. ლუისი), ბოიესი (სტ. ლუისი).

**ნეშვილი-ნიუ ჯერსი 1:3**

0:0, 0:2, 1:1

**გოლები:** 0:1 შენეპანი-1 (როლსტონი-5, ლანგენბრუნერი-26), 0:2 კლარკსონი-10 (როლსტონი-6, მადენი-10), 1:2 ბონკი-5 (არნოტი-14, სატერი-20), 1:3 პარიზე-27 (ელიაში-33, მადენი-11).

**ტორონტო-კაროლინა 0:2**

0:0, 0:2, 0:0

**გოლები:** 0:1 კორვო-8 (პიტკანენი-17, ბრინდამორი-19), 0:2 ლაროუზი-10 (კულენი-7).

**ტამპა ბეი-დალასი 4:2**

1:1, 0:1, 3:0

**გოლები:** 1:0 ლეკავალიე-20 (სენტ ლუისი-28), 1:1 ბ. რიჩარდსი-12 (პერიში-4, რობიდასი-16), 1:2 ლ. ერიქსონი-22 (მოდანო-15, ბ. რიჩარდსი-26), 2:2 სტემკოსი-6 (დაუნი-1, ი. იოკინენი-10), 3:2 ლეკავალიე-21 (მერფი-2, რეკი-19), 4:2 პროსპალი-11 (სენტ ლუისი-29, ლეკავალიე-23).

**ჩიკაგო-მინესოტა 1:4**

0:2, 1:1, 0:1

**გოლები:** 0:1 მ. კოივუ-13 (ნოლანი-7, ჟიდლიცკი-15), 0:2 ჟიდლიცკი-7 (მ. კოივუ-30, ნოლანი-8), 0:3 ჟიდლიცკი-8 (ბრუნეტი-14, მ. კოივუ-31), 1:3 ჰავლატი-15 (ლედი-20, ა. ჯონსონი-5), 1:4 კლატერბუკი-7 (ბრუნეტი-15).

**აილენდერსი-ვაშინგტონი 1:2 (ო)**

0:1, 0:0, 1:0, 0:1

**გოლები:** 0:1 ოვეჩკინი-30 (გრინი-21, ლეიჩი-15), 1:1 ოკსოპო-6 (ნილსენი-8, შტრაიტი-26), 1:2 ოვეჩკინი-31 (სიომინი-22, ფიოდოროვი-10).

**ფლორიდა-ბაფალო 2:3 (ბ)**

1:0, 0:1, 1:1, 0:0

**გოლები:** 1:0 ბუტი-19 (ბულიტი), 1:1 კონოლი-5, 1:2 ვანეკი-28 (ლიდმანი-11, პომინვილი-23), 2:2 ჰორტონი-13 (ზედნიკი-10, ბუტი-12).

**ბულიტები გაიტანეს:** კოტალიკი (ბაფალო), დ. როი (ბაფალო).

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩი** | |
| ჰერტა-იანგ ბოიზი | 2:2 |
| ლეხი-ვერდერი | 2:3 |
| შტუტგარტი-ფრაიბურგი | 2:2 |
| ჰამბურგი-ჰანზა | 3:0 |
| ბორუსია (მ)-დორტმუნდი | 2:4 |
| შახტარი-ლას პალმასი | 0:1 |
| **ინგლისი** | |
| **I ლიგა** | |
| ლეიტონი-საუთენდი | 1:1 |
| პიტერბრო-მილტონი | 0:0 |
| **II ლიგა** | |
| აკრინგტონი-დარლინგტ. | გადაიდო |
| ალდერშოტი-ნოტსი | 2:2 |
| დაგენჰემი-ექსეტერი | 1:2 |
| პორტ ვეილი-ჯილინგემი | 1:3 |
| **კონფერენსი** | |
| ოქსფორდი-ფორესტ გრინი | 2:1 |
| **ინგლისის თასი** | |
| დონკასტერი-ჩელტენემი | 3:0 |
| **ინგლისის ლიგის თასი** | |
| **1/2 ფინალი** | |
| მანჩესტერ იუნ.-დერბი | 4:2 |
| **საფრანგეთის თასი** | |
| **1/16 ფინალი** | |
| გინგამი-ბრესტი | 0:0, დ.დ. 2:0 |
| **ჰოლანდიის თასი** | |
| დორდრეხტი-გრააფსხაპი | 0:1 |
| ფეიენოორდი-ჰერენვეენი | 0:3 |
| **შოტლანდიის თასი** | |
| ქუინზ პარკი-პიტერჰედი | 1:0 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| ასტერასი-ირაკლისი | 2:0 |

| უელსი | |
|---|---|
| ლანელი-ებერისთვითი | 3:0 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ამური-ლადა | 2:0 |
| ტორპედო-ავანგარდი | 3:2 |
| **ავსტრია** | |
| აკრონი-ალბა | 7:2 |
| ვენა-გრაცი | 5:0 |
| ვილახი-ოლიმპია | 6:3 |
| ზალცბურგი-ინსბრუკი | 2:1 |
| ლინცი-კლაგენფიურტი | 3:4 |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-დუისბურგი | 2:4 |
| ჰამბურგი-ვოლფსბურგი | 6:3 |
| ჰანოვერი-ინგოლშტადტი | 4:3 |
| კასელი-დიუსელდორფი | 3:3 |
| ნიურნბერგი-ფრანქფურტი | 1:0 |
| **დანია** | |
| ოდენსე-ტოტემპო | 5:3 |
| ოლბორგი-ჰერლევი | 8:1 |
| როდოვრე-სენდერიისკი | 3:1 |
| ჰერნინგი-ნორდსილანდი | 7:0 |
| ესბერგი-ფრედრიკსჰავნი | 3:1 |
| **ფინეთი** | |
| კერპეტი-ლუკო | 3:7 |
| სეიპა-კალპა | 0:1 |
| ტაპარა-კიეკო | 2:3 |
| ტპს-იუვიასკიულა | 4:2 |
| ჰიფკ-პელიკანსი | 2:2 |
| ჰპკ-ილვესი | 5:4 |
| **ჩეხეთი** | |
| სპარტა-კარლოვი ვარი | 2:4 |
| **შვეიცარია** | |
| დავოსი-რაპერსვილი | 7:2 |
| ჟენევა-ლუგანო | 2:1 |
| **შვედეთი** | |
| ფრიოლუნდა-სიოდერტალე | 3:1 |

TV პროგრამა

**21 იანვარი. ოთხშაბათი**

**HTB-პლუსი (ფეხბურთი)**

07:20 გასული კვირის ჰიტ-ალუმი. ინგლისის ჩემპიონატი. ტოტენჰემი-პორტსმუთი.
09:10 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
10:10 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:10 გასული კვირის ჰიტ-ალუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ალმერია-ატლეტიკო.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 გასული კვირის ჰიტ-ალუმი. საფრანგეთის ჩემპიონატი. ლილი-რენი.
15:10 გასული კვირის ჰიტ-ალუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-ვალენსია.
17:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:20 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:20 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
18:50 გასული კვირის ჰიტ-ალუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. სევილია-ნუმანსია.
20:40 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:05 ინგლისის ჩემპიონატი. ბოლტონი-მანჩესტერ იუნ.
22:55 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
23:55 ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ესპანიოლი-ბარსელონა (LIVE).
01:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
02:00 ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ვალენსია-სევილია.
04:00 ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ესპანიოლი-ბარსელონა.
05:50 ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ვალენსია-სევილია.

**SPORT 1 (უკრაინა)**

09:05 სპორტული პროგრამა.
09:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
10:05 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:05 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ნეშვილი-ნიუ ჯერსი.
12:50 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ფულჰემი.
14:40 ჩოგბურთი. ATP-ის მასტერსის თასი. ფინალი. ნოვაკ ჯოკოვიჩი-ნიკოლაი დავიდენკო. შანხაი. ჩინეთი.
17:00 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
17:05 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. კიევონაპოლი.
18:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:50 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
20:50 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
20:55 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ბილბაო-ვალენსია.
21:40 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:10 ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
22:35 კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
00:05 ესპანეთის თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩი. ვალენსია-სევილია (LIVE).
01:50 სპორტინფორმი. ახალი ამბები.
01:55 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. ტაუგრესი-ხუვენტუდი.
03:35 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
04:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ფილადელფია-ატლანტა (LIVE).
06:45 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
07:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ვესტ ჰემი-ფულჰემი.

**EUROSPORT**

12:30 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. III დღე (LIVE).
17:00 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. მოკლე პროგრამა. ჰელსინკი. ფინეთი (LIVE).
19:00 რალი. IRC-ის სერია. I დღე. მონტე კარლო (LIVE).
20:00 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. სპორტული წყვილები. მოკლე პროგრამა. ჰელსინკი. ფინეთი.
20:30 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. სპორტული წყვილები. თავისუფალი პროგრამა. ჰელსინკი. ფინეთი (LIVE).
21:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 ფიგურული სრიალი. ევროპის ჩემპიონატი. სპორტული წყვილები. თავისუფალი პროგრამა. ჰელსინკი. ფინეთი (LIVE).
00:05 ველოსპორტი. არმსტრონგის პლანეტა.
00:15 მულტისპორტი.
00:20 ცხენოსნობა. მსოფლიოს თასი. კონკური. ლაიპციგი. გერმანია.
01:20 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
01:25 გოლფი. US PGA-ის ტური.
02:25 გოლფ-კლუბი.
02:30 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
02:35 მულტისპორტი.
02:45 რალი. IRC-ის სერია. I დღე. მონტე კარლო.
03:00 სპორტული მეგზური.
03:15 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. III დღე.
04:00 ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა. IV დღე (LIVE).

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 ექსტრემალური სპორტი.
14:00 ახალი ამბები.
14:30 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ლას პალმასი-შახტარი.
15:30 ახალი ამბები.
16:00 ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. საფრანგეთი.
16:30 ახალი ამბები.
17:00 ბენდი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჯგუფური ტურნირი. შვედეთი-ფინეთი. შვედეთი.
18:45 ექსტრემალური სპორტი.
19:45 ახალი ამბები.
20:00 ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ლას პალმასი-შახტარი.
21:00 ახალი ამბები.
21:15 ახალი ამბები ავსტრალიის ღია პირველობიდან. დღის შედეგები.
21:30 სნოუბორდი. შვეიცარია.
22:30 ბენდი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ჯგუფური ტურნირი. შვედეთი-რუსეთი. შვედეთი (LIVE).
00:30 პეინტბოლი. საფრანგეთი.
01:00 ტიმბერსპორტი. მსოფლიოს ჩემპიონატი. ირლანდია.
02:00 კალათბურთი. საბერძნეთის ჩემპიონატი. პანათინაიკოსი-კოლოსოსი.
03:00 ახალი ამბები.
03:15 ახალი ამბები ავსტრალიის ღია პირველობიდან. დღის შედეგები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩოგბურთი. ავსტრალიის ღია პირველობა

# ავსტრალიამ კერპი დაკარგა

## პირველი წრე გავლილია. დღეიდან მთავარი ბრძოლები იწყება




ავსტრალიის ღია პირველობის მეორე დღეს. განთესვის ლიდერებმა იოლად მოიგეს თავიანთი მატჩები. გუშინ, საყოველთაო ყურადღება ბრიტანელი **ენდი მიურეისკენ** იყო მიპყრობილი. ამ სეზონში **ფედერერისა** და **ნადალის** მძლეველმა თითქმის უბრძოლველად გააღწია მეორე წრეში. 21 წლის შოტლანდიელმა "როდ ლეივერ არენაზე" პირველი სეტი 6:2 მოუგო რუმინელ **ანდრეი პაველს**, ხოლო მეორეში 3:1 დაწინაურდა და ამ დროს, ენდის მოწინააღმდეგემ ზურგის ტრავმა მოიმიზეზა და ბრძოლა შეწყვიტა. ამ მომენტისთვის მიურეის სამჯერ ჰქონდა აღებული გეიმი მეტოქის მოწოდებაზე.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა პირველმა ნომერმა **რაფაელ ნადალმა**, რომელმაც დღის ბოლო მატჩში მხოლოდ ოთხი გეიმი დაუთმო ბელგიელ **კრისტოფ როხუსს**. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ესპანელის თამაში პირველ სეტში - მთელი პარტიის განმავლობაში რაფამ რვა გათამაშება წააგო. რაც ყველაზე სასიამოვნოა, ნადალმა 10 ეისი ჩაანოდა, ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ სეზონის წინ, მან თამაშის ამ კომპონენტის დახვეწას დიდი დრო დაუთმო. *"კარგად ვითამაშე. განსაკუთრებით ჩემი მოწოდებითა და ფორჰენდით ვარ კმაყოფილი"*, - განაცხადა მატჩის შემდეგ რაფაელმა.

პირველ წრეში საკმაოდ ძლიერი მეტოქე ჰყავდა ავსტრალიის ღიას შარშანდელ ფინალისტ **ჟო-ვილფრიდ ცონგას**. არგენტინელი **ხუან მონაკო** საჩოგბურთო სამყაროში კარგად არის ცნობილი, თუმცა გუშინ მან ფრანგს წინააღმდეგობა ვერ გაუწია. ცონგა კორტზე ძალიან აქტიური იყო, მუდმივად უტევდა და საკუთარი დარტყმებით 27 ქულაც მიითვალა. ამას მონაკოს უამრავი უნებლიე შეცდომაც დაემატა და შესაბამისი ანგარიში დაფიქსირდა - 6:4, 6:4, 6:0.

ფავორიტებზე უფრო დიდხანს შეჩერება არ ღირს და პირდაპირ დღის ცენტრალურ შეხვედრაზე გადავალთ, სადაც ავსტრალიელ გულშემატკივრებს იმედგაცრუება ელოდათ. მათი მთავარი იმედი **ლეიტონ ჰიუიტი** განთესილთა შორის ვერ მოხვდა და ამიტომაც, პირველივე წრეში ავსტრალიის ღიას 2007 წლის ფინალისტ **ფერნანდო გონსალესს** გადაეყარა. ცნობილია, რომ ჰიუიტი ძველებურად ველარ ბრწყინავს. 2005 წლიდან მოყოლებული, ის ტრავმებმა გააწამეს და ამ მიზეზით, რეიტინგში 70-ე ადგილამდე ჩამოქვეითდა. მიუხედავად ამისა, გუშინ ავსტრალიელი მხოლოდ ქებას იმსახურებდა და ოდნავ რომ გამართლებოდა, მეორე წრეში შეიძლება, სწორედ ადგილობრივი პუბლიკის კერპი გასულიყო.

ხუთსეტიანი თრილერი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და ბოლო პარტიაში ჩილელმა ერთადერთი ბრეიკის წყალობით გაიმარჯვა. სხვათა შორის, ჰიუიტმა 2002 წლის შემდეგ პირველად წააგო ავსტრალიის ღიას პირველ წრეში.

შეხვედრის შემდეგ, 27 წლის ჰიუიტს კარიერის დასრულების შესახებ ჰკითხეს, რაზეც ჩოგბურთელმა უპასუხა, რომ არსად წასვლას არ აპირებს და რეიტინგის საუკეთესო ათეულში დაბრუნება აქვს განზრახული. მეტოქე ფერნანდო გონსალესმაც შეაქო და განაცხადა, რომ ლეიტონი აუცილებლად დაბრუნდება ATP-ის ელიტაში.

მამაკაცთა ბადეში სხვა განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. გავარდა ორი განთესილი - გერმანელი **რაინერ შუტლერი** (30-ე ნომერი) და რუსი **დმიტრი ტურსუნოვი** (29). სხვათა შორის, რუსებს გუშინ ცუდი დღე ჰქონდათ - ტურსუნოვის ბედი გაიზიარეს **იუჟნიმ, კუნიცინმა** და **გაბაშვილმა**.

■ ■ ■

ქალებს შორის ერთი სენსაცია დაფიქსირდა. ტურნირის მეცხრე ნომერმა **აგნიეშკა რადვანსკამ** სამ სეტში წააგო უკრაინელ **კატერინა ბონდარენკოსთან**. მეტოქეებმა პირველ ორ სეტში თანაბარი ბრძოლა გამართეს, მესამეში კი უკრაინელმა ერთადერთი გეიმი დათმო და ჯერჯერობით ყველაზე ხმაურიანი სენსაციის ავტორი გახდა.

კატერინამ თავის და **ალიონასთან** ერთად შარშან წყვილებში ავსტრალიის ღია მოიგო. სხვათა შორის, გუშინ მეორე წრის საგზური ალიონამაც მოიპოვა.

პირველი ეტაპი წარმატებით გადალახა კიდევ ერთმა ოჯახურმა წყვილმა. დებ **უილიამსებს** მცირე ხნით მოუწიათ კორტზე ყოფნამ, რადგან იოლად გაუსწორდნენ მეტოქეებს. **სერენამ** 6:3, 6:2 მოუგო ჩინელ **მენგ იუანს**, **ვენუსმა** კი 6:3, 6:3 დაამარცხა გერმანელი **ანჟელიკ კერბერი**.

სხვა მხრივ, ქალთა ბადეში სიმშვიდე იყო. მთავარი ბრძოლები დღეიდან იწყება.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

### I წრე

#### კაცები

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-კრისტოფ როხუსი (ბელ) 6:0, 6:2, 6:2; **როკო კარანუშიჩი (ხორ)**-ფლორან სერა (საფ) 6:3, 1:6, 6:3, 3:6, 6:3; **ტომი ჰაასი (გერ)**-ედუარდ შვანკი (არგ) 6:3, 6:3, 6:4; **ფლაივო ჩიპოლა (იტა)**-დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 29) 4:6, 6:2, 7:6 (7), 7:5; **რიშარ გასკე (საფ, 24)**-დიეგო ხუნკეირა (არგ) 6:7 (5), 7:6 (3), 6:3, 6:4; **დენის ისტომინი (უზბ)**-ვინსენტ სპეიდი (აშშ) 6:2, 7:5, 6:4; **გილერმო კანიასი (არგ)**-დიტერ კინდლმანი (გერ) 3:6, 7:5, 5:7, 6:0, 7:5; **ფერნანდო გონსალესი (ჩილ, 13)**-ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა) 5:7, 6:2, 6:2, 3:6, 6:3; **გალე მონფილსი (საფ, 12)**-მარტინ ვასალო არგელო (არგ) 6:1, 6:3, 7:5; **სტეფან კუბეკი (ავსტრია)**-მიხაილ იუჟნი (რუს) 6:3, 6:2, 6:2; **ფაბიო ფონინი (იტა)**-ანდრეი გოლუბევი (ყაზ) 3:6, 7:6 (7), 6:4, 6:2; **ნიკოლას ალმაგრო (ესპ, 17)**-ნიკოლას მასუ (ჩილ) 6:4, 6:4, 3:6, 5:7, 6:3; **ივო კარლოვიჩი (ხორ, 25)**-დანიელ ხიმენო ტრავერი (ესპ) 6:3, 6:4, 6:4; **მარიო ანჩიჩი (ხორ)**-უეინ ოდესნიკი (აშშ) 7:5, 6:4, 4:6, 6:2; **კრის გუჩიონე (ავსტრა)**-ნიკოლა დევილდერი (საფ) 6:4, 6:2, 6:4; **ჟილ სიმონი (საფ, 6)**-პაბლო ანდუხარი (ესპ) 6:4, 6:1, 6:1; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-ანდრეი პაველი (რუმ) 6:2, 3:1 პაველის უარი; **მარსელ გრანოლერსი (ესპ)**-თეიმურაზ გაბაშვილი (რუს) 6:4, 7:6 (3), 4:6, 6:0; **ანდრეას ბეკი (გერ)**-კოლინ ებელტაიტი (ავსტრა) 7:5, 6:1, 6:0; **იურგენ მელცერი (ავსტრია, 31)**-კეი ნიშიკორი (იაპ) 7:5, 6:2, 6:1; **რადეკ შტეპანენი (ჩეხ, 22)**-ნიკოლას ლაპენტი (ეკვ) 3:6, 6:3, 6:4, 6:4; **მიხაელ ბერერი (გერ)**-კარტსენ ბოლი (ავსტრა) 6:2, 6:4, 6:3; **არნო კლემანი (საფ)**-სერგეი სტახოვსკი (უკრ) 6:3, 2:6, 4:6, 6:2, 6:1; **ფერნანდო ვერდასკო (ესპ, 14)**-ადრიან მანარინო (საფ) 6:0, 6:2, 6:2; **ჯეიმს ბლეიკი (აშშ, 9)**-ფრანკ დანცევიჩი (კან) 6:4, 6:3, 7:5; **სებასტიან დეშონაკი (საფ)**-სტივ დარცისი (ბელ) 2:6, 6:3, 0:6, 6:2, 6:2; **ერნესტ გულბისი (ლატ)**-ალბერტ მონტანიესი (ესპ) 6:3, 6:2, 6:3; **იგორ ანდრეევი (რუს, 18)**-პეტერ პოლანსკი (კან) 5:7, 3:6, 6:4, 6:3, 6:4; **დუდი სელა (ისრ)**-რაინერ შუტლერი (გერ, 30) 1:6, 6:2, 6:4, 6:4; **ვიქტორ ჰანესკუ (რუს)**-იან ჰერნიხი (ჩეხ) 3:6, 3:6, 7:6 (7), 7:6 (4), 8:6; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ)**-იგორ კუნიცინი (რუს) 4:6, 7:6 (3), 7:6 (7), 5:7, 6:3; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ)**-ხუან მონაკო (არგ) 6:4, 6:4, 6:0.

### I წრე

#### ქალები

**ვენუს უილიამსი (აშშ, 6)**-ანჟელიკ კერბერი (გერ) 6:3, 6:3; **კარლა სუარეს ნავარო (ესპ)**-რობერტა ვინჩი (იტა) 7:5, 6:4; **აკგულ ამანმურადოვა (უზბ)**-მელანი ოუდინი (აშშ) 6:1, 6:4; **მარია ხოსე მარტინეს სანჩესი (ესპ)**-ტამარინე ტანასუგარნი (ტაილ, 32) 7:5, 6:3; **ანაბელ მედინა გარიგესი (ესპ, 21)**-იზაბელა ჰოლანდი (ავსტრა) 6:1, 7:5; **ჟული კუანი (საფ)**-ელენა ვესნინა (რუს) 6:4, 4:6, 6:1; **ჯესიკა მური (ავსტრა)**-კრისტინა მაკჰეილი (აშშ) 1:6, 6:3, 9:7; **ფლავია პენეტა (იტა, 12)**-მარა სანტანჯელო (იტა) 6:2, 5:7, 6:2; **პატი შნიდერი (შვეიც, 14)**-კრისტინა მლადენოვიჩი (საფ) 2:6, 6:4, 6:2; **ვირჟინ რაზანო (საფ)**-იარმილა გაიდოშოვა (ავსტრა) 6:1, 6:7 (2), 6:4; **იუნ-მან ჩანი (ტაივ)**-სუ ვეი ჰსიე (ტაივ) 6:3, 6:3; **დომინიკა ციბულკოვა (სლოვაკ, 18)**-შანელ სხეეპერსი (ს. აფრ) 6:0, 6:0; **საბინ ლისიცკი (გერ)**-ალექსანდრა ვოზნიაკი (კან, 30) 6:4, 6:3; **სამანტა სტოსური (ავსტრა)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ) 7:6 (5), 7:6; **ივეტა ბენეშოვა (ჩეხ)**-ვერა დუშევინა (რუს) 6:4, 0:6, 6:2; **ელენა დემენტიევა (რუს, 4)**-კრისტინა ბაროისი (გერ) 7:6 (4), 2:6, 6:1; **სვეტლანა კუზნეცოვა (რუს, 8)**-ანასტასია როდიონოვა (ავსტრა) 6:2, 3:6, 6:3; **ტატიანა მალეკი (გერ)**-აიუმი მორიტა (იაპ) 7:6 (4), 6:2; **სევერინ ბრემონი (საფ)**-ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ) 6:2, 6:1; **ალიონა ბონდარენკო (უკრ, 31)**-ოლივია როგოვსკა (ავსტრა) 5:7, 6:3, 6:2; **ჟიე ჟენგი (ჩინ, 22)**-კამილ პინი (საფ) 6:3, 6:3; **მელინდა ჩინკი (უნგ)**-მორანა კირსტეა (რუმ) 6:2, 6:2; **ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ)**-ეკატერინა ბიჩკოვა (რუს) 6:3, 6:0; **კატერინა ბონდარენკო (უკრ)**-აგნიეშკა რადვანსკა (პოლ, 9) 7:6 (7), 4:6, 6:1; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 13)**-პეტრა კვიტოვა (ჩეხ) 6:2, 6:1; **ტატიანა გარბინი (იტა)**-ანასტასია პავლიუჩენკოვა (რუს) 6:4, 2:6, 7:5; **ელენა ბალტაჩა (ბრიტ)**-ანა ლენა გრონეფელდი (გერ) 6:1, 6:4; **ამელი მორესმო (საფ, 20)**-ოლგა გოვორცოვა (ბლრ) 6:4, 6:3; **შუაი პენგი (ჩინ)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 28) 7:6 (4), 6:1; **სესილ კარატანჩევა (ბულ)**-ნურია ლაგოსტერა ვივესი (ესპ) 2:6, 6:1, 6:2; **ხისელა დულკო (არგ)**-ანასტასია იაკიმოვა (ბლრ) 6:3, 5:7, 6:3; **სერენა უილიამსი (აშშ, 2)**-მენგ იუანი (ჩინ) 6:3, 6:2.

# ივანოვიჩი თავისუფალია



მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანის **ანა ივანოვიჩისა** და ესპანელი **ფერნანდო ვერდასკოს** რომანი დასრულდა.

ივანოვიჩის ინკოგნიტო მეგობარმა FOXSports-ს განუცხადა, რომ ჩოგბურთელები ერთმანეთს ანას ინიციატივით დაშორდნენ. წყვილმა ურთიერთობა გასულ კვირას, ავსტრალიის ბრისბენში გამართული ტურნირის დროს გაწყვიტა.

ვერდასკოსა და ივანოვიჩის რომანი შარშან, სექტემბერში დაიწყო. 2009 წლის სეზონის წინ, მათ ერთად დაისვენეს მალიორკაზე.

ახლა, ივანოვიჩს საშუალება ექნება მთელი ყურადღება ჩოგბურთზე გადაიტანოს და პირველი ჩოგანის ტიტული დაიბრუნოს. რაც შეეხება ფერნანდოს, მას შეიძლება თანავუგრძნოთ - მან დაკარგა გოგონა, რომელიც მილიონობით მამაკაცის ოცნებაა.





გამოვიდა ახალი ნომერი